

ვალდებულებითი სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2016, №3

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2016, №3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2016, №3

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2016, №3

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ქეთევან შინგალია**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

სელექტორულების ფორმა

ბანკინება

№ას-139-130-2015

28 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „S. A.F. C.“-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „თ-ს“ მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო მოპასუხისათვის 20 532 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძლით, რომ მან ახალი, 2013 წლის 22 მარტის შეთანხმების შესაბამისად, ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით შპს „S. A.F. C.“-ს სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „თ-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 20 532 ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „თ-ს“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და შპს „S. A.F. C.“-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი საფუძვლებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 28 თებერვალს შპს „თ-მა“ და შპს „S. A.F. C.“-მ დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის 1.1. პუნქტის თანახმად, აპელანტს მოწინააღმდეგე მხარისათვის უნდა მიეწოდებინა ცოცხალი თევზი ხელშეკრულების დანართში მითითებულ ასორტიმენტში, რაოდენობასა და ფასში;

ხელშეკრულების დანართის მიხედვით, აპელანტს მოწინააღმდეგე მხარისათვის უნდა მიეწოდებინა სულ სამი დასახელების თევზი: 14 000 კგ. ამური, 30 000 კგ. სქელშუბლა და 12 000 კგ. კობრი, ამასთან, ხელშეკრულების თანახმად, 1 კგ. მისა-

წოდებელი ამურის ფასი განისაზღვრა 6 ლარით, 1 კგ. სქელშუბლას ფასი – 3 ლარით, ხოლო 1 კგ. კობრის – 6 ლარით;

2013 წლის 22 მარტს მხარეებმა დადეს ახალი შეთანხმება, რომლითაც, აპელანტმა აიღო ვალდებულება, მოწინააღმდეგე მხარისათვის, გარდა უკვე შეთანხმებული სახეობის თევზისა, დამატებით, მიეწოდებინა ლოქოს ლიფსიტები. ამავდროულად მხარეებმა განახორციელეს მისაწოდებელი პროდუქციის ფასის კორექტირება თევზის წონის მიხედვით (40-დან 200 გრ.-მდე სქელშუბლას ფასი განისაზღვრა 3 ლარით; 400-1000 გრ. სქელშუბლას – 3,5 ლარით; 40-200 გრ. ამურის – 6 ლარით; 400-1000 გრ. ამურის – 7 ლარით; 150-200 გრ. კობრის – 6 ლარით; 300-1000 გრ. კობრის – 8 ლარით; ხოლო 200-1000 გრ. ლოქოს – 15 ლარით);

პალატამ მიუთითა 2013 წლის 23 მარტიდან 17 ივნისის ჩათვლით განხორციელებულ მინოდებებზე და აღნიშნა, რომ ამ პროდუქციის ფასი აპელანტმა გამოიანგარიშა 2013 წლის 22 მარტის შეთანხმების საფუძველზე, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 88 134 ლარი. თავდაპირველი შეთანხმებით გათვალისწინებული ფასების მიხედვით, პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 67 602 ლარს. ამის შესაბამისად, ფასთა შორის სხვაობამ შეადგინა 88 134-67 602=20 532 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა შორის სადავო მხოლოდ ხელშეკრულების პირობების შეცვლის ფაქტი იყო. ძირითადი საბუთი, რომელიც ამის დასამტკიცებლად აპელანტმა სასამართლოს წარმოუდგინა იყო 2013 წლის 22 მარტით დათარიღებული ე.წ დანართი №., რომელშიც მითითებული იყო ხელშეკრულების დანართ №.-ში ჩამოთვლილი პროდუქციისაგან განსხვავებული ასორტიმენტი და ფასი. გარდა ამისა, მან სასამართლოს წარუდგინა მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთაგან ნაწილი ხელით იყო შევსებული, ხოლო ნაწილი – ნაბეჭდი.

პირველი ინსტანციის სასამართლოში, საქმის მომზადების ეტაპზე და, მათ შორის, მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ სადავოდ გახადა დანართი №.-ისა და ე.წ გადასწორებული მიღება-ჩაბარების აქტების ნამდვილობა, სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2003 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების შესაბამისად (რადგანაც მოსარჩელე დანართ №.-ს სადავოდ ხდიდა იმ საფუძლით, რომ: ა) ამ დოკუმენტზე არსებული ხელმოწერა საწარმოს დირექტორს, ი. მ. კ.ს არ ეკუთვნოდა და ბ) დანართის პირველ გვერ-

დზე არსებული მონაცემები მხარეთა შორის შეთანხმებული არ ყოფილა), დანიშნა ექსპერტიზა.

სსიპ ლ. ს-ის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტმა დაასკვნა, რომ საკვლევი ხელმოწერა ეკუთვნოდა ი.მ.კ-ს, დასკვნა იყო დამაჯერებელი და მას არც მხარეები შეცილებიან.

საბუთზე საწარმოს მეორე დირექტორის, დ.ჯ-სა და აპელანტის დირექტორის, ს. პ-ის ხელმოწერების ნამდვილობა სადავო არ გამხდარა.

სააპელაციო პალატის დასკვნით, ხელმოწერების განლაგებისა და ფორმის მიხედვით, ისიც აშკარა იყო, რომ ამ ხელმოწერებით მხარეებმა მათ შორის მიღწეული რომელიღაც შეთანხმება დაამოწმეს და რადგან მხარეებს არ მიუთითებიათ, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის გარდა, მათ შორის, სხვა სამართლებრივი ურთიერთობებიც არსებობდა, ასევე, რადგან ამ დამოწმებულ ტექსტში მხარეები „გამყიდველად“ და „მყიდველად“ იყვნენ მოხსენიებული, პალატამ დაასკვნა, რომ შეთანხმება, რომელიც მხარეებმა დაამოწმეს ეხებოდა სწორედ სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და ამ ურთიერთობის ფარგლებში დადებულ გარიგებას.

სასამართლოს განმარტებით, ის გარემოება, რომ ხელმოწერები ცალკე ფურცელზე იყო შესრულებული, თავისთავად, საბუთის სიყალბეს ან გარიგების არარსებობას არ ამტკიცებდა, რადგანაც იმავე წესით იყო შესრულებული ხელმოწერები თავად შპს „S. A. F. C“-ს წესდებაზე, რომლის ნამდვილობაც სადავოდ არავის გაუხდია. გარდა ამისა, მოსარჩელე მხარეს ხელი არც ძირითადი ხელშეკრულების ყველა გვერდზე მოუწერია – საბუთიდან აშკარად ჩანდა, რომ მის გვერდებზე ხელი არა მოსარჩელის, არამედ აპელანტის წარმომადგენელმა მოაწერა.

პალატის დასკვნით, ამ გარიგების პირობები, პირველ ყოვლისა, დგინდებოდა საქმეში ნაბეჭდი სახით წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით, რომლებზეც ხელი აპელანტთან ერთად მოწინააღმდეგე მხარის დირექტორ დ.ჯ.ს ჰქონდა მოწერილი. საქმეში წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში პროდუქციის ღირებულება, სწორედ, სადავო დანართი 2-ით გათვალისწინებული ფასებით იყო დაფიქსირებული. არც ერთი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის წარმომადგენელს ეს მიღება-ჩაბარების აქტები სადავოდ არ გაუხდია. მან საქმის მომზადების ეტაპზე სადავოდ გახადა, მხოლოდ ხელნაწერი, ე.წ ჩასწორებული აქტების ნამდვილობა, რომლის დედნებიც მხარეებმა შემდგომში სასამართლოს წარუდგინეს.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რადგან მოსარჩელემ აპელანტისაგან შესრულება მიიღო, იგულისხმებოდა, რომ გარიგება არსებობდა, სადავო დანართი 2-ის პირველ გვერდზე დაფიქსირებული მონაცემები კი იყო ნამდვილი, ანუ ხელშეკრულების დადების შემდეგ მხარეები მისაწოდებელი პროდუქციის განსხვავებულ ფასებზე რომ არ შეთანხმებულიყვნენ, ეს ფასი არც ორივე მხარის დირექტორების მიერ ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტებში აისახებოდა. რაც მთავარია, თავად მოსარჩელის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი, გადაუსწორებელი, ხელნაწერი მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, აპელანტის მიერ მისთვის მისაწოდებელი პროდუქცია მოიცავდა ლოქოს ლიფსიტებსაც. ხელშეკრულების დანართი 1-ის შესაბამისად, აპელანტს მოწინააღმდეგე მხარისათვის ლოქოს მიწოდების ვალდებულება არ ჰქონია, ეს ვალდებულება მან მხოლოდ სადავო დანართი 2-ის საფუძველზე აიღო. აღნიშნული ფაქტი კი, დანართი 2-ის პირველ გვერდზე არსებული მონაცემების ნამდვილობას ადასტურებდა.

ამგვარად, პალატამ დაასკვნა, რომ საქმის მასალებით სადავო საბუთის ნამდვილობა დადგინდა. დადგინდა ისიც, რომ 2013 წლის 22 მარტს მხარეებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების დანართ №.-ს, რომლითაც თავდაპირველი შეთანხმებისაგან განსხვავებულად დაადგინეს მისაწოდებელი პროდუქციის სახეობა და ფასი.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლზე და განმარტა, რომ დანართი №. არის ნების გამოვლენა, რომლითაც მხარეებმა შეცვალეს მანამდე არსებული სამართლებრივი ურთიერთობა. ამ გარიგებით შეწყდა მხარეთა შორის უკვე არსებული ურთიერთობა და წარმოიშვა ახალი, რომლის პირობებიც აპელანტმა ჯეროვნად შეასრულა. სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ვალდებულება შესრულებით და ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „S. A.F. C“-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ დანართ №.-ზე არ ყოფილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად გაცხადებული სიყალბე, რაც ადასტურებს საბუთის ნამდვილობას, ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა შეფასებისა და გამოკვლევის მარეგულირებელ ნორმებს. სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლი არ ზღუდავს მხარეს, არ დააყენოს შუამდგომლობა დოკუმენტის სიყალბის გამო ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, თუმცა ეს არ ნიშნავს დოკუმენტის ნამდვილობას, მხარეს სრული უფლება აქვს, წარადგინოს საპირისპირო მტკიცებულებები, სთხოვოს სასამართლოს არ გაიზიაროს სადავო დოკუმენტი, როგორც მოცემულ შემთხვევაში მოიქცა მოსარჩელე. ამასთანავე, მოსარჩელის შედავების საფუძვლების შესაბამისად, დოკუმენტის ნამდვილობა სასამართლოს არა ექსპერტიზის დასკვნის, არამედ მტკიცებულებათა ერთობლივად შეფასებით უნდა დაედგინა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე, 105-ე და 102-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევას.

სააპელაციო პალატამ დაადგინა ურთიერთწინააღმდეგობრივი გარემოებები, კერძოდ, ერთი მხრივ, პალატამ აღნიშნა, რომ 2013 წლის 22 მარტს მხარეებმა დადეს ახალი შეთანხმება, რომლითაც გაითვალისწინეს ლოქოს ლიფსიტის მიწოდების საკითხი, ხოლო, მეორე მხრივ, დაადგინა ამ შეთანხმებით მისაწოდებელი პროდუქციის ახალი ფასების განსაზღვრა. სასამართლოს ამ დასკვნების უმართებულობას ადასტურებს ის, რომ მას არ მიუთითებია კონკრეტულ მტკიცებულებაზე, რომელზე დაყრდნობითაც მივიდა სადავო დასკვნამდე, ამასთანავე, სადავოს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მხარეთა შორის არანაირი ახალი გარიგება არ დადებულა.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი ე.წ დანართი №., ხოლო მეორე მხრივ, გადასწორებული აქტები, რომელთაგან არცერთს არ ეთანხმება მოსარჩელე, რადგანაც დანართი №. შედგება 2 ფურცლისგან და დოკუმენტის იმ ფურცელს, როელზეც პირობებია მოცემული, ხელმოწერა არ აქვს, რაც ამ ფურცლების ერთ დოკუმენტად აღქმას გამორიცხავს, გარდა აღნიშნულისა, საქმეში არსებობს მოსარჩელის ახსნა-განმარტება, სადაც მხარემ გადმოსცა, რომ მას ხელი იმავე კომპანიასთან გასაფორმებელ სხვა დოკუმენტზე მოაწერინეს, თუმცა იმ მოტივით, რომ გარიგება აღარ შედგა, ეს დოკუმენტი არ დაუბრუნებიათ. ვინაიდან ხელმოწერილ ფურცელზე არაა თარიღი დასმული, სავარაუდოა, რომ ეს ხელმოწერა სხვა გარიგების პროექტზე არსებული ხელმოწერაა. საქმეში მხარეების მიერ წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტები, სადაც საქონლის ღირებულება ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისადაა მითითებული, ხოლო მოპასუხის მიერ წარმოდგენილ აქტებზე ფასები გადასწორებულია; გარდა აღნიშნულისა, საქმეში წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები, რომელთაც მოსარჩე-

ლე არ დაეთანხმა და არ დაუდასტურა შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე, თუმცა ამ აქტებში საინტერესო ისაა, რომ მოპასუხის მიერ შევსებულ კორექტირებულ დოკუმენტაციაში ფასები მითითებულია დანართი №1-ის შესაბამისად, მოპასუხეს, სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზნით ეს აქტები არ წარმოუდგენია. მოპასუხე ვერ მიუთითებს, თუ რა ვითარებაში მოენერა ხელი დანართ №.-ს, რადგანაც ამ დროისათვის შპს „S. A.F. C“-ს დირექტორი რეანიმაციაში იწვა, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტებით, სწორედ სამედიცინო დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ განაცხადა მოპასუხემ, რომ ხელშეკრულებას ხელი შპს „თ-ს“ ოფისში არ მოწერია, ამასთან, დანამდვილებით ვერ მიუთითა შეთანხმების კონკრეტული ადგილი.

სააპელაციო პალატამ მითითებულ გარემოებებს შეასება არ მისცა, ამასთანავე, შეფასებული მტკიცებულებები არასწორად ასახა გადაწყვეტილებაში, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები და შედეგად არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

ამავე საფუძვლებით არ დაეთანხმა კასატორი გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დამატებით აღნიშნა, რომ მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა დაკორექტირებული სასაქონლო ზედნადებები, რომლებიც მოსარჩელეს ელექტრონულად არ დაუდასტურებია, რაც შეეხება მიღება-ჩაბარების აქტებს, მოსარჩელის მიერ წარდგენილი დედნებით დასტურდება, რომ მიწოდება სწორედ №1 დანართის შესაბამისი ფასებით განხორციელდა.

პალატამ არასწორად არ გაითვალისწინა მოსარჩელის განმარტება, რომ მხარეთა შორის სხვა გარიგებების პროექტზეც განხორციელდა ხელმოწერა, რომლებიც მოპასუხეებმა წაიღეს, თუმცა იმ მოტივით, რომ შეთანხმება ვერ შედგა, აღარ დაუბრუნებიათ, სასამართლო კი დაუსაბუთებლად მსჯელობს, მხარეთა შორის გაურკვეველი გარიგების დამოწმებაზე და ხელმოწერის სადავო ხელშეკრულებისათვის კუთვნილებაზე.

სასამართლოს მსჯელობა, რომ დოკუმენტის სხვა გვერდზე ხელმოწერა არ ნიშნავს გარიგების ბათილობას სწორია, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ამ მსჯელობის წინამდებარე შემთხვევასთან მისადაგება გაუმართლებელია, რადგანაც ამ კუთხით სასამართლოს არ შეუფასებია მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერის ფაქტობრივი შეუძლებლობა, რაც დადასტურებულია კონკრეტული მტკიცებულებებით. ამ კუთხით სასამართლოს მითითება სამენარმეო სუბიექტის წესდებაზე დაუ-

საბუთებელია.

სააპელაციო პალატა არასწორად მსჯელობს, რომ მიღება-ჩაბარების აქტებით დგინდება გარიგების არსებობა მხარეთა შორის, ამ კუთხით სასამართლომ ასევე არასწორად მიუთითა, რადგანაც სასამართლოს მიერ მოხმობილი მიღება-ჩაბარების აქტების შეფასებით საპირისპირო გარემოება დასტურდება, შესაბამისად, სასამართლოს მითითება სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლზე არასწორია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „S. A.F. C“-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ 2013 წლის 22 მარტს მხარეებმა დადეს ახალი შეთანხმება, რომლითაც, შპს „თ-მა“ აიღო ვალდებულება, შპს „S. A.F. C“-ისათვის“, გარდა უკვე შეთანხმებული სახეობის თევზისა, დამატებით მიეწოდებინა ლოქოს ლიფსიტები. ახალი შეთანხმებით ახლებურად განისაზღვრა პროდუქციის ფასი და სადავო მიწოდებები განხორციელდა ახალი შეთანხმებით განსაზღვრული ფასების შესაბამისად, რის გამოც ვალდებულება შეწყდა შესრულებით და არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. კასატორმა მიუთითა ასევე სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებათა საპროცესო ნორმების დარღვევით შეფასებაზე, რასაც შედეგად არასწორი გადანყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს დავის

გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

მოსარჩელის მოთხოვნა ნასყიდობის ხელშეკრულების არა-ჯეროვანი შესრულების გამო მოპასუხისათვის თანხის დაკისრებაა. საქმის მასალებით კი, დადგენილია, რომ 2013 წლის 28 თებერვალს შპს „თ-მა“ და შპს „S. A.F. C“-მ დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის 1.1. პუნქტის თანახმად, შპს „თ-ს“ მონინაალმდევე მხარისათვის უნდა მიეწოდებინა ცოცხალი თევზი ხელშეკრულების დანართში მითითებულ ასორტიმენტში, რაოდენობასა და ფასში.

ხელშეკრულების დანართი №1-ის მიხედვით, შპს „თ-ს“ მოსარჩელე მხარისათვის უნდა მიეწოდებინა სამი დასახელების თევზი: 14 000 კგ. ამური, 30 000 კგ. სქელშუბლა და 12 000 კგ. კობრი. ამავე დანართის თანახმად, 1 კგ. მისანოდებელი ამურის ფასი განისაზღვრა 6 ლარით, 1 კგ. სქელშუბლას ფასი – 3 ლარით, ხოლო 1 კგ. კობრის – 6 ლარით.

მოსარჩელის განმარტებით, მან ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ნაწილი – 123 000 ლარი გადაურიცხა მოპასუხეს, რომელმაც პროდუქცია შეთანხმებულზე 20 532 ლარით ნაკლები ღირებულების მიანოდა. მიუხედავად დამატებითი ვადის განსაზღვრისა, ასევე წერილობითი მიმართვისა, მოპასუხე უარს აცხადებს დარჩენილი პროდუქციის მიწოდებაზე, ამდენად, მოსარჩელემ ითხოვა ზედმეტად გადახდილი თანხის ანაზღაურება.

წინამდებარე დავის საგანს არ წარმოადგენს ხელშეკრულებით განსაზღვრული დარჩენილი (მეორე ტრანშის) შესრულების მოთხოვნის უფლება.

საქმეში წარმოდგენილი შესაგებლით მოპასუხე მოთხოვნის უსაფუძვლობას ასაბუთებს მხარეთა შორის ახალი, 2013 წლის 22 მარტის შეთანხმებით, რომლითაც შპს „S. A.F. C“-მ და შპს „თ-მა“ ახლებურად განსაზღვრეს მისანოდებელი პროდუქტის ღირებულება და განმარტავს, რომ სადავო მიწოდებები სწორედ ახალი ფასების შესაბამისად იქნა განხორციელებული. მითითებული გარემოებებების დადასტურების მიზნით, მოპასუხემ წარადგინა მიღება-ჩაბარების აქტები, ასევე, 2013 წლის 22 მარტით დათარიღებული დანართი №2.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება დანართი №2-ის სიყალბის თაობაზე, რომელსაც მოსარჩელე უკავშირებდა, ერთი მხრივ, შპს „S. A.F. C“-ს დირექტორ კ.ი.მ.ის ხელმოწერის გაყალბებას, ხოლო, მეორე მხრივ, განმარტავდა, რომ დოკუმენტი ხელმოწერილია არა იმ გვერდზე, რომელზეც

ტექსტია დატანილი, არამედ დამოუკიდებელ ფურცელზე, რაც მოსარჩელის მიერ გამოვლენილ ნებას არ ადასტურებს.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქმეში არსებული მტკიცებულებების საპროცესო ნორმების დარღვევით გამოკვევა-შეფასების თაობაზე და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნები სადავო გარემოებათა ცალმხრივ და სუბიექტურ გამოკვევას ემყარება, კერძოდ, დაუსაბუთებელია ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა, რომლის თანახმადაც, ხელმოწერების განლაგებისა და ფორმის მიხედვით ამკარაა, რომ ამ ხელმოწერებით მხარეებმა მათ შორის მიღწეული რომელიღაც შეთანხმება დაამოწმეს, რადგან მხარეებს არ მიუთითებიათ, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის გარდა, მათ შორის, სხვა სამართლებრივი ურთიერთობებიც არსებობდა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ დასკვნის გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს სათანადოდ არ შეუფასებია 2013 წლის 22 მარტს (დანართი №2-ში მითითებული თარიღი) შპს „S. A.F. C“-ს დირექტორის საავადმყოფოში ყოფნის ფაქტი, ხოლო ის, მოსაზრება, რომ მხარეებს შესაძლოა რაიმე გარიგება დაემონუმბინათ, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სადავო შეთანხმების ნამდვილად მიჩნევას არ შეიძლება დაედოს საფუძვლად.

პალატა ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მიღება-ჩაბარების აქტების, ასევე ს.ფ. 78-სა და 84-ზე განთავსებული აქტების შეფასების თაობაზე. ამ მტკიცებულებათა შესწავლით სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მიღება-ჩაბარების აქტში ლოქოს ლიფსიტის მხოლოდ მითითება, რომლის მიწოდება მტკიცებულებებით არ დასტურდება, 2013 წლის 22 მარტის შეთანხმების ნამდვილობას ეჭვქვეშ არ აყენებდა. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გამყიდველის სამეწარმეო საქმიანობის გათვალისწინებით, მიღება-ჩაბარების აქტის გრაფაში პროდუქციის დასახელება, რომლის მიწოდებაც ამავე მტკიცებულებით არ დასტურდება, უსაფუძვლოდ ხდის დასკვნას, დანართი №2-ზე მხარეთა ნამდვილი შეთანხმების არსებობის თაობაზე. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში ხელშეკრულების თავდაპირველი ფასებია მითითებული, ხოლო მოპასუხის მიერ წარმოდგენილ ამავე აქტებში დანართი №1-ის შენაბამისად განსაზღვრული ფასები გადასწორებულია.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს მხარეთა შორის დადებული 2013 წლის 28 თებერვლის შეთანხმების 1.1 პუნქტზე, რომელიც ხელშეკრულების ფასსა და მისანოდებელ პროდუქტს განსაზღვრავს ხელშეკრულების №1 დანართის შესაბამისად, ხოლო 9.1 მუხლით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა სავალდებულო – წერილობითი ფორმითაა განსაზღვრული.

სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის მხარეებმა გაითვალისწინეს წერილობითი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ. ამავე კოდექსის 68-ე-71-ე მუხლებით რეგულირებულია გარიგების ფორმის შესახებ ზოგადი წესები და წერილობითი ხელშეკრულების ნამდვილობისათვის კანონმდებელი ადგენს მხარეთა ხელმოწერის აუცილებლობას, რაც, მოცემულ შემთხვევაში, შედავებულია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს დამაჯერებელ მსჯელობას იმის თაობაზე, დანართი №2-ის ტექსტისა და ხელმოწერილი ფურცლის დამოუკიდებელ, არაერთიან დოკუმენტად არსებობის მიუხედავად, რა ობიექტურ ფაქტორზე დაყრდნობით მივიდა სასამართლო დასკვნამდე, რომ თავდაპირველ ხელშეკრულებაში მხარეებმა განახორციელეს ცვლილებები. ამ თვალსაზრისით ვერ იქნება გაზიარებული ქვემდგომი სასამართლოს მტკიცება, რომ შპს „S. A. F. C“-ს წესდება ასევე ბოლო გვერდზეა ხელმოწერილი. საგულისხმოა ასევე, რომ ძირითადი ხელშეკრულება საერთოდ არ იცნობს დანართი №2-ის არსებობის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მტკიცებულებათა შეფასების ნაწილში კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გაითვალისწინებული დასაბუთებული შედავება წარმოადგინა, ხოლო სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რამდენადაც დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ ჰპოვებს დადასტურებას საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით, შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილვე-

ლად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც საქმის გარემოებების სწორად დადგენისათვის საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ, საქმეში არსებული მტკიცებულებების ინდივიდუალურად და ერთობლიობაში შეფასებით უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და ამ გზით განსაზღვროს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა.

რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე, 2015 წლის 5 მაისის განცხადებასა და 2015 წლის 19 მაისის განცხადებაზე კასატორის მიერ დართულ მტკიცებულებებს, პალატა მიიჩნევს, რომ ისინი უნდა დაუბრუნდეს მათ წარმომდგენს. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შემოღებით კანონმდებელმა იმპერატიულად განსაზღვრა საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლები და დაადგინა, რომ საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

საკასაციო სამართალწარმოების თავისებურების გათვალისწინებით, ამ ინსტანციის სასამართლოში ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეს არ ჰქონდა საქმის ქვემდგომი წესით განხილვისას მათი წარდგენის ობიექტური შესაძლებლობა, რაც მტკიცებულებების მიღებაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. ამ ნორმისა და ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე, 53-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „S. A.F. C“-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. შპს „S. A.F. C“-ს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული ზედნადებები 10 (ათი) ფურცლად, ასევე, 2015 წლის 5 მაისის №ა-1636-15 განცხადებაზე დართული ექსპერტიზის დასკვნის ასლი 26 (ოცდაექვსი) ფურცლად და 2015 წლის 19 მაისის №ა-1838-15 განცხადებაზე დართული ამავე ექსპერტიზის აპოსტილით დამონმებული დასკვნის ასლის სანოტარო წესით დადასტურებული თარგმანი 22 (ოცდაორი) ფურცლად.

4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-197-184-2015

27 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუჩი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-მ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ე. ჩ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა 10,000 აშშ დოლარისა და ამ თანხის წლიური 10%-ის გადახდის დაკისრება 2010 წლის 24 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 07.12.2007წ.-ს გ. ნ-სა და ე. ჩ-ს შორის გაფორმდა სანოტარო აქტი „ამხანაგობის წინარე ხელშეკრულება“, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, ერთობლივად ემოქმედათ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და ამ მიზნით, შეექმნათ ამხანაგობა. ხელშეკრულებით ე. ჩ-მა იკისრა ვალდებულება, ამხანაგობისათვის, შენატანის სახით, გადაეცა ქ.თბილისში, ქ-ის ქ. №3-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ: №...), რომელიც საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იყო მის სახელზე, აღნიშნულის სანაცვლოდ, გ. ნ-მა იკისრა ვალდებულება ე. ჩ-ისათვის გადაეცა ქ.თბილისში, ღ-ის ქ. №3ა-ში მდებარე 180მ² საცხოვრებელი ფართი, 30მ² კომერციული ფართი, ავტოსადგომი და 35,000 აშშ დოლარი.

09.05.2008წ.-ს გაფორმდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ნის“ დამფუძნებელთა კრების №1 ოქმი (რეგ. №), რომლითაც შეიქმნა ამხანაგობა „უ“ და ამხანაგობის საკუთრებაში აღირიცხა ქ.თბილისში, ქ-ის ქ. №3-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ: №...).

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წელს ამხანაგობა „უ-ის“ თავმჯდომარე გ. ნ-მა ე. ჩ-ს პროექტის შეთანხმების შემდეგ

გადასცა 10 000 აშშ დოლარი.

2010 წლის 24 დეკემბერს ნოტარიუს ნ. გ-ის სანოტარო ბიუროში გაფორმდა გარიგება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობაში „უ-ის“ შენატანის ნატურით დაბრუნების შესახებ. აღნიშნული გარიგებით ე. ჩ-ი გავიდა ამხანაგობიდან. მოპასუხის მიერ, 2008 წლის 9 მაისის სანოტარო აქტის შესაბამისად, იბა „უ-სათვის“ შენატანის სახით გადაცემული უძრავი ქონება განტანილ იქნა ნატურით და კვლავ აღირიცხა ე. ჩ-ის სახელზე.

ამხანაგობა იბა „უ-დან“ მოპასუხის გასვლის შემდეგ გ. ნ-მა ამხანაგობის სახელით ე. ჩ-ს მოსთხოვა მოსარჩელის მიერ გადაცემული 10,000 აშშ დოლარის გადახდა, თუმცა მოპასუხეს თანხა არ დაუბრუნებია.

ე. ჩ-მა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ იბა „უ-ს“ პროექტის შეთანხმების შემდეგ მისთვის უნდა გადაეცა 35,000 აშშ დოლარი, რაც არ განუხორციელებია. მოსარჩელის მიერ წარდგენილ ხელწერილს არ გააჩნია იურიდიული ძალა. მასში არ არის მითითებული თანხის გადაცემის, ხელწერილის შედგენის თარიღი და ე. ჩ-ისათვის თანხის გადაცემის მიზანი. ამდენად, ე. ჩ-ს მოსარჩელისაგან თანხა არ მიუღია და არც რაიმე ფულადი ვალდებულება გააჩნია მის მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ე. ჩ-ს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 10,000 აშშ დოლარისა და 2010 წლის 24 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე აღნიშნული თანხის წლიური 10%-ის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 07.12.2007წ.-ს გ. ნ-სა და ე. ჩ-ს შორის დაიდო ამხანაგობის წინარე ხელშეკრულება, რომლითაც ე. ჩ-მა ვალდებულება იკისრა, ამხანაგობაში შეეტანა 258მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ხოლო გ. ნ-მა – ამხანაგობაში შეეტანა იმ ოდენობის თანხა, რაც საჭირო იქნებოდა ამხანაგობის მიზნის მისაღწევად.

ხელშეკრულების მე-9 მუხლით განისაზღვრა, რომ ამხანაგობის წევრი, განხორციელებული შენატანის სანაცვლოდ, მიი-

ლებდა შეთანხმებულ საცხოვრებელ ფართს, ავტოსადგომსა და 35,000 აშშ დოლარს პროექტის შეთანხმების შემდეგ.

სააპელაციო პალატამ ასევე დაადგინა, რომ 09.05.2009წ.-ს შედგა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ის“ დამფუძნებელთა კრება (ოქმი №... რეგ. №...) და შეიქმნა ამხანაგობა „უ“.

09.05.2008წ.-ს გაფორმდა ხელშეკრულება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ის“ დაფუძნების შესახებ. ხელშეკრულებით ე. ჩ-ის, როგორც დამფუძნებელი წევრის ამხანაგობაში შესატანი წილი განისაზღვრა ქ.თბილისში, ქ-ის ქუჩა №3-ში მდებარე №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონებით.

ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. ნ-ი.

ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულების დადებისას ე. ჩ-ს 05.01.2208წ.-ის მინდობილობის საფუძველზე წარმოადგენდა ე. ჩ-ი.

24.12.2010წ.-ს ე. ჩ-სა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „+ უ-ს“ შორის გაფორმდა გარიგება ამხანაგობა „უ-ში“ შენატანის ნატურით დაბრუნების შესახებ, რომლის საფუძველზეც ე. ჩ-მა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „+ უ-ნი-დან“ დაიბრუნა შენატანი – ქ.თბილისში, ქ-ის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთი ს/კ: №... ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ქონება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღირიცხა ე. ჩ-ის საკუთრებად.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ე. ჩ-ს, ამხანაგობის შექმნის წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გადაეცა 10,000 აშშ დოლარი, რომელიც უკან არ დაბრუნებულა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებით.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 07.12.2007წ.-ს გ. ნ-სა და ე. ჩ-ს შორის დადებული ამხანაგობის წინარე ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობის წევრი, განხორციელებული შენატანის სანაცვლოდ, მიიღებდა შეთანხმებულ საცხოვრებელ ფართს, ავტოსადგომს და 35,000 აშშ დოლარს, რომელიც გადაეცემოდა პროექტის შეთანხმების შემდეგ.

საქმეში წარმოდგენილია ე. ჩ-ის, როგორც ე. ჩ-ის წარმომადგენლის მიერ შედგენილი ხელწერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ე. ჩ-ის წარმომადგენელმა ე. ჩ-მა ამხანაგობა „უ-ის“ თავ-

მჯდომარე გ. ნ-ისაგან 2009 წლამდე მიიღო 10,000 აშშ დოლარი.

საქმეში ასევე წარმოდგენილია ე. ჩ-ის მიერ ე. ჩ-ის სახელზე 2008 წლის 5 იანვარს 5 წლის ვადით გაცემული მინდობილობა, რომლითაც ე. ჩ-ს მინიჭებული აქვს ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებული კანონით ნებადართული ყოველგვარი გარიგების დადებისა და ე. ჩ-ის კუთვნილი ქონების, ფულის, ფასიანი ქაღალდების მიღების უფლებამოსილება.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულების დადებისას ე. ჩ-ს წარმოადგენდა ე. ჩ-ი. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილი ამხანაგობის წინარე ხელშეკრულებით ამხანაგობამ იკისრა ვალდებულება, პარტნიორისათვის შენატანის სანაცვლოდ, გადაეხადა 35,000 აშშ დოლარი და საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით დგინდება ე. ჩ-ის წარმომადგენლის მიერ ამხანაგობის თავმჯდომარისაგან 10,000 აშშ დოლარის მიღების ფაქტი, ე. ჩ-ს ეკისრება იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ხელწერილში მითითებული თანხა არ წარმოადგენს ამხანაგობაში შენატანის სანაცვლოდ ე. ჩ-ისათვის გადაცემულ თანხას და მას გააჩნდა სხვა დანიშნულება, რომელსაც აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება სასამართლოსთვის არ წარუდგენია. ე. ჩ-ი ვერ უთითებს ამხანაგობასთან რაიმე სხვა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობაზე.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დადასტურებულია ამხანაგობის მიერ, ე. ჩ-ისათვის ამხანაგობაში შენატანის სანაცვლოდ, 10 000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი ადგენს ვალდებულების შესრულების მიღების წესს. ზემოაღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, გასცეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს. კანონში კრედიტორის მიმართ არსებობს მეტად ცალსახა დამოკიდებულება – იგი ავალდებულებს მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ასეთი დოკუმენტი, თუმცა კანონი ასეთივე მოთხოვნა არ არის მოვალის მიმართ. მას შეუძლია, არ გამოითხოვოს ასეთი საბუთი კრედიტორისაგან. ბუნებრივია, კანონმდებლის ასეთი მოთხოვნა განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. ნორმაში მითითებული დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის,

რადგან მან მხოლოდ ამ დოკუმენტით შეიძლება, დაადასტუროს ვალდებულების შესრულება, რასაც ვერ ვიტყვივით კრედიტორზე. მას არანაირი საჭიროება არ აქვს, ფლობდეს ამ დოკუმენტს არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით. კანონი მოვალეს აღჭურავს მთელი რიგი უფლებებით, რათა შეძლოს ვალდებულების შესრულებისა და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება. ამ უფლების გამოუყენებლობა კი, წარმოადგენს მის რისკს და შეუძლებელს ხდის ზემოთ მითითებული გარემოების დადასტურებას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თანხის გადახდის დამადასტურებელი გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს, შესაბამისი მტკიცებულება კი, სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის საფუძველზე შეიძლება იყოს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი არ იყო რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ხელწერილში მითითებული 10,000 აშშ დოლარის ამხანაგობისათვის დაბრუნების ფაქტს და ასეთის არსებობაზე ე. ჩ-ი არც მიუთითებს.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 930-ე მუხლის, 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ კანონის დანაწესი ადგენს მხარის მიერ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარიგებაზე უარის თქმისას მხარეთათვის იმ ყველაფრის დაბრუნების ვალდებულებას, რაც მათ გარიგების შესრულების მიზნით ერთმანეთს გადასცეს.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2010 წლის 24 დეკემბერს ე. ჩ-სა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ს“ შორის გაფორმდა გარიგება ამხანაგობა „უ-ში“ შენატანის ნატურით დაბრუნების შესახებ, რომლის საფუძველზეც ე. ჩ-მა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-დან“ დაიბრუნა შენატანი – ქ. თბილისში, ქ. ის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთი №.., რაც შეეხება ე. ჩ-ისათვის ამხანაგობის შექმნის წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადაცემულ 10,000 აშშ დოლარს, როგორც უკვე დადგინდა, აღნიშნული თანხა უკან დაბრუნებული არ არის. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საფუძველიანად ცნო იბა „უ-ნის“ სარჩელი ე. ჩ-ისათვის აღნიშნული თანხის დაკისრების თაობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემო-

სავალს, მისი დადგენისათვის აუცილებელია, გათვალისწინებული იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.

იმის გათვალისწინებით, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფული განიხილება, როგორც ყველაზე ბრუნვაუნარიანი საგანი, მისი ფლობა უპირობოდ იძლევა შემოსავლის მიღების პრეზუმფციას. კონკრეტულ შემთხვევაში, მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს კომერციულ ბანკებში საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი, რასაც კრედიტორი მიიღებდა ბრუნვაუნარიანი ობიექტის – ფულის ანაბარზე განთავსების შედეგად. ამდენად, საფუძვლიანია ამხანაგობის სარჩელი ე. ჩ-ის მიერ ნატურით მიწის ნაკვეთის უკან დაბრუნების თარიღიდან, 2010 წლის 24 დეკემბრიდან, 10,000 აშშ დოლარის დაბრუნებამდე პერიოდში აღნიშნული თანხის წლიური 10%-ის პროცენტის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ე. ჩ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ის გარემოება, რომ ე. ჩ-ს, ამხანაგობის შექმნის წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გადაეცა 10 000 აშშ დოლარი, რომელიც უკან არ დაბრუნებულა. აღნიშნული ფაქტი არც საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით და არც სხვა გარემოებით არ დასტურდება.

ამდენად, სააპელაციო პალატას არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 930-ე, 405-ე და 352-ე მუხლები.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხარის მიერ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გარიგებაზე უარის თქმისას მხარეებს უნდა დაუბრუნდეთ ყველაფერი, რაც მათ გარიგების შესრულების მიზნით ერთმანეთს გადასცეს.

კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა არასწორია, ვინაიდან მხარეთა შორის გარიგების გაუქმების დროს მოწინააღმდეგე მხარეს თანხასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოუთქვამს. აღნიშნული ადასტურებს, რომ ამხანაგობას თანხა კასატორისათვის არ გადაუცია.

კასატორმა მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად დასაბუთებული, აგრეთვე, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2015 წლის 26 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 6 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი და საქმის მასალებით დასტურდება დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

07.12.2007წ.-ს გ. ნ-სა და ე. ჩ-ს შორის გაფორმდა სანოტარო აქტი „ამხანაგობის წინარე ხელშეკრულება“, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, ერთობლივად ემოქმედათ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და ამ მიზნით, შეექმნათ ამხანაგობა. ხელშეკრულებით ე. ჩ-მა იკისრა ვალდებულება, ამხანაგობისათვის, შენატანის სახით, გადაეცა ქ.თბილისში, ქ-ის ქ. №3-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ: №...), რომელიც საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იყო მის სახელზე, აღნიშნულის სანაცვლოდ, გ. ნ-მა იკისრა ვალდებულება ე. ჩ-ისათვის გადაეცა ქ.თბილისში, ღ-ის ქ. №3ა-ში მდებარე 180მ² საცხოვრებელი ფართი, 30მ² კომერციული ფართი, ავტოსადგომი და 35,000 აშშ დოლარი.

09.05.2009წ.-ს შედგა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „+. უ-ნის“ დამფუძნებელთა კრება (ოქმი №1 რეგ. №...) და შეიქმნა ამხანაგობა „უ“.

24.12.2010წ.-ს ერთი მხრივ, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „+. უ-ნის“ თავმჯდომარე გ. ნ-სა და მეორე მხრივ, ამხანაგობის წევრ ე. ჩ-ის წარმომადგენელ ნ. ი-ს შორის გაფორმდა სანოტარო აქტი „ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობაში „უ-

ნის“ შენატანის ნატურით დაბრუნების შესახებ“, რომლის საფუძველზე ე. ჩ-ი გავიდა ამხანაგობიდან და ინდივიდუალურ შენატანით ამხანაგობა „უ-ნიდან“ დაიბრუნა შენატანი – ქ.თბილისში, ქ.-ის ქუჩა №3-ში მდებარე მინის ნაკვეთი (ს/კ: №...). შესაბამისად, უძრავი ქონება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კვლავ აღირიცხა ე. ჩ-ის საკუთრების უფლებით.

კასატორს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდია. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

დადგენილია, რომ 19.12.2013წ.-ს ამხანაგობა იბა „უ-ნის“ სახელით სარჩელი აღიძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე ე. ჩ-ის მიმართ გ. ნ-ის მიერ ამხანაგობის სახელით ე. ჩ-ისათვის გადაცემული 10,000 აშშ დოლარისა და მისი დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო, ზიანის ანაზღაურების შესახებ.

კასატორი სადავოდ ხდის ე. ჩ-ის მიერ ამხანაგობის შექმნის წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 10,000 აშშ დოლარის გადაცემის შესახებ ფაქტობრივ გარემოებას.

კასატორის ზემოთ აღნიშნულ პრეტენზიას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მხარე იღებს თავის თავზე როგორც ფაქტების გადმოცემის, ისე მათი დამტკიცება-დასაბუთების ტვირთს. აღნიშნული მსჯელობა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის დანაწესიდან, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლით განსაზღვრულია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესი, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კონკრეტულ შემთხვევაში, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ე. ჩ-ს 07.12.2007წ.-ის ამხანაგობის შექმნის წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გადაეცა 10,000 აშშ

დოლარი, ეკისრებოდა მოსარჩელეს, რომელმაც აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად წარმოადგინა ე. ჩ-ის, როგორც ე. ჩ-ის წარმომადგენლის მიერ შედგენილი ხელწერილი, რომლის შინაარსის მიხედვით, „ე. ჩ-ის წარმომადგენელმა – ე. ჩ-მა ამხანაგობა „უ-ნის“ თავმჯდომარე გ. ნ-ისაგან 2009 წლამდე მიიღო 10,000 აშშ დოლარი“.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მტკიცებულებათა სახეებს, რომელთა შეაფასება საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოს კომპეტენციაა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი მტკიცებულება (ხელწერილი) განეკუთვნება სსკ-ის 134-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ წერილობით მტკიცებულებებს, რომლითაც დასტურდება ე. ჩ-ის წარმომადგენლის – ე. ჩ-ისათვის სადავო თანხის გადაცემა.

საქმეში ასევე წარმოდგენილია ე. ჩ-ის მიერ ე. ჩ-ის სახელზე 05.01.2008წ.-ს 5 წლის ვადით გაცემული მინდობილობა, რომლითაც ე. ჩ-ს მინიჭებული აქვს ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებული კანონით ნებადართული ყოველგვარი გარიგების დადებისა და ე. ჩ-ის კუთვნილი ქონების, ფულის, ფასიანი ქაღალდების მიღების უფლებამოსილება. ამასთან, დადგენილია ის გარემოებაც, რომ 09.05.2008წ.-ის ინდივიდუალურ მენაშენათა ამხანაგობა „უ-ნის“ დაფუძნებისას ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის ე. ჩ-ის ინტერესებს წარმოადგენდა სწორედ ე. ჩ-ი.

ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო პალატას აძლევს ლოგიკური, თანმიმდევრული და დასაბუთებული მსჯელობის საფუძველს მასზედ, რომ სადავო თანხა – 10,000 აშშ დოლარი ნამდვილად გადაეცა ე. ჩ-ს, ხოლო კასაციონის პოზიცია იმის თაობაზე, რომ ვინაიდან ხელწერილი არ არის დათარიღებული და მასში მხოლოდ 10,000 აშშ დოლარის გადაცემაზეა საუბარი, რის გამოც, იგი ვერ გამოდგება 07.12.2007წ.-ს გაფორმებული „ამხანაგობის წინარე ხელშეკრულების“ ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულებად, დაუსაბუთებელია. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსით ნებადართულია ვალდებულების შესრულება ნაწილ-ნაწილ (ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება), თუკი კრედიტორი ამაზე თანახმაა (სკ-ის 378-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევა-

ში, ე. ჩ-ს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ იგი წინააღმდეგი იყო ნაწილ-ნაწილ მიელო შესრულება და ამდენად, სადავო ფაქტობრივი გარემოება ამხანაგობის მხრიდან 10,000 აშშ დოლარის გადახდისა და პარტნიორის მიერ ამ თანხის მიღების შესახებ დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული.

დადგენილია ისიც, რომ 24.12.2010წ.-ს ე. ჩ-სა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ს“ შორის გაფორმდა გარიგება ამხანაგობა „უ-ში“ შენატანის ნატურით დაბრუნების შესახებ, რომლის საფუძველზეც ე. ჩ-მა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ნიდან“ დაიბრუნა შენატანი – ქ. თბილისში, ქ. ის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთი №....

უდავო გარემოებაა, რომ ე. ჩ-ს ამხანაგობისათვის მიღებული თანხა – 10,000 აშშ დოლარი არ დაუბრუნებია. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ს“ სასარჩელო მოთხოვნას აღნიშნული თანხის უკან დაბრუნება წარმოადგენს, რასაც საკასაციო პალატა იზიარებს და აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს სწორედ 24.12.2010წ.-ს ე. ჩ-სა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ს“ შორის გაფორმებული გარიგება, რომლითაც მხარეები გავიდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან და შეთანხმდნენ შენატანების უკან დაბრუნებაზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომელიც ბლანკეტური შინაარსისაა და შეიცავს დათქმას ამავე კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებზე და აწესებს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უ.-რუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი წესის თანახმად, ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები ვალდებული არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უარი თქვას ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება. მოცემულ კონკრეტულ

შემთხვევაში, სწორედ ეს საგამონაკლისო უფლება გამოიყენეს ხელშემკვრელმა მხარეებმა, რაც მათ შორის მოწესრიგდა 24.12.2010წ.-ს გაფორმებული გარიგებით, შესაბამისად, ამ გარიგების გაფორმებით მონაწილეთა შორის წარმოიშვა ახალი ვალდებულება: მიღებული შესრულებისა და სარგებლის ერთმანეთისათვის დაბრუნების შესახებ ე.წ. რესტიტუციის მოთხოვნის უფლება, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, ე. წ-ს წარმოუშობს მიღებული თანხის – 10,000 აშშ დოლარის უკან დაბრუნების ვალდებულებას და ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

მოსარჩელის მეორე მოთხოვნას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას).

სამართალწარმოების მეჯობრებითობის პრინციპის მიხედვით მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსკ-ის მე-4 მუხ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის ფაქტობრივი საფუძველები), რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს, რომლის განხორციელებისას სასამართლო არ არის შეზღუდული მოსარჩელის მითითებებით. სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან

არ აკმაყოფილებს სარჩელს.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ე. ჩ-ის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში, ემყარება სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევას. ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებისათვის პირველ რიგში, უნდა გაირკვევს მიყენებული ზიანის შინაარსი და მისი ანაზღაურებისათვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წინაპირობების არსებობა.

სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ვალდებულების დარღვევა ზოგადი ფორმულირებაა და იგი შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მათ შორის არაფეროვან შესრულებაში. მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის (კრედიტორის) მხარეზეა.

ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით, სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. ამავე მუხლითაა განმარტებული მიუღებელი შემოსავალი, კერძოდ, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო დავის სწორად გადანყვეტას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ზუსტად განსაზღვრა, რაც განეკუთვნება სასამართლოს ულებამოსილების სფეროს, თუმცა, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლომ მართებულად დაადგინოს დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების (მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების) ამომწურავი ჩამონათვალი, იმისათვის, რომ სასამართლოს არ მოუწიოს იმ გარემოებათა დადგენა, რომლებსაც საქმისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვთ, და პირიქით, მთელი სამართალწარმოება საძიებელ ფაქტებზე უნდა იქნეს აგებული. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ზიანის არსებობის ფაქტის დასადასტურებლად იმ გარემოებაზე აპელირებს, რომ 10,000 აშშ დოლარის დადგენილ ვადაში დაბრუნების შემთხვევაში, ამხანაგობა ამ თანხას განათავსებდა საკრედიტო დაწესებულებაში ანაბარზე და მიიღებდა შემოსავალს. მოსარჩელის მხოლოდ

ეს არგუმენტი, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკმარის საფუძველს, კერძოდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების ამოსავალი წერტილი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ანაზღაურდება მხოლოდ მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი. ხოლო ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. იგივე აზრია გატარებული სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლში, რომელიც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად სარგებლობაში მდგომარეობს. როგორც მოცემული საქმის მასალებით დგინდება პარტნიორს ამხანაგობისათვის თანხის დაკისრების ვალდებულება წარმოემვა 24.12.2010წ.-ს შენატანის ნატურით დაბრუნების შესახებ გაფორმებული გარიგების საფუძველზე. თანხის დაკისრების მოთხოვნით კი, სასამართლოში ამხანაგობის სახელით სარჩელი აღიძრა თითქმის სამი წლის შემდეგ და ამხანაგობამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებასთან ერთად მოითხოვა თანხის გადაუხდელობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც. აღნიშნულს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მიიჩნია, რომ მიუღებელი შემოსავალი, რომელზედაც კონკრეტულ შემთხვევაში, აპელირებს ამხანაგობა პრაქტიკულად დადგა მისივე უმოქმედობის შედეგად, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა მთელი ამ წლების მანძილზე ადგილი არ ჰქონია არც ამხანაგობის მხრიდან თანხის დაბრუნების მოთხოვნას და არც ე. ჩ-ის მხრიდან თანხის უკან დაბრუნების დაპირებას. პირიქით, იგი სადავოდაც კი მიიჩნევდა ამხანაგობისაგან 10,000 აშშ დოლარის მიღებას. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მიუღებელი შემოსავალი, რომელზედაც აპელირებს ამხანაგობა და რომელიც მათი მოსაზრებით, წარმოადგენდა მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანს სახეზე არ გვაქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ნაწილში, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათ-

ვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში, დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ. საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად უნდა განაწილდეს მხარეებს შორის გაღებული ხარჯებიც. ე. ჩ-ს უნდა აუნაზღაურდეს საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 150 აშშ დოლარი ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „+. უ-ნის“ მიერ. ე. ჩ-ის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილი კი, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ე. ჩ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-

რივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ე. ჩ-ს დაეკისროს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ს“ სასარგებლოდ 10,000 აშშ დოლარის გადახდა;

5. დანარჩენ ნაწილში ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

6. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ-ს“ ე. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 150 აშშ დოლარის გადახდა;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ვალდებულების შესრულების მიღება
არაუფლებამოსილი პირის მიერ;
პირგასამტახლო**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-570-541-2015

11 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

II. სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები

1. ნ. ა-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: ლ. მ-ისა და მ. ნ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ნოტარიუს ლ. ბ-ის მიერ 26.02.2014წ.-ს გაცემული №... სააღსრულებო ფურცლის გაუქმება.

2. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ

30.04.2012წ.-ს ნ. ა-ესა და ლ. მ-ეს შორის მ. ნ-ის შუამავლობით გაფორმდა სანოტარო აქტი №... – „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება“, რომლის საფუძველზე ლ. მ-ემ, როგორც „იპოთეკარმა“ ნ. ა-ეს, როგორც „მესაკუთრეს“ სესხად გადასცა 5500 აშშ დოლარი, ორი თვის ვადით, 4% სარგებლის გადახდის პირობით. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ქ.-ში, ტ-ის ქ.№7-ში (ს/კ:...) მდებარე ნ. ა-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საპროცენტო სარგებელს მოსარჩელე გადაიხდიდა შუამავალ – მ. ნ-თან. ლ. მ-ემ მიმართა ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით. ნოტარიუს ლ. ბ-ის მიერ 26.02.2014წ.-ს გაცემულ №... სააღსრულებო ფურცელში აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა შემდეგნაირად: სესხის ძირითადი თანხა 5500 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო 2013 წლის 01 აგვისტოდან 1800 აშშ დოლარი. მოსარჩელის განმარტებით, მას შუამავალ მ. ნ-ის მეშვეობით, გადახდილი აქვს როგორც სარგებელი, ისე, ძირითადი თანხა.

III. მოპასუხის პოზიცია

3. მოპასუხე ლ. მ-ემ სარჩელი არ ცნო და სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში განმარტა, რომ ნ. ა-ეს მისთვის არ გადაუხდია სესხის ძირი თანხა და პროცენტი 2013 წლის ივნისის თვიდან.

4. მოპასუხე მ. ნ-ს შესაგებელი არ წარმოუდგენია.

IV. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მიოთება

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

V. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

6. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ნ. ა-ის მიერ. აპელანტმა მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

VI. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ნ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ნოტარიუს ლ. ბ-ის მიერ 2014 წლის 26 თებერვალს გაცემული №... სააღსრულებო ფურცელი.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 30.04.2012წ.-ს ნ. ა-ესა და ლ. მ-ეს შორის, გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოპასუხე ლ. მ-ემ ნ. ა-ეს ორი თვის ვადით სესხად გადასცა 5500 აშშ დოლარი. სესხის სარგებელი განისაზღვრა 4%-ით. მხარეთა შეთანხმებით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე განისაზღვრა პირგასამტეხლო 0.3%-ის ოდენობით. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვრიდა ქ.-ში, ტ-ის ქ. №7-ში მდებარე ნ. ა-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იპოთეკარი თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას უზრუნველყოფდა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.

9. დადგენილია, რომ ნოტარიუს ლ. ბუხრიკაძის მიერ 26.02.2014წ.-ს გაიცა №... სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც მოვალე ნ. ა-ის აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა შემდეგი მოცულობით: სესხის ძირითადი თანხა 5500 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო 2013 წლის 1 აგვისტოდან 1800 აშშ დოლარი.

10. დადგენილია, რომ 05.03.2014წ.-ის №... წერილით, მოვალე ნ. ა-ეს მიეცა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ.

11. სააპელაციო სასამართლომ 27.12.2013წ.-ს მ. ნ-ის მიერ შესრულებული განცხადება-ხელწერილით დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ნ-ს ნ. ა-ისგან მიღებული და ლ. მ-ისთვის გადაცემული ჰქონდა სესხის 13 თვის სარგებელი 2860 აშშ დოლარის ოდენობით.

მ. ნ-ის განმარტებით, 30.05.2013წ.-ს ნ. ა-ემ მას ლ. მ-ისთვის გადასაცემად გადაუხადა სესხის ძირი თანხა 5500 აშშ დოლარი და იპოთეკით დატვირთული ქონების ყადაღისაგან გასათავისუფლებლად 70 ლარი.

12. სააპელაციო სასამართლომ უდავო გარემოებად მიიჩნია,

რომ მ. ნ-ს, 30.05.2013წ.-ს ნ. ა-ისგან მიღებული 5500 აშშ დოლარი და 70 ლარი ლ. მ-ისთვის არ გადაუტია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სარჩელზე, შესაგებელზე და მ. ნ-ის განმარტებაზე, რომლითაც დადასტურებულად მიიჩნია, რომ ნ. ა-ესა და ლ. მ-ეს შორის 30.04.2012წ.-ის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა მ. ნ-ის შუამავლობით. ამავე დოკუმენტებსა და სააპელაციო სასამართლოში მხარეთა მიერ მიცემულ განმარტებებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. ა-ე სესხის პროცენტს 2013 წლის ივნისამდე იხდიდა მ. ნ-თან, რომელიც მიღებულ თანხას გადასცემდა ლ. მ-ეს. შესაბამისად, უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ ლ. მ-ეს 2013 წლის ივნისამდე მიღებული ჰქონდა სესხის პროცენტი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმომადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ გარიგების დადებისას წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება წარმოშობს შედეგებს უშუალოდ წარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სადავო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო მ. ნ-ის შუამავლობით, ამასთან, 11 თვის განმავლობაში სესხის პროცენტს იღებდა და გამსესხებელს გადასცემდა ეს უკანასკნელი, ნ. ა-ისთვის სავარაუდო იყო, რომ მ. ნ-თან ვალდებულების შესრულებით, ვალდებულებას ასრულებდა ლ. მ-ესთან. ამდენად, მ. ნ-ის მიერ შესრულების მიღებით, შედეგები წარმოიშვა ლ. მ-ისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება) და დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 30 მაისს, მ. ნ-თან სესხის დავალიანების დაფარვით, ნ. ა-ემ ვალდებულება შეასრულა ლ. მ-ესთან, რის გამოც მათ შორის ვალდებულება შეწყდა.

VII. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები

13. სააპელაციო სასამართლოს ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე კანონით დადგენილ ვადაში საკასაციო საჩივარი წარადგინა ლ. მ-ემ, რომელმაც მოითხოვა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

14. კასატორის მოსაზრებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რამაც საბოლოოდ განაპირობა მოცემული საქმის არასწორი გადაწყვეტა.

კასატორი მიუთითებებს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი. ასევე, ამავე კოდექსის 429-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლ.დ ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოვალე ვალდებულია შესრულება განახორციელოს კრედიტორთან. ვინაიდან ნ. ა-ეს არ გადაუციცია ლ. მ-ისათვის თანხა, მხარეთა შორის დოკუმენტი ვალის დაბრუნების შესახებ არ შემდგარა. კასატორი განმარტავს, რომ ნ. ა-ემ სესხი მიიღო უშუალოდ ლ. მ-ისაგან და იგი ვალდებული იყო შესრულებაც მის წინაშე განეხორციელებინა. ასევე, კასატორი სადავოდ ხდის ფაქტობრივ გარემოებას მ. ნ-ის შუამავლობის შესახებ.

15. კასატორი მოითხოვს საოქმო განჩინების გაუქმებასაც, რომლითაც მისი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

სამოტივაციო ნაწილი:

VIII. საკასაციო პალატის დასკვნები

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 22 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

17. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ ლ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებე-

ბის გამო:

18. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოა 30.04.2012წ.-ს ნ. ა-ესა და ლ. მ-ეს შორის გაფორმებული სანოტარო აქტით №... – „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

19. საკასაციო საჩივრის საფუძვლების (კასაციის მიზეზების) საფუძვლიანობის კვლევისათვის, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს ნოტარიუს ლ. ბ-ის მიერ 26.02.2014წ.-ს გაცემულ №... სააღსრულებო ფურცელში მითითებული აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობის მართლზომიერება. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

30.04.2012წ.-ს ნ. ა-ესა და ლ. მ-ეს შორის გაფორმდა სანოტარო აქტი №... – „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება“, რომლის საფუძველზე ლ. მ-ემ, როგორც „იპოთეკარმა“ ნ. ა-ეს, როგორც „მესაკუთრეს“ სესხად გადასცა 5500 აშშ დოლარი. სესხი გაიცა ორი თვის ვადით და მისი დაბრუნების ვადად განისაზღვრა 30.06.2012წ.. სესხი იყო სარგებლიანი და სარგებლის ოდენობა განისაზღვრა ყოველთვიურად 4%-ით.

დადგენილია, რომ მესაკუთრემ იპოთეკარს წინასწარ გადასცა ერთი თვის სარგებელი (პროცენტი).

ხელშეკრულებითვე განისაზღვრა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სესხს დამატებოდა პირგასამტეხლო სესხის 0,3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ხელშემკვრელ მხარეთა შეთანხმებით სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება დაიშვებოდა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც უნდა დამტკიცებულიყო სანოტარო წესით.

სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ქ.-ში, ტ-ის ქ.№7-ში (ს/კ:..) მდებარე ნ. ა-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება.

ხელშემკვრელ მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იპოთეკარი თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას უზრუნველყოფდა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.

დადგენილია, რომ ლ. მ-ის მოთხოვნით 26.02.2014წ.-ს ნოტარიუს ლ. ბ-ის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი №..., რო-

მელშიც ნ. ა-ის მხრიდან ლ. მ-ის სასარგებლოდ შესასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა შემდეგი მოცულობით: ძირითადი ვალი 5500 აშშ დოლარი (ეკვივალენტი ლარში), პირგასამტეხლო 01.08.2013წ.-დან 1800 აშშ დოლარი (ეკვივალენტი ლარში). სააღსრულებო ფურცელში მითითებული ვალდებულების აღსრულების მიზნით დადგინდა იპოთეკის საგნის – ქ.-ში, ტ-ის ქ.№7-ში (ს/კ:...) მდებარე ნ. ა-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების რეალიზაცია.

დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომავალი სააღსრულებო საქმე №... ნოტარიუსის მიერ 26.02.2014წ.-ს გაცემული №.. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

20. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი რაიმე პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ შეიცავს. შესაბამისად, ამ ნაწილში, გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

21. კასატორი ვადავოდ ხდის სესხის ძირითადი თანხის ნაწილში, ფულადი ვალდებულების შესრულებას და თავის საკასაციო პრეტენზიას იმ გარემოებაზე აფუძნებს, რომ მოვალე ვალდებული იყო შესრულება განეხორციელებინა მხოლოდ კრედიტორთან. საქმის განმხილველი სასამართლოს დასკვნა მ. ნ-სათვის თანხის გადაცემით კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულების შესახებ, კასატორს დაუსაბუთებლად მიაჩნია.

22. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ ლ. მ-ეს 2013 წლის ივნისამდე მიღებული აქვს სარგებელი მ. ნ-ის მეშვეობით. თუმცა ძირითადი თანხის ნაწილში, ვალდებულების შესრულების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმ იმსჯელობას ეფუძნება, რომ ვინაიდან 11 თვის მანძილზე იპოთეკარი მ. ნ-ის მეშვეობით იღებდა სესხის პროცენტს, ამოქმედდა პრეზუმფცია, რომ სწორედ მ. ნ-ის მეშვეობით შესრულდებოდა ვალდებულება სესხის ძირითადი თანხის ნაწილშიც.

23. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართალწარმოებაში პრეზუმციების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება უნდა გააქარწყლოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება პირიქით, უნდა გააქარწყლოს მოსარჩელემ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველს. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში.

24. მოცემულ შემთხვევაში, საქმის განმხილველი სასამართლოს მითითება 11 თვის მანძილზე იპოთეკარის მხრიდან მ. ნ-ის მეშვეობით პროცენტის მიღების გამო სესხის ძირითადი თანხის ნაწილიც ვალდებულების ამავე წესით შესრულების ვარაუდის (გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.5 პუნქტი) თაობაზე არასწორია, გამომდინარე იქიდან, რომ მსგავს მითითებას სამოქალაქო კოდექსი ან/და განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ გვაძლევს, ხოლო სასესიო ურთიერთობებში ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთის ერთი მხარიდან მეორეზე გადატანა ამგვარი ვარაუდის საფუძველზე, საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუშვებელია.

25. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით, აგრეთვე, 102-ე მუხლით, რომლის თანახმად, მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგე-

ნით უნდა განხორციელდეს.

ერთია, როდესაც მოვალე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ასრულებს, ხოლო მეორე – მიიჩნევა თუ არა აღნიშნული შესრულება კრედიტორის მხრიდან მიღებულად და ვინ უნდა ამტკიცოს ეს (ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით დამატებით იხ., Palandt, BGB, Beckische Kurs-Kommentar, 62 auflage, Verlag C.H. Beck, 2003, 570).

26. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი ადგენს ვალდებულების შესრულების მიღების წესს. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, გასცეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს. კანონში კრედიტორის მიმართ არსებობს ერთმნიშვნელოვანი მოთხოვნა, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას, მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში, ეკისრება ამგვარი დოკუმენტის გაცემის ვალდებულება. ამ შემთხვევაში, კანონმდებლის პრინციპული დამოკიდებულება იმითაა განპირობებული, რომ მაქსიმალურად აღმოიფხვრას ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა არაკეთილსინდისიერება. თუმცა კანონი ასეთივე მომთხოვნი არ არის მოვალის მიმართ, კერძოდ, რაიმე ვალდებულება მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მოვალეს ამგვარი საბუთის გამოთხოვაზე არ ეკისრება. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება კი, განპირობებულია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრება.

შესაბამისად, სადავოობის შემთხვევაში, მოვალემ ამ დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს ვალდებულების შესრულების შესახებ ფაქტობრივი გარემოება, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე – რომელსაც არანაირი საჭიროება არ აქვს, ფლობდეს ამ დოკუმენტს არც პროცესუალური და არც მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ მოვალე აღჭურვილია მთელი რიგი უფლებებით, რომ შესძლოს ვალდებულების შესრულების და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება. ამ უფლების გამოუყენებლობა კი, წარმოადგენს მის რისკს და შესაძლოა აისახოს ზემოთ მითითებული გარემოების დაუდასტურებლობაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, გამომდინარე იქიდან, რომ

სესხად გაცემული თანხის დაბრუნების დამადასტურებელი გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრება მსესხებელს, შესაბამისი მტკიცებულება სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის საფუძველზე, შეიძლება იყოს კრედიტორის მიერ გაცემული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებში არ მოიპოვება.

27. მოსარჩელე ფულადი ვალდებულების შესრულების ფაქტის დასადასტურებლად იმ გარემოებაზე აპელირებს, რომ მან შუამავლის მეშვეობით (მ. ნ-ი) შეასრულა ვალდებულება კრედიტორის/იპოთეკარის წინაშე და ამ გარემოების დასადასტურებლად მიუთითებს 27.12.2013წ.-ს მ. ნ-ის მიერ შესრულებულ და ხელმოწერილ დოკუმენტზე (ხელწერილი-განცხადება), რომლის შინაარსით, მარინე ნ-ს ნ. ა-ისაგან სხვა თანხებთან ერთად, მიღებული აქვს სესხის ძირითადი თანხაც – 5500 აშშ დოლარი, კრედიტორი კი, უარყოფს მისგან რაიმე თანხის მიღებას.

ამ ვითარებაში, სესხის ძირითადი თანხის (5500 აშშ დოლარი) დაბრუნების შესახებ სადავო ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მხოლოდ მ. ნ-ის მიერ ცალმხრივად შედგენილი და ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელსაც არ ერთვის კრედიტორ/იპოთეკარ ლ. მ-ის ხელმოწერა, საკმარის მტკიცებულებად ვერ შეფასდება.

28. ამდენად, პასუხი უნდა გავცეთ კითხვას იმის შესახებ, მ. ნ-ის მიმართ ნ. ა-ის მიერ ვალდებულების შესრულებით ლ. მ-ის წინაშე ვალდებულება მიიჩნევა თუ არა შესრულებულად და რამდენად დგინდება აღნიშნული გარემოება გასაჩივრებული განწყვეტილებიდან?

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოვალემ (ნ. ა-ემ) თავისი ვალდებულება კრედიტორისათვის (ლ. მ-ისათვის) სესხის ძირითადი თანხის – 5500 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე ჯეროვნად შეასრულა. სააპელაციო სასამართლომ 27.12.2013წ.-ს მ. ნ-ის განცხადება-ხელწერილით დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ნ-ს ნ. ა-ისგან მიღებული და ლ. მ-ისთვის გადაცემული ჰქონდა სესხის 13 თვის სარგებელი 2860 აშშ დოლარის ოდენობით.

მ. ნ-ის განმარტებით, 30.05.2013წ.-ს ნ. ა-ემ მას ლ. მ-ისთვის გადასაცემად გადაუხადა სესხის ძირითადი თანხა 5500 აშშ დოლარი და იპოთეკით დატვირთული ქონების ყადაღისაგან გასათავისუფლებლად 70 ლარი.

სესხის ძირითადი თანხის – 5500 აშშ დოლარის ვალდებულების შესრულების ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს თანხა მოვალე (მსესხებელმა) ნ. ა-ემ მ. ნ-ს ლ. მ-ისათვის გადასაცემად გადასცა. ამ ფაქტობრივი გარემოების

დასადასტურებლად სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მ. ნ-ის ახსნა-განმარტებასა და განცხადება-ხელწერილს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მ. ნ-ის მიერ ცალმხრივად შედეგენილი დოკუმენტი ვერც მესამე პირის მეშვეობით ვალდებულების შესრულების ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებად შეფასდება, ვინაიდან 30.04.2012წ.-ის „სესხისა და იპოთეკის“ ხელშეკრულებაში არ არსებობს რაიმე სახის ჩანაწერი, რომელიც მ. ნ-ს უფლებამოსილებას მიანიჭებდა მიელო შესრულება იპოთეკარის სანაცვლოდ.

ამ პირობებში კი, საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია ნ. ა-ის მითითება სესხის მ. ნ-ის მეშვეობით გადახდის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადანყვეტისას სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლი არ გამოიყენა ამავე კოდექსის 373-ე, 623-ე და 624-ე მუხლების კონტექსტში, რამაც განაპირობა ნორმის არასწორი განმარტება. შესაბამისად, არასწორად დაადგინა ამ მუხლით გათვალისწინებული ფაქტობრივი შემადგენლობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი), კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად, „იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმომადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. თუ გარიგების დადებისას წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება წარმოშობს შედეგებს უშუალოდ წარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ...“

29. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ნორმა ითვალისწინებს ზოგადად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ გარიგების დადების მატერიალურ სამართლებრივ შესაძლებლობას და განსაზღვრავს გარიგებით დამდგარი იურიდიული შედეგის ადრესატს. მაგრამ განსახილველი ნორმის განმარტებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ კონკრეტული ურთიერთობისათვის დამახასიათებელი სპეციალური მოთხოვნები. ამ შემთხვევაში კი, გასათვალისწინებელია სასესხო ვალდებულების შესრულების თავისებურებები, რომლებიც ვლინდება ვალდებულების შესრულების ფაქტის დადგენაში. ამდენად, განსახილველი ნორმა უნდა განიმარტოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების თაობაზე შეთანხმების კონტექსტში, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 624-ე მუხ-

ლებთან ერთობლიობაში.

მოცემულ შემთხვევაში, უდავოა რომ ლ. მ-ესა და ნ. ა-ეს შორის წარმოიშვა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის მიხედვით, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

დადგენილია, რომ 30.04.2012წ.-ის „სესხისა და იპოთეკის“ ხელშეკრულება გაფორმებულია უშუალოდ მხარეთა მონაწილეობით. რაიმე სახის ჩანაწერი კი, რომელიც მესამე პირს – მ. ნ-ს უფლებამოსილებას მიანიჭებდა მიეღო შესრულება იპოთეკარის სანაცვლოდ, ხელშეკრულებაში არ არსებობს.

ამ ვითარებაში, სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლზე, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში დადებულ გარიგებაზე და გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების წარმომადგენლის წინაშე შესრულებაზე მითითებას, (გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.5 პუნქტი) საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული ვარაუდობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

30. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

31. დადგენილია, რომ ლ. მ-ემ ნ. ა-ეს სესხად გადასცა 5500 აშშ დოლარი. სადავო არაა, რომ ნ. ა-ემ მიიღო სესხის თანხა და სანაცვლოდ, მას წარმოეშვა ლ. მ-ისათვის შეთანხმებული პირობებითა და წესით თანხის დაბრუნების ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი).

32. დადგენილია, რომ ვალდებულება ძირითადი თანხის ნაწილში, ლ. მ-ის მიმართ შეუსრულებელია. საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია მოსარჩელის მითითება იმ გარემოებაზე, რომ მან შუმაგალ მ. ნ-ის წინაშე შეასრულა ვალდებულება, რის გამოც, ლ. მ-ის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის საფუძველზე შეწყდა მოთხოვნის უფლება.

33. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალე ვალდებულია შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია მიიღოს შესრულება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი.

განსახილველი ნორმა ითვალისწინებს უფლებამოსილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულებას, თუმცა, ნორმის სწორი განმარტების მიზნებისათვის პირველ რიგში, იგი, განხილული უნდა იქნეს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალურ ნორმებთან ერთობლიობაში. ამგვარი მიდგომა განპირობებული სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტის თავისებურებით, რომლის ამოსავალი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ მტკიცებულებათა დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვების თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ კომპონენტს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე. იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება რაიმე მითითებას წარმომადგენლის ან შუამავლის მეშვეობით გარიგების გაფორმებასა და ვალდებულების ამავე წესით შესრულებაზე არ შეიცავს, ვალდებულების შესრულების ნამდვილობის დასადასტურებლად, არ არის საკმარისი მ. ნ-ის მიერ თანხის მიღება, ასეთის დადასტურების შემთხვევაშიც კი.

იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულების შესრულების

ნესი სადავო ურთიერთობის მიხედვით ეხება სასესხო ვალდებულების შესრულებას, მისი ნამდვილობა უნდა დადგინდეს სასესხო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ნებსების დაცვით, შესაბამისად, თუ მივიჩნევთ, რომ 30.04.2012წ.-ის „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება“ გაფორმდა შუამავლის მეშვეობით, ამ შემთხვევაშიც ნ. ა-ეს ნაკისრი ვალდებულება მაინც ლ. მ-ის წინაშე უნდა შეესრულებინა, რადგან რაიმე მითითებას შუამავლისათვის ძირითადი თანხის გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება არ შეიცავს.

შესაბამისად, მ. ნ-ისათვის თანხის გადახდაზე მოსარჩელის მითითებას, საკასაციო პალატა ლ. მ-ის მიმართ ვალდებულების შესრულებად ვერ მიიჩნევს და განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით. ყოველი კონკრეტული ქმედება ვალდებულებითი ურთიერთობის შემწყვეტ შესრულებად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, მოვალემ კრედიტორის წინაშე ვალდებულება ზუსტად ისე შეასრულოს, როგორც ამაზე მხარეები შეთანხმდნენ და როგორი გონივრული მოლოდინიც ჰქონდა კრედიტორს, სახელდობრ, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი). კანონის აღნიშნული დანაწესი საერთოა როგორც ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილისათვის ისე, სახელშეკრულებო სამართლისათვის და ეხება სესხის ხელშეკრულების ყველა კომპონენტს, ყველა იმ უფლება-ვალდებულებას, რომელიც წარმოიშობა სესხის ხელშეკრულების საფუძველზე.

34. ზოგადად, ვალდებულების ჯეროვანი შესრულება წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს და მას უკავშირდება ვალდებულების შეწყვეტა (მაგალითად, 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება).

კანონმდებლობა განასხვავებს ვალდებულების ჯეროვან (სათანადო) და არაჯეროვან (არასათანადო) შესრულებას. არაჯეროვანია შესრულება, როდესაც ვალდებულება მოვალის მიერ მართალია, სრულდება, თუმცა შესრულებას ხარვეზი გააჩნია, რომ იგი არ შეესაბამება ვალდებულების საფუძველად არსებული გარიგების შინაარსსა და შესრულებით დაინტერესებული პირების მოლოდინს.

ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ვალდებულება არ წყდება და როგორც ნესი, შედეგად ინვეს

ვალდებულების დამრღვევი პირის პასუხისმგებლობას. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის მიერ იმ მოთხოვნათა განუხრელ დაცვას, რომლებიც დაკავშირებულია თვით შესრულების საგანთან. თუ როგორი შესრულებაა ჯეროვანი, უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულებით განისაზღვრება.

35. ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი როლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს.

კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ეს დანაწესი მოიცავს მთელ კერძო სამართალს, რომელსაც ავსებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და იმანენტურ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს ზოგადად სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებებას თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულებისაგან გათავისუფლებით.

კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლე-

ბის არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.

კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი.

კეთილსინდისიერების პრინციპს სამი ფუნქცია აკისრია: 1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე; 2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომელიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატების ფუნქცია; 3) გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქციები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება, მიუხედავად ვალდებულების წარმოშობის საფუძვლისა, წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. როგორც წესი, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარეები მხედველობაში იღებენ კონტრაჰენტის პიროვნებას. კრედიტორი ვარაუდობს, რომ მოვალე ვალდებულებას შეასრულებს ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად. უმრავლეს შემთხვევებში, ვალდებულების შესრულება ხდება პირადად მოვალის მიერ – მყიდველი თვითონ იხდის ნაყიდი საქონლის ფასს; მსესხებელი აბრუნებს სესხის საგანს და ა.შ.

ვალდებულების შესრულების სუბიექტები არიან ის პირები, რომლებიც ასრულებენ ვალდებულებას ან იღებენ შესრულებას. ვალდებულების შესრულების სუბიექტები შეიძლება არ დამთხვეს სუბიექტებს. ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან კრედიტორი და მოვალე, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა და შესრულება მიიღოს არა კრედიტორმა, არამედ სხვამ. როგორც წესი, მოვალე თვითონ ასრულებს ვალდებულებას, მაგრამ კრედიტორს შეიძლება შესრულება შესთავაზოს სხვა, მესამე პირმაც, რომელიც არ არის მოცემული ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე. ზოგჯერ კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეუსრულებს მას ვალდებულებას – მოვალე თუ მესამე პირი. მისთვის მთავარია, მიიღოს შესაბამისი დაკმაყოფილება (მაგალითად, დაუბრუნდეს ვალი).

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია არა მხოლოდ ის, თუ

ვინ ასრულებს ვალდებულებას, არამედ ისიც, თუ ვის მიმართ ხდება შესრულება. ზოგადი წესის მიხედვით, სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის თანახმად, მოვალე ვალდებულია შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია მიიღოს შესრულება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვის მიმართაც კრედიტორმა უნდა შეასრულოს ვალდებულება. ასეთად, პირველ რიგში, ითვლება უშუალოდ კრედიტორი. ამასთან, ეს უკანასკნელი არ არის ერთადერთი პირი, რომლის მიმართაც შეიძლება შესრულდეს ვალდებულება. ეს შეიძლება იყოს კრედიტორის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო წარმომადგენელი. შესრულებაზე უფლებამოსილი პირი სასამართლო გადაწყვეტილებითაც შეიძლება განისაზღვროს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლომ პირი ცნო უგზო-უკვლოდ დაკარგულად, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის მიიღონ სარგებელი. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე კანონით მემკვიდრეები უფლებამოსილნი ხდებიან მიიღონ დაკარგულის მოვალის მიერ შემოთავაზებული შესრულება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონდებლობაში ზოგადი წესებიდან დაშვებულია გამონაკლისი. მოვალის მიერ ვალდებულება შეიძლება ფაქტობრივად რომელიმე მესამე პირის მიმართაც შესრულდეს. ეს შეიძლება იყოს კრედიტორის მიერ შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ე.წ. შესრულების ფაქტობრივი მიმღები პირი (ასეთივე მიდგომაა გერმანულ სამართალშიც დაწვრილებით იხ., Münchener Kommentar, Schuldrecht AT, 4 Auflage, Verlag C.H. Beck, 2003, 2377). თუმცა მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულებისას, ასევე, მხედველობაშია მისაღები კრედიტორის ნება-სურვილი. ამ შემთხვევაში, მოვალე საჭიროებს კრედიტორის თანხმობას. თანხმობა შეიძლება გამოიხატოს შესრულების განხორციელებამდე ან შესრულების განხორციელების შემდეგ (შესრულების მონონება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესრულების მიღებაზე კრედიტორის მიერ უფლებამოსილება მინიჭებული პირები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ როდის მოხდა მათთვის უფლებამოსილების მინიჭება. კერძოდ, თუ პირს

შესრულების მიღებაზე უფლებამოსილება კრედიტორისაგან მინიჭა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განხორციელებამდე, მაშინ იგი უფლებამოსილი წარმომადგენელია წარმომადგენლობის სამართლებრივი გაგებით, ხოლო თუ ამ მესამე პირს არ ჰქონდა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისას კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების უფლებამოსილება მინიჭებული და ისე მიიღო მან შესრულება, მაშინ ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, თუ კრედიტორი მოინონებს და დაეთანხმება შესრულების მიღებას ამ პირის მიერ. თუმცა ასეთ შემთხვევაში მინიჭებული უფლებამოსილება არ წარმოშობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას მისი იურიდიული მნიშვნელობით.

კრედიტორის ნაცვლად შესრულების მიმღები მესამე პირის უფლებამოსილება შეიძლება სხვადასხვაგვარად დადგინდეს, მაგალითად, როგორცაა წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც დგინდება მესამე პირის ვინაობა; მინდობილობა; სადამფუძნებლო დოკუმენტები (იურიდიული პირების მიმართ) ან გამომდინარეობდეს საქმის გარემოებებიდან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მეტად მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს ვალდებულების შესრულება არაუფლებამოსილი პირის მიმართ. თუ ეს არ ხდება კრედიტორის თანხმობით, მოვალის მიერ ვალდებულება შესრულებულად არ ჩაითვლება. მოვალეს ვალდებულების დარღვევის გამო, დაეკისრება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. თავის მხრივ, მოვალეს უფლება აქვს არაუფლებამოსილი პირის მიმართ განხორციელებული შესრულებისას, მოითხოვოს მისგან შესრულების უკან დაბრუნება არა რეგრესული მოთხოვნის, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების (სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი) საფუძველზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ კრედიტორს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული თანხმობა გაცემული ჰქონდა მ. ნ-ის სახელზე.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს სწორედაც რომ წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის არასწორი გამოყენება, რაც გამოიწვია საქმეში წარმოდგენილი და საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების არასწორმა შეფასებამ.

36. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კრედიტორმა

მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. მოცემულ შემთხვევაში, 2012 წლის 30 აპრილის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების კრედიტორის მიმართ შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება მოვალის (ნ. ა-ის) მიერ წარმოდგენილი არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი, შესაბამისად, ნოტარიუს ლ. ბ-ის მიერ 26.02.2014წ.-ს გაცემული №... სააღსრულებო ფურცელი სესხის ძირითადი თანხის ნაწილში კანონიერია.

37. რაც შეეხება სააღსრულებო ფურცელს პირგასამტეხლოს ნაწილში, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის იმ დანაწესზე, რომელიც არეგულირებს პირგასამტეხლოს სამართლებრივ ბუნებას, მისი გადახდის წესსა და პირობებს. 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. 418-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იგივე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან.

პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენო-

ბის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა (იხ. სუსგ 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1158-1104-2014; სუსგ 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-459-438-2015).

პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული.

ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება.

პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მართივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად.

38. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ 30.04.2012წ.-ს ნ. ა-ესა და ლ. მ-ეს შორის გაფორმდა სანოტარო აქტი №... – „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება“. სესხი გაიცა ორი თვის ვადით და მისი დაბრუნების ვადად განისაზღვრა 30.06.2012წ.. ხელშეკრულებითვე განისაზღვრა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სესხს დამატებოდა პირგასამტეხლო სესხის 0,3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხელშემკვრელ მხარეთა შეთანხმებით სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება დაიშვებოდა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც უნდა დამტკიცებულიყო სანო-

ტარო წესით.

39. უდავოა, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა სანოტარო, წერილობითი ფორმით არ გაგრძელებულა. ნ. ა-ის მიერ 11 თვის სარგებლის გადახდის მართლზომიერებაზე კი, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს, ამ ნაწილში, მოთხოვნის არარასებობის გამო.

40. ნ. ა-ის სარჩელი პირგასამტეხლოს დაკისრების არამართლზომიერების ნაწილშიც ასევე უსაფუძვლოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

დადგენილია, რომ ნოტარიუს ლ. ბ-ის მიერ 26.02.2014წ.-ს გაცემული №... სააღსრულებო ფურცლით პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრა 01.08.2013წ.-დან 1800 აშშ დოლარით.

როგორც ზემოთ აღნიშნა 30.06.2012წ.-ს ამოიწურა მხარეთა შორის წერილობით გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ამ დროიდან კრედიტორს აღარ აქვს სარგებლის მოთხოვნის უფლება (ნ. ა-ის მიერ 11 თვის სარგებლის გადახდის მართლზომიერებაზე საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს, ამ ნაწილში, მოთხოვნის არარასებობის გამო), რასაც ვერ ვიტყვით პირგასამტეხლოზე, რამდენადაც პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის სახეზეა კანონით გათვალისწინებული ყველა პირობა: მხარეთა წერლობითი შეთანხმება და ვალდებულების დარღვევა.

ამდენად, ნოტარიუს ლ. ბ-ის მიერ 26.02.2014წ.-ს გაცემული №... სააღსრულებო ფურცელი პირგამტეხლოს ნაწილშიც კანონიერი და არ არსებობს მისი ამ ნაწილში გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

41. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას, საქმეზე მიღებული შუალედური საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე, აღნიშნულს საკასაციო პალატა დაუსაბუთებლობის გამო ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ საოქმო განჩინებების გაუქმების მოთხოვნა იმგვარად, რომ მხარე არ მიუთითებს არც კონკრეტულ განჩინებაზე და არც მისი გაუქმების ფაქტობრივ საფუძვლებზე, სასამართლოს არ აძლევს უფლებას, საკუთარი შეხედულებით გადაწყვიტოს მისი უსწორობის საკითხი, ამგვარი მიდგომა არ გამოიმდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებიდან.

42. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარ-

ჯების გადახდისაგან.

საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრა 817 ლარით, საიდანაც ლ. მ-ის მიერ გადახდილია 300 ლარი, ხოლო 517 ლარის გადახდა გადავადებულია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ვინაიდან, ლ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ნ. ა-ემ სრულად უნდა აუნაზღაუროს ლ. მ-ეს საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით, ხოლო საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე გადავადებული სახელმწიფო ბაჟი – 517 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს ნ. ა-ემ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ლ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება გაუქმდეს;
3. ნ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ნ. ა-ეს ლ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროს წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით 300 ლარის გადახდა;
5. ნ. ა-ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 517 ლარის ოდენობით. თანხა ჩარიცხულ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ.-ი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300 773 150;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი

განჩინება

№ას-648-614-2015

26 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „პ-სა“ (შემდგენში მოსარჩელე, გამყიდველი ან კრედიტორი) და შპს „ს-1-ს“ (შემდგენში მოპასუხე, მყიდველი, მოვალე ან კასატორი) შორის წლების განმავლობაში არსებობდა ზეპირი შეთანხმება კვერცხის შესყიდვასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც, გამყიდველი მყიდველს აწვდიდა მის მიერ წარმოებულ პროდუქციას [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდგომში – სსკ, 477-ე მუხლი].

2. მხარეთა შორის 2014 წლის 1 ივლისს შედგენილი შედარების აქტით დადგენილია, რომ მყიდველის დავალიანება გამყიდველისადმი შეადგენდა 86 220 ლარს.

3. 2014 წლის 11 ივლისს გამყიდველმა, სარჩელის აღძვრამდე, მისი უზრუნველყოფის მიზნით, განცხადებით მიმართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მყიდველის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე ყადაღის დადება (მდებარე. ქ. ბ-ი, ტ-ს ქ. № 6-ში, პირველ სართულზე, 222, 60 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, საკადასტრო კოდით №...). სასამართლოს 12 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის განცხადება, სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის თაობაზე და იმავე დღეს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. 22 ივლისს გამყიდველმა სარჩელი აღძრა მყიდველის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის 86 220 ლარის დაკისრება. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა იმ საფუძველით, რომ გამყიდველს, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, მყიდველმა გადაუხადა 5 000 ლარი და, საბოლოოდ, მოითხოვა მოპასუხისათვის 81 220 ლარის დაკისრება (იხ.სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, 3.2.2. ქვე-

პუნქტი).

4. მოპასუხემ წერილობითი შესაგებლით სარჩელი ნაწილობრივ ცნო, დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას დავალიანების ნაწილში, ხოლო საპროცესო ხარჯების ანაზღაურებაზე უარი განაცხადა. ამასთან, მიუთითა, რომ სარჩელი უნდა დარჩენილიყო განუხილველად, რადგან ხელშეკრულების შესრულების ადგილი იყო ბ-ი და მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მხარეთა შორის არსებული ზეპირი შეთანხმება სოფელ პ-ში შესრულდა.

5. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით გამყიდველის სარჩელი დაკმაყოფილდა, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მყიდველს დაეკისრა 81 220 (ოთხმოცდაერთი ათას ორას ოცი) ლარის გადახდა, ასევე, გამყიდველის (მოსარჩელე მხარის) მიერ იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 3 000 ლარის ანაზღაურება.

6. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მყიდველმა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით მყიდველის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, გამყიდველის სარჩელის (ფულადი თანხის დაკისრების შესახებ) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება მყიდველისათვის 81 220 ლარის დაკისრების ნაწილში. მყიდველის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა იმ ნაწილში, რომლითაც მას გამყიდველის (მოსარჩელე მხარე) მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 3 000 ლარის გადახდა დაეკისრა. ამ ნაწილში მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო.

8. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საჩივარზე პროცესუალურ მონინააღმდეგე მხარეს – გამყიდველს შესაგებელი არ წარუდგენია, სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია, გამყიდველის მიმართ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 232¹-ე მუხლის დანაწესის საფუძველზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიეღო იმ ნაწილ-

ში, რომლითაც, მყიდველი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა, გამყიდველის სასარგებლოდ თანხის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილებულ სარჩელზე უარის თქმას. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ – ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის ერთ-ერთ აუცილებელი ნინაპირობა – სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობის არსებობა, რაც, თავის მხრივ, უნდა ემყარებოდეს და გამომდინარეობდეს სარჩელში მითითებული გარემოებებიდან ანუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მყიდველის სააპელაციო საჩივარი, არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეიცავდა რაიმე მნიშვნელოვან არგუმენტებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ დაყენებული მოთხოვნის დასაბუთებლად, რაც გახდა ამ ნაწილში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიუღებლობის საფუძველი.

9. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მყიდველის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო ინსტანციაში საქმის ზეპირი განხილვისა და აპელანტის ზეპირი განმარტების (სსსკ-ის 232¹-ე მუხლით დადგენილ პროცესუალურ რეჟიმში სასამართლომ მოისმინა აპელანტის სამართლებრივი მოსაზრებები) მოსმენის შემდეგაც, სასამართლომ ვერ გამოიტანა დასკვნა, რომ აპელანტის მოთხოვნა, გამყიდველის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, დაყენებული პრეტენზიისა და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მოთხოვნის ნაწილში, დასაბუთებული იყო.

10. სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ფაქტობრივი გარემოებები, რასაც დაემყარა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და, რის საფუძველზეც, გამყიდველის სასარგებლოდ, მყიდველს დაეკისრა 81 220 ლარის გადახდა, აპელანტის მიერ არა თუ შედავებული, არამედ მხარდაჭერილი იყო და მეტიც, სააპელაციო სასამართლოში ზეპირი განხილვისას, აპელანტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ნლების განმავლობაში მხარეთა შორის არსებობდა მიწოდების სამართლებრივი ურთიერთობა, რის საფუძველზეც გამყიდველი მის მიერ წარმოებულ პროდუქციას – კვერცხს, მყიდველს აწვდიდა და ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, მყიდველს გადასახდელი ჰქონდა დავალიანება 86 220 ლარი. საქმის რაიონულ სასამართლოში განხილვის ეტაპზე, მყიდველმა გადაიხადა 5 000 ლარი. ამდენად, მოცემულ პირო-

ბებში, როდესაც სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებული იყო თავად მოპასუხის მიერ, არ არსებობდა მყიდველის სააპელაციო მოთხოვნის დასასაბუთებლად და, გამყიდველის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურსამართლებრივი საფუძველი.

11. სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი (მყიდველი) სააპელაციო საჩივარში რაიმე ფაქტობრივ საფუძველს არ უთითებდა, რაც იურიდიულად გაამართლებდა ამ ნაწილში მის მოთხოვნას; აპელანტი შემოიფარგლა მხოლოდ იმ პროცესუალურ საკითხზე მითითებით, რომ სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ დარღვეული იყო განსჯადობის წესი და სარჩელი უნდა განეხილა ბათუმის სასამართლოს, რადგან ხელშეკრულების შესრულების ადგილი იყო ბათუმი. სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, საკუთარი სააპელაციო მოთხოვნის დასასაბუთებლად მხოლოდ პროცესუალურ საკითხზე მითითება, არ იყო საკმარისი სააპელაციო მოთხოვნის დასაბუთებულად მისაჩინვად. მით უმეტეს, ცალსახა იყო, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების სისწორეზე ამ პროცესუალური ნორმის დარღვევას გავლენა არ მოუხდენია. სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი საფუძველები დადასტურებული იყო თავად მყიდველის (მოპასუხე მხარის) მიერ. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველები არ არსებობდა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა მყიდველმა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, გამყიდველის სასარგებლოდ მყიდველისათვის 81 220 ლარის დაკისრების ნაწილში და საქმის განსჯადობით ბათუმის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნა.

13. კასატორი თავის საკასაციო პრეტენზიას აფუძნებს შემდეგ გარემოებებზე:

13.1. მხარეებს შორის არ არსებობდა შეთანხმება განსჯადი სასამართლოს შესახებ;

13.2. მხარეებს შორის ზეპირი ხელშეკრულება ბათუმში დაიდო, რაც მოსარჩელის მხრიდან სადავო არ გამხდარა;

13.3. მიწოდების ადგილი ქ. ბათუმი იყო (რაც უდავოა, რად-

გან საქონლის რეალიზაცია ბათუმში ხორციელდებოდა);

13.4. მოპასუხის ადგილსამყოფელი არის ქ. ბათუმი.

13.5. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი უთითებს, რომ საქმე უნდა განხილულიყო ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

14. კასატორის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ მიუთითებია უდავო ფაქტობრივი გარემოებების შეხახვებ, რაც სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა.

15. საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2015 წლის 21 ივლისის განცხადებით მომართა კასატორის წარმომადგენელმა ვ. ლ-ამ. განცხადებაში მითითებულია, რომ კასატორი ამცირებს საკასაციო მოთხოვნას და აზუსტებს, რომ მისთვის დაკისრებული ძირითადი თანხიდან – 81 220 ლარიდან საკასაციო სასამართლოში დავობს 1 220 ლარის დაკისრებაზე, ამასთან, აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს 1 000 ლარის ნაწილში საერთოდ არ უმსჯელია. მყიდველი სიღნაღის რაიონული სასამართლოს განჩინებასაც ასაჩივრებს, რომლითაც წარმოებაში იქნა მიღებული გამყიდველის სარჩელი.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2015 წლის 28 ივლისის განჩინებით, მყიდველის საკასაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე წლის 14 აგვისტოს, საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივრის საფუძველების, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და საქმის მასალების ფაქტობრივი შემოწმების საფუძველებისა და ფარგლების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

17. საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზია ეხება საქმის განხილვას არაგანსჯადი სასამართლოს მიერ. მოპასუხე აღნიშნულ საკითხს მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის პასუხად შეტანილ შესაგებელშივე აყენებდა. კასაციის საფუძველებში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განჩინების მე-12 პუნქტი), საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოდავე მხარეთა თანაბარ საპროცესო უფლებებზე, წარადგინონ ახსნა-განმარტებები, მტკიცებულებანი, მონაწილე-

ობა მიიღონ მათ გამოკვლევაში (იხ. სსსკ-ის 83-ე მუხლი), ასევე, მოდავე მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზების მაქსიმალურად გამოყენების თაობაზე, რათა თანაბრად იქნეს გადანაწილებული მოსარჩელის ვალდებულება, ამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას, ასევე, მოპასუხის ვალდებულება – ამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც ამყარებს თავის შესაგებელს და რომლითაც უარყოფს მის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელს (სსსკ-ის 102-ე, 103-ე მუხლები).

18. საკასაციო სასამართლო უთითებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაზე (იხ. წინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტზე) და აღნიშნავს, რომ მისი შემონმების ფარგლები ვერ გაცდება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი დავობს არა მასზე დაკისრებული ფულადი ვალდებულების შესრულებაზე, არამედ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელიც ეხება მხარეთა შორის ზეპირი გარიგებით დაწყებულ სამართლებრივ ურთიერთობას, პროდუქციის მიწოდების ანუ ხელშეკრულების შესრულების ადგილსა და თავად კასატორის (მოპასუხის) ადგილსამყოფელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ კასატორს, რომელიც განსახილველ შემთხვევაში მოვალეა, ფულადი ვალდებულება აქვს შესასრულებელი კრედიტორის (გამყიდველის) წინაშე.

19. საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ მოვალის ადგილსამყოფელია ქ. ბათუმი, ხოლო კრედიტორისა – საგარეჯოს რაიონის სოფ. პ-ი (იხ. ამონაწერები მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან). პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას კრედიტორს მოვალემ გადაუხადა მათ შორის მიღება – ჩაბარების აქტივ განსაზღვრული დავალიანების, როგორც მონოდებული პროდუქციის ღირებულების ნაწილი, 5000 ლარი, თანხის კრედიტორის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით (იხ. საგადახდო დავალეა №367825418, 15.09.2014). სსკ-ის 386-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილის საეჭვოობისას, ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით. მოხმობილი ნორმის მეორე ნაწილი ადგენს: „თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია“.

20. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ფულადი ვალდებულების ნაწილი შესრულდა, მიწოდებული პროდუქციის ღირებულებიდან 5000 ლარი გადაიხადეს კრედიტორის – სანარმოს იურიდიული მისამართის მიხედვით. მოვალემ კრედიტორს, მის მიერ ინიცირებული სასარჩელო წარმოების პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობისას, გადაურიცხა სანარმოს საბანკო ანგარიშზე თანხის ნაწილი, რითაც არასრულად შესრულა ფულადი ვალდებულება. ფულადი ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება მიიღო კრედიტორმა, არ ყოფილა ამის წინააღმდეგი და, ვალდებულების შესრულებული ნაწილის ფარგლებში, შეამცირა კიდევ სასარჩელო მოთხოვნა.

21. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სსკ-ის 477-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით და ამ უკანასკნელის მიერ შესრულების მიღება შეესაბამებოდა მხარეთა ნებას. შესაბამისად, ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია სასამართლო დავის განხილვისას საპროცესო ნორმების დარღვევასა და არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე.

22. ზემოხსენებული მოტივაციის გათვალისწინებით, სსკ-ის 404-ე და 407-ე მუხლებით საკასაციო საჩივრის შემოწმებისათვის დადგენილ პროცესუალურ-სამართლებრივ ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც უარი უნდა ეთქვას კასატორს მოთხოვნაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ს-1“-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება;
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეთანხმება პროცენტის გადახდის შესახებ თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას

ბანკინება

№ას-535-508-2014

16 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ გაუქ-
მება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2012 წლის 14 აგვისტოს, რ. ჭ-ესა (შემდეგში მოპასუხეს, გამსესხებელს ან კრედიტორს) და მ. დ-ს (შემდეგში მოსარჩე-
ლეს, მსესხებელს ან მოვალეს) შორის გაფორმდა სესხისა და
იპოთეკის ხელშეკრულება, რაც დადასტურდა სანოტარო წე-
სით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის,
623-ე, 286.1, 289.1 მუხლები).

2. დასახელებული ხელშეკრულების თანახმად, გამსესხე-
ბელმა მსესხებელს ასესხა 6000 აშშ დოლარი 3 თვის ვადით,
სარგებლის – ყოველთვიურად სესხის თანხის 5%-ის დარიცხვით
(სსკ-ის 625.1 მუხლი).

3. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ კრედიტორის
მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთე-
ბოდა ქ.ქუთაისში, ხ-ას ქ.№...-ში მდებარე მსესხებლის საკუთ-
რებაში არსებული უძრავი ქონება (სსკ-ის 286.1, 289.1 მუხლე-
ბი).

4. ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად, შეთანხმე-
ბულ ვადაში სესხის ანდა მასზე დარიცხული სარგებლის გადა-
უხდელობის ან გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, მსესხე-
ბელს ეკისრება პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებუ-
ლი დღისთვის გადასახდელი თანხის 0.3% (სსკ-ის 417-ე-418-ე
მუხლები).

5. 2013 წლის 16 ივლისს ნოტარიუსმა კრედიტორის სასარ-
გებლოდ გასცა სააღსრულებო ფურცელი (სსკ-ის 302-ე მუხლის
მე-31 ნაწილი და „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანო-
ნის 38.5 და 40-ე მუხლები). სააღსრულებლო ფურცლის მიხედ-

ვით, აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობას შეადგენდა:

- სესხის ძირითადი თანხა – 6000 აშშ დოლარი;
 - პირგასამტეხლო 18 აშშ დოლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2013 წლის 14 მაისიდან აღსრულებამდე;
 - ადვოკატის მომსახურების ხარჯი – 300 ლარი;
 - სააღსრულებლო ფურცლის გაცემის ხარჯი – 125.54 ლარი.
- ამავე სააღსრულებლო ფურცლით დადგინდა იპოთეკის საგნის რეალიზაცია.

6. მოვალემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა:

- სააღსრულებლო ფურცლის ნაწილობრივ გაუქმება სესხის ძირითადი თანხის ნაწილში (მოსარჩელის მოსაზრებით, სესხის ძირითად თანხას უნდა გამოჰკლებოდა 1800 აშშ დოლარი, რადგან ეს თანხა მას გადახდილი ჰქონდა);

- სააღსრულებლო ფურცლის ნაწილობრივ გაუქმება პირგასამტეხლოს ნაწილში (პირგასამტეხლოს შემცირება 1000 აშშ დოლარით);

- სააღსრულებლო ფურცლის გაუქმება საადვოკატო მომსახურების გადასახადის (300 ლარის) ნაწილში.

7. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებითა და ამავე სასამართლოს 2013 წლის 12 დეკემბრის განჩინებით:

7.1. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

7.2. ნაწილობრივ გაუქმდა მოთხოვნა ძირითადი თანხის ნაწილში და მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა 5700 აშშ დოლარის გადახდა;

7.3. შემცირდა მოვალისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო და იგი განისაზღვრა 0.1%-ით, რაც გამოთვლილ იქნა 5700 აშშ დოლარიდან და განისაზღვრა 353.40 აშშ დოლარით;

7.4. დაკმაყოფილებული სარჩელის ნაწილში გაუქმდა სააღსრულებლო ფურცელი;

7.5. სხვა ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

7.6. 300 აშშ დოლარის 3%, 9 აშშ დოლარის ეკვივალენტი, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მოპასუხეს. გარდა ამისა, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრა 353.4 აშშ დოლარის 3% – 11 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. მოპასუხესვე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელის უზრუნველყოფისათვის გადახდილი 50 ლარისა და 300 ლარის 3%-ის – 9 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურება;

7.7. სარჩელი არ დაკმაყოფილდა ძირითადი თანხიდან 1500

აშშ დოლარის შემცირების ნაწილში.

7.8. ამ ნაწილში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1500 აშშ დოლარის 3%, 45 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, ჩაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. შემცირებული პირაგასამტეხლოს – 799 აშშ დოლარის ნაწილში მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 3% – 24 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მოპასუხეს, ხოლო მოსარჩელის მიერ 201 აშშ დოლარის ნაწილში გადახდილი ბაჟის 3% – 6 აშშ დოლარი დარჩა გადახდილი სახელმწიფო ბიუჯეტში. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 100 ლარის გადახდა.

8. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლომ დაადგინა, ასევე, რომ 2012 წლის 15 ოქტომბერს მოვალემ კრედიტორს გადაუგზავნა 300 აშშ დოლარი, 2012 წლის 14 ნოემბერს – 305 აშშ დოლარი, 2012 წლის 14 დეკემბერს – 305 აშშ დოლარი, 2013 წლის 16 თებერვალს – 105 აშშ დოლარი, 2013 წლის 18 მარტს – 203 აშშ დოლარი, 2013 წლის 20 მარტს – 103 აშშ დოლარი, 2013 წლის 15 აპრილს – 305 აშშ დოლარი, ხოლო 2013 წლის 21 მაისს – 307 აშშ დოლარი.

9. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოვალის მიერ კრედიტორისათვის გადახდილი ზემოხსენებული თანხა წარმოადგენდა სესხის პროცენტს, ამიტომ არ უნდა გამოკლებოდა სესხის ძირ თანხას.

10. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 420-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადასახდელი თანხის 0.3%, იყო შეუსაბამოდ მაღალი და იგი უნდა შემცირებულიყო 0.1%-მდე.

11. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სესხის ძირი თანხისათვის (6000 აშშ დოლარისათვის) 1200 აშშ დოლარის გამოკლებაზე, ასევე, იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა პირგასამტეხლოს 0.01%-მდე შემცირებაზე.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 მარტის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილება.

13. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები.

14. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ სესხი 3 თვის ვადით გაიწა და ამ ვადის გასვლის შემდეგ მის მიერ გადახდილი თანხა სესხის ძირს უნდა გამოჰკლებოდა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც ვალდებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამთვიან ვადაში არ შესრულდა, ამავე ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გადახდილი თანხა სესხის პროცენტად, და არა ძირითად თანხად, უნდა მიჩნეულიყო.

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

– მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, ეს ცვლილება უნდა განხორციელებულიყო წერილობითი ფორმით. ასეთი სახის შეთანხმება მხარეთა შორის მიღწეული არ ყოფილა, კერძოდ, მოსარჩელეს მოპასუხესთან შეთანხმებით სესხის ხელშეკრულების ვადა არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით არ გაუგრძელებია. აქედან გამომდინარე, მოპასუხეს უნდა დაედასტურებინა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ გადახდილი ფული არ იყო ძირითადი თანხის ნაწილი და რომ მხარეებმა გააგრძელეს ხელშეკრულება და მისი მოქმედების პირობები ხელშეკრულების 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგაც გაგრძელდა;

– მხარეებმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დაარაგისტრირეს საჯარო რეესტრში, ასევე, შეთანხმდნენ ნებისმიერი ცვლილების წერილობითი ფორმით შეტანის შესახებ. ამდენად, ხელშეკრულება ვალდებულების გაგრძელების შესახებ უნდა გაფორმებულიყო ამავე ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება, სათანადო ფორმის დაუცველობის გამო, ბათილად ჩაითვლება. მხარეებს შორის ვადის გაგრძელების თაობაზე შეთანხმება არ დადებულია შესაბამისი ფორმით;

– მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს იმაზე მეტი შესრულების განხორციელება, ვიდრე მან ხელშეკრულებით იკისრა. შესაბამისად, სარგებლის (პროცენტის) გადახდის ვალდებულება, რომელიც მხარეებმა გაითვალისწინეს, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფულადი ვალდებულების ვადის გადაცილებისთვის მოვალეს მხო-

ლოდ მაშინ შეიძლება დაეკისროს პროცენტის გადახდა, თუ აღნიშნულის თაობაზე არსებობს კანონით დადგენილი წესით შეთანხმება;

– ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილეს და ძირ თანხას გამოაკლეს მხოლოდ 300 აშშ დოლარი, რაც გასაჩივრებული გადანყვეტილების დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს;

– ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს შეფასება არასწორია პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის ნაწილშიც, ვინაიდან, თუკი მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხა მიჩნეულ იქნებოდა ძირი თანხის ნაწილად, მაშინ პირგასამტეხლოც შესაბამისად შემცირდებოდა;

– საადვოკატო და სანოტარო ხარჯების ნაწილშიც გადანყვეტილება ექვემდებარება გაუქმებას კანონის ნორმის არასწორად განმარტების გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

16. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემონგების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

17. სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები [სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი], რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი სამართლებრივი დასკვნა სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე.

18. მხარეთა შორის სსკ-ის 623-ე მუხლით მონესრიგებული სასესხო ურთიერთობის არსებობა დავას არ ინვეს. სადავოა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით დადგენილი ფულადი ვალდებულების მოცულობა, კერძოდ, მსესხებელი მიიჩნევს, რომ სესხის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იგი იხდიდა სესხის ძირს და არა სესხის პროცენტს, ვინაიდან არ არსებობდა მხარეთა შეთანხმება ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის პროცენტის გადახდის თაობაზე და არც სესხის ხელშეკრულება არ გაგრძელებულა.

19. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებული იყო სამართლებრივად მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტების დადგენაზე, კერძოდ, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრუ-

ლებით იყვნენ თუ არა მხარეები შეთანხმებული, თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოვალის მიერ სესხის პროცენტის (სარგებლის) გადახდის თაობაზე, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას, გააგრძელეს თუ არა სესხის ხელშეკრულების ვადა.

20. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე, რომელიც შეეხება სსკ-ის 403-ე მუხლის განმარტებას. ამ განმარტების თანახმად, მოვალის მიერ სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების შემთხვევაში, გამსესხებელს (კრედიტორს) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მოსთხოვოს მოვალეს სესხის პროცენტის (სარგებლის) გადახდა ვადაგადაცილებული დროისათვის, თუ თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის არსებობს მხარეთა შეთანხმება სესხის პროცენტის გადახდის თაობაზე (იხ. სუსგ, 22.10.2012წ., საქმე №ას-1701-1685-2011).

21. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რა მოსარჩელის მოსაზრება (იხ. წინამდებარე განჩინების მე-18 პუნქტი), მიუთითა 14.08.2012 წლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 7.1 პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან. სესხის ხელშეკრულების ვადა ვადის და, შესაბამისად, იპოთეკა წყდება: ა. სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მსესხებლის ვალდებულების შესრულებისას; ბ. იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციით მიღებული თანხით იპოთეკარის დაკმაყოფილებისას (როდესაც მსესხებელი ნებაყოფლობით არ ასრულებს ვალდებულებას) და გ. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. სააპელაციო სასამართლო არ განმარტავს, თუ რა იგულისხმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 7.1 პუნქტის ციტირებისას, თუმცა, რაც არ უნდა ეფიქრა, ცხადია, რომ მიუთითებული პუნქტი ადგენს არა სესხის ხელშეკრულების ვადას (სესხის დაბრუნების ვადას), არამედ იპოთეკის უფლების შეწყვეტის საფუძვლებს. როგორც ცნობილია, იპოთეკა აქცესორული უფლებაა. მისი არსებობა ყოველთვის დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების, ძირითადი მოთხოვნის არსებობაზე, შესაბამისად, იპოთეკა არ შეიძლება არსებობდეს მოთხოვნის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ იპოთეკის უფლება წყდება იმ მოთხოვნის გაუქმებასთან ერთად, რომლის უზრუნველსაყოფადაც იგი არსებობს (სსკ-ის 5.1 და 270-ე მუხლები). მოთხოვნის გაუქმებაში იგულისხმება, როგორც მოთხოვნის შესრულებ

ბა, ისე მისი გაუქმება სხვა საფუძვლით (მაგალითად: მოთხოვნის ბათილობა, მოთხოვნის შესრულების შეუძლებლობა და სხვა). სწორედ იპოთეკის ეს ფუძემდებლური პრინციპია ასახული ზემოხსენებული ხელშეკრულების 7.1 პუნქტში. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, ხელშეკრულების ეს პუნქტი მივიჩნიოთ მხარეთა შეთანხმებად ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის სესხის პროცენტის (სარგებლის) გადახდის თაობაზე.

22. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს 14.08.2012 წლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 4.7 პუნქტზე, რომლის მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებას ან დამატებას ძალა აქვს იმ შემთხვევაში, თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით, ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზემოხსენებული ფორმით ამ ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე არც მოპასუხეს მიუთითებია და ასეთი ფაქტი არც სასამართლოს არ დაუდგენია.

23. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავაკენათ, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს მხარეთა შეთანხმება სესხის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის სესხის პროცენტის (სარგებლის) გადახდის თაობაზე, ასევე, არ არსებობს შეთანხმება 14.08.2012 წლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მსესხებელი 15.10.2012 წლიდან 21.05.2013 წლამდე იხდიდა მხოლოდ სესხის პროცენტს (სარგებელს) და არა ძირსაც. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით დადგენილი ფულადი ვალდებულების მოცულობის განსაზღვრისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ, 14.08.2012 წლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გამსესხებელს შესაძლებელია გააჩნდეს მოთხოვნის უფლება 3 თვის სესხის პროცენტზე (სარგებელზე). აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, მსესხებლის მიერ კრედიტორისათვის გადახდილი თანხიდან რამდენია სესხის პროცენტი (სარგებელი) და რამდენია დარჩენილი თანხა, რომელიც შესაძლებელია გამოაკლდეს სესხის ძირს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მითითებული ფაქტების დადგენაზე იქნება დამოკიდებული პირგასამატებლოს ოდენობის გამოანგარიშებაც.

24. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახალი განხილვისას, უნდა გამოიკვლიოს წინამდებარე განჩინების 23-ე პუნქტში მითითებული გარემოებები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტილების არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

26. კასატორი სადავოდ ხდის გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას საადვოკატო და სანოტარო მომსახურების ხარჯების დაკისრების ნაწილში ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმებაზე უარის თქმის ნაწილშიც. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განუხილველად უნდა დარჩეს საკასაციო საჩივარი მითითებულ ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე სარჩელით არ მოითხოვდა სააღსრულებო ფურცლის გაუქმებას სანოტარო ხარჯის (125.54 ლარის) გადახდის დაკისრების ნაწილში, შესაბამისად, ამ საკითხზე არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია და ვერც იმსჯელებდა, ვინაიდან დაარღვევდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2.1 (უფლების სასამართლო წესით დაცვა), 3.1 (დისპოზიციურობის პრინციპი) და 248-ე (სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები) მუხლების მოთხოვნებს. რაც შეეხება სააღსრულებო ფურცლის გაუქმებას საადვოკატო მომსახურების ხარჯის (300.00 ლარის) გადახდის დაკისრების ნაწილში, ასეთი მოთხოვნა

ნა, მართალია, მოსარჩელეს ჰქონდა, პირველი ინსტანციის სასამართლომ მასზე იმსჯელა კიდევ და არ დააკმაყოფილა იგი, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ გაუსაჩივრებია, კერძოდ, როგორც სააპელაციო საჩივრით ირკვევა, მოსარჩელე მოითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა სესხის ძირი თანხისათვის (6000 აშშ დოლარისათვის) 1200 აშშ დოლარის გამოკლებაზე, ასევე, იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა პირგასამტეხლოს 0.01%-მდე შემცირებაზე (იხ. სააპელაციო საჩივარი). აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ კასატორს თავის დროზე სააპელაციო საჩივრით არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა საადვოკატო მომსახურების ხარჯის დაკისრების ნაწილში ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმებაზე, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში დაუშვებელია და განუხილველად უნდა დარჩეს (სსსკ-ის 391.1 მუხლი). ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ, იმსჯელა რა საადვოკატო მომსახურების ხარჯის დაკისრების ნაწილში ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის კანონიერების თაობაზე, დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377.1 მუხლის მოთხოვნა, კერძოდ, იგი გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, თუმცა ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება გამოტანილი არ ყოფილა, ვინაიდან ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს არ შეუცვლია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, ანუ აპელანტისათვის (მოსარჩელისათვის) არ მიუკუთვნებია ის, რაც მას არ უთხოვია.

27. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარვეზი, რაც განუწესდა ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა გადანიშნოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

28. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. განუხილველად დარჩეს მ. დ-ის საკასაციო საჩივარი საადვოკატო და სანოტარო ხარჯების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების თაობაზე;

2. მ. დ-ის საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის

განჩინება

№ას-979-940-2014

10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ზ. ძლიერიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. კ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ავიაკომპანია თ-ის (სს თ-ს თბილისის ფილიალი) მიმართ მორალური ზიანის – 80 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით სარ-

ჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. კ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით დ. კ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. კ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დ. კ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 10 000 ლარის ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 13 ივლისს, 10:20 საათზე ავიაკომპანია „თ-ს“ რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკიდან საქართველოში სანკტ.პეტერბურგი-სტამბოლი-თბილისი ტრანზიტული რეისით უნდა ჩამოესვენებინა დ. კ-ას შვილის, მ. ნ-ის ცხედარი;

სტამბოლიდან თბილისში 2013 წლის 13 ივლისს, 10:20 საათზე ჩამოფრენილ ავიაკომპანია „თ-ის“ თვითმფრინავში მ. ნ-ის ცხედარი არ აღმოჩნდა, რადგან ავიაკომპანიამ ცხედარი შეცდომით გადააგზავნა სამხრეთ კორეაში;

მხარეთა განმარტებებისა და ავიაზედნადებების თანახმად, მ. ნ-ის ცხედარი ავიაკომპანია „თ-ის“ მიერ საქართველოში ჩამოტანილი იქნა 2013 წლის 14 ივლისს, 17:20 საათზე;

2013 წლის 13 ივლისს, 10:20 საათზე აპელანტი დ. კ-ა და სხვა ჭირისუფლები იმყოფებოდნენ აეროპორტში და ელოდებოდნენ მიცვალებულის ჩამოსვენებას. მას შემდეგ, რაც 2013 წლის 13 ივლისს, 10:20 საათზე სტამბოლიდან ჩამოფრენილ ავიაკომპანია „თ-ის“ რეისზე მ. ნ-ის ცხედარი არ აღმოჩნდა, მოსარჩელემ ინფორმაციისათვის მიაკითხა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში არსებულ ავიაკომპანია „თ-ის“ წარმომადგენლობას, თუმცა, ინფორმაცია მისი შვილის ადგილსამყოფელის შესახებ, ვერ მიიღო, რის შემდეგაც, დახმარების მიზნით, მიმართა პოლიციასა და ტელევიზიას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარწმუნოდ იქნა მიჩნეული აპელანტის განმარტება, რომ მას თ-ს წარმომადგენლის მიერ არ მიეწოდა ინფორმაცია, თუ რატომ არ აღმოჩნდა მ. ნ-ის ცხედარი 2013 წლის 13 ივლისს, 10:20 საათზე ჩამოფრენილ ავიაკომპანიის კუთვნილ თვითმფრინავში და თუ სად იმყოფებოდა ის იმჟამად. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმად, არავის არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, შესაბამისად, იმ გარემოების

დამტკიცება, რომ ავიაკომპანია „თ-ის“ წარმომადგენელმა დროულად და ამომწურავად მიაწოდა მომხდარის თაობაზე ინფორმაცია აპელანტს, ავიაკომპანიას ეკისრებოდა, რომელმაც ეს გარემოება ვერ დაადასტურა. ავიაკომპანია „თ-ის“ მხრიდან მ. ნ-ის ცხედრის თბილისში დაგვიანებით ჩამოსვენებითა და აღნიშნულის გამომწვევი მიზეზებისა და ცხედრის ადგილსამყოფელის მოსარჩელისათვის დროულად და სრულყოფილად შეუტყობინებლობით, დ. კ-ას შეელახა ღირსება და განიცადა ძლიერი სულიერი ტკივილი.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებზე, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულაში განმარტებულ ღირსების ცნებაზე, კონვენციის მე-13 ოქმზე, რომლითაც გაუქმდა სიკვდილით დასჯა და აღნიშნა, რომ ადამიანის ღირსების ფართო და ფუნდამენტური გაგება უდევს საფუძვლად სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრეს პრინციპს – ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვას, ისევე როგორც, საზოგადოდ, წარმომადგენლობით დემოკრატიას, რომელიც გონიერი, თავისუფალი ნებისა და პასუხისმგებლობის მქონე ინდივიდთა ერთობლივ მმართველობას გულისხმობს. თავისუფალი პიროვნება და მისი ღირსება საქართველოს კონსტიტუციის უზენაესი ღირებულებაა. ღირსების უფლება ვრცელდება გვამზე და გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნაზეც. პალატამ ასევე იხელმძღვანელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებით („მოქალაქე ა. გ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; „საქართველოს მოქალაქეები: გ. ყ-ი და ა. უ-ე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) და აღნიშნა, რომ „ღირსება“, სამოქალაქოსამართლებრივი გაგებით, შეიძლება განიმარტოს როგორც საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, უნარის, საზოგადოების წინაშე მისი ვალის მოხდის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება თვით პიროვნების მიერ. ეს თვითშეფასება ემყარება მორალური თუ სხვა თვისებების შეფასების საზოგადოების მიერ აღიარებულ კრიტერიუმებს. ღირსების ძირითადი უფლებით ადამიანის დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან კავშირში. პალატამ აღნიშნა ისიც, რომ საქართველოში მიცვალებულის სათანადოდ დატირება და უკანასკნელ გზაზე პატივისცემით მისი გაცილება ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციას წარმოადგენს. მოსარჩელის პიროვნების თა-

ვისუფალი განვითარების უფლებას წარმოადგენდა მისი გარდაცვლილი შვილის საქართველოში არსებული წეს-ჩვეულების შესაბამისად დატირება და უკანასკნელად გამომშვიდობება. დედის მიერ შვილის ცხედრის პირველად ნახვა დაკავშირებულია უდიდეს სულიერ ტკივილთან, რასაც დიდი ემოციური ძალისხმევა და შემზადება სჭირდება. მ.ნ-ის გარდაცვალებიდან ჩამოსვენების თარიღამდე გასული პერიოდის მხედველობაში მიღებით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა, რომ მას, ცხედრის შენახვის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ჩამოსვენების დღესვე ჰქონდა განზრახული საქართველოში დამკვიდრებული წეს-ჩვეულებების დაცვით შვილის დაკრძალვა. ფაქტობრივად, მ. ნ-ის ცხედრის ჩამოსვენება განხორციელდა 2013 წლის 14 ივლისს, საღამოს, 17:20 საათზე. იმის გათვალისწინებით, რომ მიცვალებულის გასაპატიონებლად ჩასატარებელი რიტუალები გარკვეულ დროს მოითხოვდა, აპელანტს 14 ივლისსაც შეეზღუდა შვილის სათანადო პატივით დაკრძალვის შესაძლებლობა. შესაბამისად, სრულად იქნა გაზიარებული აპელანტის განმარტება, რომ მან დათქმულ დროს გარდაცვლილი შვილის ჩამოუსვენებლობით განიცადა დიდი ემოციური სტრესი და ძლიერი სულიერი ტკივილი. გარდაცვლილი შვილის დაგვიანებით ჩამოსვენება, რომ მოსარჩელის ემოციურ განცდებს გამოიწვევდა სადავოდ არც მოპასუხის წარმომადგენელს გაუხდია პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე.

სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნა, რომ ზიანი შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, მატერიალური, ხელშესახები, ობიექტურად არსებული და, მეორე მხრივ, მორალური, რომელიც გაიგივებულია სულიერ განცდასა და ფიზიკურ ტანჯვასთან. პირს ზიანი დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი დგება იმ შემთხვევაში, როცა ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია. მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დაზარალებულის სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რომელიც გამომწვეულია მოქმედებით (უმოქმედობით) და რომელიც ხელყოფს მოქალაქის კანონით გათვალისწინებულ არამატერიალურ სიკეთეს. მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად, ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება ფულადი ანაზღაურების სახით. მორალური ზიანის ანაზღაურება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა ეფუძნებოდეს

მიყენებული ფიზიკური და მორალური ტანჯვის ხარისხს, შესაბამისად, ანაზღაურების მიღების უფლების მქონე პირთა განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს პიროვნებისათვის ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვის მიყენება. მორალური ზიანი ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილების არსებობისას დგინდება და გადაწყვეტ როლს ასრულებს ზიანი სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება. მძიმე ფსიქიკური განცდებისა და სულიერი ტანჯვისას მოქმედებს ე.წ. მორალური ზიანის პრეზუმფცია და ზიანის მიმყენებლის მიერ საინანაღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა. მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს მორალური ზიანის, როგორც სამართლებრივი კატეგორიის, მიზანს – შეუმსუბუქოს დაზარალებულს სულიერი მდგომარეობა.

პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხის ბრალით მოსარჩელის შვილის ცხედრის ჩამოსვენება რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან საქართველოში განხორციელდა 31 საათის დაგვიანებით. ავიაკომპანიის ქმედებებით (ინფორმაციის არადროული მიწოდებით) შეილახა მოსარჩელის ღირსება და მიადგა დიდი სულიერი ტკივილი.

პალატამ მიუთითა სს „თ-ს“ თბილისის ფილიალის დირექტორის 2013 წლის 4 ნოემბრის წერილზეც, რომლის თანახმადაც ავიაკომპანიამ მოსარჩელეს მიყენებული ტკივილის შემსუბუქების მიზნით შესთავაზა სამი უფასო ბილეთით სარგებლობა ევროპის მიმართულებით, აღნიშნულის საპირისპიროდ კი, დავის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის პრევენციული უფქციის, დარღვეული უფლებების ხასიათს, პირის ჯანმრთელობის დაზიანებისა და ამ დარღვევის ნეგატიურ როლის გათვალისწინებით, პალატამ მორალური ზიანის გონივრულ და სამართლიან ოდენობად 10 000 ლარი მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს თ-ს თბილისის ფილიალმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლო გასცდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და ვარაუდის დონეზე გარკვეული გარემოებები დადასტურებულად მიიჩნია, ისე რომ მხედველობაში არ მიიღო ვალდებულებითი სამართლის ნორმები და გადაწყვეტილება დელიქტური სამართლის, ასევე პირის პატივისა და ღირსების შელახვის მარეგულირებელ ნორმებს დაამყარა, რასაც განსა-

ხილველ შემთხვევასთან კავშირი არ აქვს.

გადაზიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, გათვალისწინებული იყო მიმართულებები და არა დრო, თუ როდის და რა მარშრუტით უნდა მომხდარიყო ცხედრის გადმოსვენება, მით უფრო, რომ ხელშეკრულების შესაბამისად მოქმედებდა შეზღუდვები, რომელიც ნათლად არის განერილი ხელშეკრულებაში. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კი, დელიქტური ვალდებულებები სახეზეა მაშინ, როდესაც არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა.

სააპელაციო პალატამ უგულებელყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და დამკვიდრებული განმარტებები დელიქტთან მიმართებაში, ასევე გამოიყენა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთაც მოცემულ საქმესთან არავითარი შეხება არ აქვთ. გადანყვეტილება აგებულია იმაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მიადგა ზიანი, შეილახა მისი პატივი და ღირსება ემოციური სტრესის მიყენებით, თუმცა ამის შესახებ რაიმე მტკიცებულება და ფაქტი საქმეში არ არსებობს.

გადაზიდვის დოკუმენტში საერთოდ არ არის მითითებული გადმოსვენების დრო და თარიღი, ხოლო რაზე დაყრდნობით ადასტურებს სასამართლო ამ ფაქტს გაუგებარია. ამ გარემოების დადასტურების შემთხვევაშიც კი, მოქმედებს საერთაშორისო ნორმები და ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც გადაზიდვას არეგულირებენ და მხარეთა პასუხისმგებლობას განსაზღვრავენ.

პალატამ არასწორად მიიჩნია საკმარისად მოსარჩელის მიერ იმის მითითება, რომ მას მოპასუხის წარმომადგენლებმა არ მიანოდეს ინფორმაცია შვილის ცხედრის ადგილსამყოფელის შესახებ. კასატორი მოქმედებდა ხელშეკრულების ფარგლებში და განზრახ ან გაუფრთხილებლობით რომელიმე მხარისათვის ზიანის მიყენებას ადგილი არ ჰქონია.

სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის არადროული და არასრულყოფილი ინფორმირებით შეილახა მისი ღირსება, თუმცა გაურკვეველია, რას მოიაზრებს სასამართლო დროულ ინფორმირებაში, მოპასუხემ არაერთხელ აღნიშნა, რომ სულიერი ტკივილი შვილის გარდაცვალებისას დადგა და ეს ტკივილი გრძელდებოდა, ხოლო კასატორს მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება განზრახული არ ჰქონია. სააპელაციო პალატა ცდილობს, პატივისა და ღირსების განმარტებით გაამართლოს მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა მხოლოდ შინაგანი რწმენა, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების მიღებას. ასევე

არასწორია სასამართლოს შეფასება, რომ კასატორის მხრიდან შეთავაზებული ავია ბილეთები მიყენებული ტკივილის შემსუბუქებას ემსახურებოდა. შეთავაზება სასამართლოს მხრიდან არა ერთი თხოვნის გათვალისწინებით განხორციელდა, რომელიც არა მიყენებული ზარალის კომპენსაციას, არამედ ადამიანური მომენტის გათვალისწინებით მხარისათვის დახმარების განევას წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სს თ-ს თბილისის ფილიალის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაბუთებული და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, ხოლო კასატორის სადავოდ არ გაუხდია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2013 წლის 12 ივლისს, 10:20 საათზე ავიაკომპანია თ-ს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან საქართველოში სანკტ.პეტერბურგი-სტამბოლი-თბილისის ტრანზიტული რეისით უნდა ჩამოესვენებინა დ. კ-ას შვილის, მ. ნ-ის ცხედარი;

2013 წლის 13 ივლისს, 10:20 საათზე სტამბოლიდან თბილისში ჩამოფრენილ ავიაკომპანია თ-ის თვითმფრინავში მ. ნ-ის ცხედარი არ აღმოჩნდა, რადგანაც ავიაკომპანიამ ცხედარი შეცდომით სამხრეთ კორეაში გააგზავნა;

მ. ნ-ის ცხედარი მოპასუხემ საქართველოში 2013 წლის 14 ივლისს, 17:20 საათზე ჩამოასვენა, რის გამოც, მოსარჩელეს, 2013 წლის 14 ივლისსაც შეეზღუდა შვილის სათანადო პატივით დაკრძალვის შესაძლებლობა.

მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას

იმ გარემოებაზე ამყარებდა, რომ დათქმულ დროს, 2013 წლის 13 ივლისს, 10:20 საათისათვის იგი გამოცხადდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, თუმცა, რადგანაც ავიაკომპანიის მითითებულ რეისზე მ. ნ-ის ცხედარი არ აღმოჩნდა, ინფორმაციისათვის მიაკითხა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში არსებულ ავიაკომპანია თ-ის წარმომადგენლობას, მაგრამ მოპასუხემ მისი შვილის ცხედრის ადგილსამყოფელი არ შეატყობინა, შესაბამისად, მან დახმარებისათვის მიმართა, როგორც პოლიციას, ისე ტელევიზიას. ავიაკომპანიამ მოსარჩელე შეგნებულად არ ჩააყენა საქმის კურსში, რამაც დიდი დაღი დაასვა მოსარჩელეს, მის ფსიქიკურ და ემოციურ მდგარდობას. დ. კ-ამ განიცადა წარმოუდგენელი ფსიქიკური და ემოციური სტრესი, რომელიც ცხოვრების ბოლომდე დაღს დაასვამს მის ჯანმრთელობას.

სააპელაციო პალატამ, მოსარჩელის ამ მტკიცებების გაზიარებით, მიიჩნია, რომ სს თ-ს მხრიდან მ. ნ-ის ცხედრის ადგილსამყოფელის დროულად შეუტყობინებლობით დ. კ-ას შეელახა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სიკეთე – ღირსება, შესაბამისად, მოსარჩელემ განიცადა ძლიერი სულიერი ტკივილი, დაირღვა კონსტიტუციით აღიარებული მისი თავისუფალი განვითარების უფლება. მოსარჩელის მიერ გაცდილი მძიმე ფსიქიკური და სულიერი ტანჯვის გამო, სააპელაციო პალატამ პრეზუმირებულ ფაქტად მიიჩნია მორალური ზიანის არსებობა, რომლის გაქარწყლების ვალდებულებაც ზიანის მიმყენებელს ეკისრებოდა. ეს გარემოება კი, ქვემდგომი სასამართლოს შეფასებით, მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს ქმნიდა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად არასწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლზე, რასაც სავსებით მართებულად არ დაეთანხმა კასატორი. სს თ-ს თბილისის ფილიალი გადაწყვეტილების გაუქმებას იმ საფუძველით მოითხოვს, რომ სასამართლომ დაარღვია მატერიალური სამართლის ნორმა, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, თუმცა, იმის გარკვევისათვის, თუ რამდენად დასაბუთებულ შედავებას წარმოადგენს კასატორის ზემოაღნიშნული პრეტენზია, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე საკითხზე:

სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვა-

ლისწინებული დანაწესი მოცემული შემთხვევისაგან განსხვავებულ ურთიერთობას შეეხება. 2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2004 წლის 16 ივლისიდან, ახლებურად მოწესრიგდა მე-18 მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა და ნორმის მე-2 ნაწილით განსაზღვრული უფლებების რეალიზაცია, სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნორმებთან ერთად, შესაძლებელი გახდა სპეციალური კანონით – „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელიც პირის პატივის, ღირსებისა თუ საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში სამართლებრივ ბალანსს სიტყვის და/ან გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გზით ადგენს. მოცემულ შემთხვევაში კი, სპეციალური კანონით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობა სახეზე არ გვაქვს. ნიშანდობლივია ისიც, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოხმობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები შეეხება სწორედ გამოხატვის თავისუფლების ქრილში შეფასებულ ღირსების ცნებას.

განსახილველი სამართალურითობა გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევით გამომწვეულ მორალური ზიანის ანაზღაურებას შეეხება. გადაზიდვის სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი არც ერთი ნორმა, გადაზიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. სამოქალაქო კოდექსის 686-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია გადამზიდველის პასუხისმგებლობის საფუძვლები და დადგენილია, რომ იგი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე – მიტანის ვადის გადაცილებისათვის. საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს ასევე საქართველოს საჰაერო კოდექსის 78-ე მუხლს, რომლის პირველი ნაწილი ტვირთის დაგვიანებით გადაზიდვისათვის გადამზიდვის პასუხისმგებლობას ადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ნორმის მე-2 ნაწილით მოწესრიგებულია ამგვარ შემთხვევაში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი და დადგენილია, რომ გადამყვან-გადამზიდველის პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ დაამტკიცებს, რომ ყველა ზომა მიიღო ზარალის თავიდან ასაცილებლად ან მისი თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. ასეთ მტკიცებულებათა წარდგენამდე მიიწ-

ნევა, რომ ტვირთის, ბარგის ან მგზავრის პირადი ნივთების მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვა, დაზიანება ან დაგვიანებით გადაზიდვა მოხდა გადამყვან-გადამზიდველის მიზეზით.

ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის (მორალური ზიანის ანაზღაურება) მარეგულირებელ სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი წარმოადგენს, თუმცა უნდა შემოწმდეს ის წინაპირობები, რომელთა არსებობასაც უკავშირებს კანონი ნორმით გათვალისწინებული შედეგის დადგომას, კერძოდ, მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია მოცემული ნორმით გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენას. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს ჩვეულებრივ, შესაძლოა, თან ახლდეს მორალური, სულიერი განცდები, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი. კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეუძლია დაზარალებულს, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. განსახილველი ნორმის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა. სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არაპრომისუნარიანად აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორიცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის

უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში.

განსახილველ შემთხვევაში, უდავოდაა დადგენილი მოპასუხის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის ფაქტი, კერძოდ ის, რომ სს თ-ს უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად მოხდა ტვირთის სამხრეთ კორეაში გადაზიდვა. ასევე დადგენილია და კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია იმ გარემოების თაობაზე, რომ ვალდებულების დარღვევისთანავე მან მოსარჩელეს არ აცნობა მიზეზი, თუ რამ განაპირობა მ.ნ-ის ნეშტის კონკრეტული რეისით ჩამოუსვენებლობა, სად იმყოფებოდა იგი და როდის მოხდებოდა ნეშტის დანიშნულების ადგილას გადატანა. კასატორს არც იმის მტკიცება შემოუთავაზებია სასამართლოსათვის, რომ ვალდებულების დარღვევა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით ან სხვა საპატიო მიზეზით. პალატა ვერ გაიზიარებს ავიაკომპანიის მსჯელობას ინფორმაციის მოძიებისათვის საჭირო დროის თაობაზე, ვინაიდან ეს მოსაზრება ვერ აქარწყლებს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (პოლიციის შესაბამისი სამსახურის აქტები) დადასტურებულ გარემოებას დახმარების აღმოჩენის მიზნით მოსარჩელის მიერ პოლიციისა და ტელევიზიისათვის მიმართვის შესახებ.

გასათვალისწინებელია, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გადაზიდვის ტიპიურ, სამოქალაქო ურთიერთობის ფარგლებს სცდება და მისი სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მხარეთა განსაკუთრებულ გულისხმიერებას საჭიროებდა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ ფაქტია, რომ დარღვეულია.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დ. კ-ას მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებაზე, რომ შვილის ცხედრის შეთანხმებულ დროს ჩამოუსვენებლობის, ასევე ინფორმაციის არადროული მიწოდე-

ბის შედეგად მან ძლიერი სულიერი სტრესი განიცადა, ამ გარემოებამ მის ფსიქიკას დაღი დაასვა და გავლენა იქონია ემოციურ მდგრადობაზე. პალატა დამატებით მოიხმობს დ. კ-ას განმარტებას, რომელიც მან სააპელაციო სასამართლოში წერილობით წარადგინა და განმარტა, რომ გარდაცვლილი შვილის ცხედარი, შორ მანძილზე გადაადგილების გამო, ცუდ მდგომარეობაში იყო და არ მიეცა მისი ნახვის, ასევე ჩასასვენებლით დაკრძალვის შესაძლებლობა, აღნიშნულმა კი, მძიმედ იმოქმედა მოსარჩელის ჯანმრთელობაზე. ამ განცხადებაში მოყვანილი გარემოებები სააპელაციო პალატას დაუშვებლად არ უცვნია, კასატორს კი, სადავოდ არ გაუხდია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება ჩამოსვენების დღეს მ. ნ-ის დაკრძალვის შეუძლებლობის შესახებ. გარდა აღნიშნულისა, გასათვალისწინებელია სარჩელზე დართული სს თ-ს თბილისის ფილიალის დირექტორის წერილი, სადაც მოპასუხე მწუხარებას გამოთქვამს მ. ნ-ის გარდაცვალების გამო, განუმარტავს დ. კ-ას, რომ ვალდებულების დარღვევის გამო, მას რაიმე პასუხისმგებლობა არ დაეკისრება და, ჰუმანურობიდან გამომდინარე, ადამიანური ტკივილის შესამსუბუქებლად, სთავაზობს ერთი წლის განმავლობაში ევროპის მიმართულებით სამი უფასო ბილეთით სარგებლობას. რაიმე მტკიცებულება, რაც, მომხდარი შემთხვევის გამო, ავიაკომპანიის მხრიდან მოსარჩელის მიმართ ფსიქოლოგიური თუ სხვა მორალური დახმარების განწევას დაადასტურებდა, საქმეში არ მოიპოვება.

საკასაციო სასამართლო მტკიცების საგნად არ მიიჩნევს და სრულად ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გადმოცემულ შეფასებებს საქართველოში დამკვიდრებული მიცვალებულის უკანასკნელ გზაზე სათანადო პატივით გაცილების, ასევე დედის მიერ შვილის ცხედრის პირველად ნახვასთან დაკავშირებული სულიერი ტკივილის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამგვარ ვითარებაში მყოფი პირისათვის შვილის ცხედრის ადგილსამყოფელის, ასევე იმის დროულად შეუტყობინებლობა, თუ რა მიზეზით არ აღმოჩნდა ნეშტი კონკრეტულ რეისზე, იძლევა პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობას, რომ ავიაკომპანიის მხრიდან ვალდებულების დარღვევით განცდილი ზემოაღნიშნული ნეგატიური ფაქტორებიდან გამომდინარე, მოსარჩელის ჯანმრთელობას მიადგა იმგვარი ზიანი, რასაც შედეგად პირის სულიერი ტანჯვა, ძლიერი ემოციური სტრესი მოჰყვა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პრეზუმირებული ფაქტი ისეთი ფაქტია, რომელიც არ შედის მტკიცების საგანში, ხოლო პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომლის სა-

წინააღმდეგოდაც მოქმედებს პრეზუმფცია (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია). ამგვარი მტკიცებულება მოპასუხის მხრიდან არ წარმოდგენილა, საკასაციო საჩივარში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ ავიაკომპანია ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებდა და მას მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება განზრახული არ ჰქონია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კი, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დადგენილად მიჩნეული ფაქტები (მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევა, ზიანის დადგომა, მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის) იძლევა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით გათვალისწინებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემადგენლობას.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა 10 000 ლარის გადახდა. საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას მორალური ზიანის ფუნქციის, მისი პრევენციული ბუნებისა და მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ოდენობის სასამართლოს მიერ განსაზღვრის თაობაზე, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, რადგანაც კასატორს დაკისრებული კომპენსაციის ოდენობა სადავოდ არ გაუხდია, მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს დაკისრებული თანხის პროპორციულობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს თ-ს თბილისის ფილიალის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2014 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-
საჩივრდება.

**ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე
თანხის დაკისრება;
პირგასამტეხლო**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-341-322-2014

27 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუჩი,
ბ. ალავეცი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ყ. თ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ჩ-ის“ წი-
ნალმდეგ და მოითხოვა: 1. მოპასუხისათვის ძირითადი დავა-
ლიანების – 337784,28 ლარისა და 2. პირგასამტეხლოს – 26 074
ლარის გადახდის დაკისრება.

სარჩელის ფაქტობრივ საფუძველად მითითებულია, რომ შპს
„ყ. თ-სა“ და შპს „ჩ-ს“ შორის 2009 წლის 1 დეკემბერს გაფორმდა
ხელშეკრულება ბუნებრივი გაზის ნასყიდობის შესახებ, რომ-
ლის თანახმად, შპს „ჩ-მ“ იკისრა ვალდებულება, საანგარიშო
წლის დაწყებამდე გადაეხადა ბუნებრივი გაზის საფასური. ხელ-
შეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ხელშემ-
კვრელ მხარეთა მიერ განისაზღვრა პირგასამტეხლოს გადახ-
დის ვალდებულება. მოპასუხემ ნასყიდობის ხელშეკრულებით
გათვალისწინებული ბუნებრივი გაზის საფასური არ გადაიხა-
და. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2010 წლის
1 იანვრამდე, მიუხედავად ამისა, გაზის მიწოდება მეორე მხა-
რისათვის დღემდე ხორციელდება.

მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, „ბუნებრივი გაზის ნასყიდობის, ასევე, ამ წესებით განსაზღვრული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს წერილობითი ფორმით“. მოსარჩელის მოსაზრებით, ის გარემოება, რომ ბუნებრივი გაზის ნასყიდობის ხელშეკრულების ვადა განსაზღვრული იყო 2010 წლის 1 იანვრამდე, არ ათავისუფლებდა მოპასუხეს ბუნებრივი გაზის ღირებულების გადახდის ვალდებულებიდან, ვინაიდან მოპასუხეს არ შეუწყვეტია ბუნებრივი გაზის მიღება და ამდენად, დღემდე გრძელდება მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა.

მოპასუხის მიერ გადასახდელი დავალიანების (გაზის საფასური) – 337 784,28 ლარის ოდენობის დასადასტურებლად მოსარჩელემ მიუთითა შპს „ჩ-ს“ ბრუნვის ისტორიაზე.

მოპასუხემ პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად წარმოადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა, შპს „ყ. თ-ისათვის“ შპს „ჩ-ის“ სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით გადახდილი 119 658 ლარისა და სოფ. დ-ის მოსახლეობის გაზიფიცირების ფარგლებში პროექტირებისა და შეჭრა-მონტაჟის საფასურის – 98 640 ლარის გადახდის დაკისრება.

შეგებებული სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია ის გარემოება, რომ შპს „ყ. თ-სა“ და შპს „ჩ-ს“ შორის 2009 წლის 1 დეკემბერს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შეგებებული სარჩელის ავტორი ქ. თბილისში, სოფელ დ-ში, კ-ის №27-ში მდებარე რვგ-250 ტიპის მრიცხველით აწარმოებდა ბუნებრივი გაზის მიღებას. აღნიშნული ხელშეკრულების 9.1 მუხლით განისაზღვრა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, გამყიდველი უფლებამოსილი იყო მყიდველისათვის დაეკისრებინა პირგასამტეხლო დავალიანების 0.07%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. შპს „ჩ-ი“ პირნათლად იხდიდა მიღებული გაზის საფასურს, თუმცა რამდენჯერმე მოხდა მის მიერ მიღებული გაზის საფასურის გადახდის დაგვიანება. ხელშეკრულების დადებიდან 2010 წლის მაისამდე პირგასამტეხლოს დარიცხვა არ მომხდარა, თუმცა 2011 წლის ბოლოს გაირკვა, რომ შპს „ყ. თ-ი“ 2010 წლის მაისიდან მყიდველს, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, არიცხავდა პირგასამტეხლოს და პირველ რიგში, გადახდილი ნასყიდობის საფა-

სურიდან ქვითავდა თანხას პირგასამტეხლოს ანგარიშში. შპს „ჩ-ნი“ ინვოისებს უგზავნიდა მოპასუხეს მხოლოდ დავალიანების ძირითად თანხაზე და არა პირგასამტეხლოზე და ამგვარად, ახდენდა ანგარიშსწორებას. შესაბამისად, შპს „ჩ-ნი“ იხდიდა მხოლოდ ნასყიდობის საფასურს და არა დარიცხულ პირგასამტეხლოს. თუმცა შპს „ყ. თ-ი“, პირველ რიგში, ფარავდა პირგასამტეხლოს, ხოლო გაზის საფასურის დარჩენილ თანხას არიცხავდა დამატებით პირგასამტეხლოს. ამრიგად, პირგასამტელო იზრდებოდა თვიდან-თვემდე და 2012 წლის 31 მაისის მდგომარეობით შეადგინა 125 425.94 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგებებული სარჩელის ავტორმა მოითხოვა პირგასამტეხლოს სახით, გადახდილი 119 658 ლარის ანაზღაურება.

ამასთან, შეგებებული სარჩელის ავტორმა აღნიშნა, რომ 2010 წლის 2 დეკემბერს სოფელ დ-ში დამონტაჟდა დამატებითი მრიცხველი, საიდანაც გაზი მიეწოდებოდა მოსარჩელეს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა დარიცხვოდა მხოლოდ ძველ მრიცხველს, მოპასუხე ახალ მრიცხველზეც არიცხავდა პირგასამტეხლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგებებული სარჩელის ავტორმა უკანონოდ მიიჩნია ორივე მრიცხველით მიღებულ ბუნებრივ გაზთან დაკავშირებული პირგასამტეხლოს დარიცხვა და განმარტა, რომ ახალი მრიცხველის ანგარიშში დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 31 389.72 ლარს.

ამასთან, შეგებებულ სარჩელში მითითებულია, რომ 2011 წლის ივლისიდან შპს „ყ. თ-ი“, როგორც ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიანტი, ქ. თბილისის მერიასთან და სოფელ დ-ის გამგეობასთან არსებული ზეპირი შეთანხმების საფუძველზე ახორციელებდა სოფელ დ-ის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გაზიფიცირებას, რაც მოიცავდა არსებულ გამანაწილებელ ქსელზე მოსახლეობის ახალ მომხმარებლებად მიერთებას, შეჭრა-მონტაჟსა და პროექტირებას. ვინაიდან, ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ სემეკის №12 დადგენილებით ახალ მომხმარებლებად მიერთებისას, გაზიფიცირება ან/და არსებულ ქსელთან მიერთება უნდა განხორციელდეს განაწილების ლიცენზიატსა და მომხმარებელს შორის ურთიერთშეთანხმებით (ფასთან დაკავშირებით), ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ამავე დადგენილების მე-11 მუხლის შესაბამისად, არსებულ გამანაწილებელ ქსელთან მიერთების მსურველი ვალდებულია განაწილების ლიცენზიატს გადაუხადოს მის მიერ შეჭრა-მონტაჟის სამუშაოე-

ბისა და ბუნებრივი გაზის მრიცხველის საფასური, რომლის ფინანსური რესურსი სოფელ დ-ის მოსახლეობას არ გააჩნდა, ქ.თბილისის მერიასა და მოპასუხეს შორის შედგა წერილობითი შეთანხმება, რომლის თანახმად, ამ თანხის გადახდის ვალდებულება იკისრა ქ.თბილისის მერიამ, რაც შპს „ჩ-ს“ პროექტირებისა და შეჭრა-მონტაჟის დასრულების შემდეგ უნდა გადაეცა შპს „ყ. თ-ვის“.

სოფელ დ-ში 600 სოციალურად დაუცველი მოსახლეობიდან დასრულდა 485 მოსახლის გაზიფიცირება (დარჩენების გაზიფიცირება მიმდინარეობს), შედგა მშენებლობით დამთავრებული ობიექტის ექსპლოატაციაში მიღების აქტები“, რასაც მოპასუხესთან ერთად ხელს აწერდა მოსარჩელის წარმომადგენელი. ეს ხელმოწერები ადასტურებდა, რომ მოპასუხეს ქ.თბილისის მერიასთან არსებული ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მიღებული ჰქონდა პროექტირებისა და შეჭრა-მონტაჟის საფასური, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ აქტებს ხელი არ მოეწერებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგებებული სარჩელის ავტორმა უსაფუძვლოდ მიიჩნია 87,300 ლარის დარიცხვა, რაც წარმოადგენდა სოფელ დ-ში სოციალურად დაუცველი 485 მოსახლის გაზიფიცირების ფარგლებში შეჭრა-მონტაჟსა და პროექტირების საფასურს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ყ. თ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შპს „ჩ-ს“ შპს „ყ. თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 235 355.24 ლარის გადახდა; შპს „ყ. თ-ის“ სარჩელი შპს „ჩ-ის“ მიმართ პირგასამტეხლოს სახით 26 074 ლარის მოთხოვნის ნაწილში, არ დაკმაყოფილდა; შპს „ჩ-ის“ შეგებებული სარჩელი შპს „ყ. თ-ის“ მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: შპს „ყ. თ-ს“ შპს „ჩ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 119 658 ლარის გადახდა; შპს „ყ. თ-ს“ შპს „ჩ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 21 920 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ყ. თ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება: ა) შპს „ყ. თ-ვის“, შპს „ჩ-ის“ სასარგებლოდ, 21 920 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა; ბ) შპს „ყ. თ-ის“ სასარგებლოდ შპს „ჩ-ის“ პირგასამტეხლოს – 26 074 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება; გ) შპს „ჩ-ის“ შპს „ყ. თ-ის“ სასარგებლოდ ძირითადი დავალია-

ნების დაკისრება 355 014.76 ლარის ოდენობით.

შპს „ჩ-იმ“ სააპელაციო საჩივართან ერთად განსახილველად წარადგინა შეგებებული სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში, ახალი გადაწყვეტილების მიღებით შპს „ყ. თ-თვის“ შპს „ჩ-ის“ სასარგებლოდ 98 640 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ყ. თ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შპს „ჩ-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 2.2. პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ჩ-ის“ შეგებებული სარჩელი შპს „ყ. თ-ის“ მიმართ, სოფელ დ-ის მოსახლეობის გაზიფიცირების ფარგლებში პროექტირებისა და შეჭრა-მონტაჟის სამუშაოების ანაზღაურების თაობაზე, დაკმაყოფილდა, შპს „ყ. თ-ს“, შპს „ჩ-ის“ სასარგებლოდ, დაეკისრა 98 640 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილისა და ამავე კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესზე მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა, რომ რამდენადაც თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე შპს „ჩ-ის“ დირექტორებმა – შ. ო-მ და ბ. თ-მ ცნეს სარჩელი ძირითადი დავალიანების ნაწილში, შპს „ყ. თ-ის“ სარჩელი 235 355.24 ლარის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

შპს „ყ. თ-ი“ სააპელაციო საჩივრით სადავოდ ხდოდა ძირითადი დავალიანების ოდენობას და განმარტავდა, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული თანხა – 235 355.24 ლარი წარმოადგენდა არა შპს „ყ. თ-ის“ სასარჩელო მოთხოვნას, არამედ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ თანხას. აღნიშნული თანხა წარმოადგენდა მთლიანი სასარჩელო მოთხოვნის ძირითადი თანხის – 355 014.76 ლარის და პირგასამტეხლოს თანხის – 119 658.94 ლარის სხვაობას. ამავდროულად, 2012 წლის 18 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით შპს „ჩ-ის“ შეგებებული სარჩელის საფუძველზე, შპს „ყ. თ-ს“ დამატებით დაეკისრა პირგასამტეხლოს თანხის – 119 658.94 ლარის გადახდა. აპელანტის მტკიცებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნა-

წლის 1.1 და 2.1 პუნქტების ერთდროული მოქმედების შედეგად, შპს „ყ. თ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა პირგასამტეხლოს თანხით შემცირდა ორჯერ, პირველად, სასარჩელო მოთხოვნის შემცირებით და მეორედ, პირგასამტეხლოს თანხის დამატებით დაკისრებით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის ზემოაღნიშნული მოსაზრება და მიუთითა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 19 ნოემბრის სხდომის აუდიო ჩანაწერზე, რომლითაც დასტურდებოდა გარემოება იმის შესახებ, რომ შპს „ჩ-ის“ ძირითადი დავალიანება შპს „ყ. თ-ის“ მიმართ ბუნებრივი აირის მიწოდების დღიდან – 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგენდა 96 611.58 ლარს, ხოლო 2010 წლის 1 იანვრიდან – 2012 წლის 25 სექტემბრამდე (სასარჩელო მოთხოვნის ბოლო დაზუსტებამდე) მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასური (ძირითადი დავალიანება) შეადგენდა 138 744, ე.ი. სულ ჯამში ძირითადი დავალიანების ოდენობა განისაზღვრებოდა 235 355. 58 ლარით (19.11.2012წ.-ის სხდომის ოქმი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ, შპს „ყ. თ-ის“ სარჩელი ძირითადი დავალიანების ანაზღაურების ნაწილში, მართებულად დააკმაყოფილა სრულად, მოპასუხე შპს „ჩ-ის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ამ ნაწილში, სარჩელის ცნობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია შპს „ყ. თ-ის“ მოთხოვნა შპს „ყ. თ-სა“ და შპს „ჩ-ნს“ შორის 2012 წლის 25 მაისიდან გაგრძელებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, შპს „ჩ-ისათვის“ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე და სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესზე მითითებით, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის კანონი იმპერატიულად განსაზღვრავდა შეთანხმების წერილობით ფორმას. კონკრეტულ შემთხვევაში, დადგენილ იქნა, რომ ამ პერიოდის გათვალისწინებით მხარეთა შორის არ არსებობდა ორმხრივი წერილობითი შეთანხმება პირგასამტეხლოზე; 2012 წლის 25 მაისიდან გაგრძელებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, ორივე მხარის ხელმოწერით დადასტურებული გარიგება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პირგასამტეხლოს განსაზღვრის თაობაზე, საქმის მასალებში წარმოდგენილი არ იყო. შესაბამისად, სამოქალაქო

საქმეთა პალატის შეფასებით, შპს „ყ. თ-ის“ მოთხოვნა შპს „ჩ-ის“ მიმართ, 2012 წლის 25 მაისიდან 26 074 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, დაუსაბუთებელი იყო და იგი მართებულად არ იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 316.1-ე, 317.1-ე, 629.1-ე, 361.2-ე მუხლებზე მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში, დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ყ. თ-ის“ დაკვეთით, შპს „ჩ-მ“ განახორციელა სოფელ დ-ში მცხოვრები 548 სოციალურად დაუცველი მოსახლის გაზიფიცირება, რაც მოიცავდა პროექტირებას და გამანაწილებელ ქსელზე შეჭრა-მონტაჟის სამუშაოებს. დადგენილია ასევე, რომ გაზგამანაწილებელი ქსელის მონტაჟისათვის საჭირო პროექტირების ღირებულება ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 80 ლარს, სულ – 43840 ლარს (548X80), გამანაწილებელ ქსელზე შეჭრა-მონტაჟის სამუშაოების ღირებულება კი, ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 100 ლარს, სულ – 54800 ლარს (548X100), მხარეთა შორის სადავო არ იყო ის გარემოება, რომ შპს „ყ. თ-ის“ მხრიდან შპს „ჩ-ის“ მიერ შესრულებული სამუშაოები ანაზღაურებული არ იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არსებობდა შეგებებული სარჩელის სულად დაკმაყოფილებისა შპს „ყ. თ-ისთვის“ შპს „ჩ-ის“ სასარგებლოდ 98 640 (43840+54800) ლარის გადახდის დაკისრების წინაპირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ყ. თ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის პრეტენზია (კასაციის საფუძვლები) (ა.) დებიტორული დავალიანების ოდენობის – შპს „ჩ-ისათვის“ მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასურის არასწორად განსაზღვრაში; (ბ.) შპს „ჩ-ის“ მიერ ბუნებრივი გაზის საფასურის გადაუხდელობით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის პირგადამტეხლოს – 26 074,84 ლარის დაკისრების მატერიალურსამართლებრივი საფუძვლების არასწორად მითითებასა და (გ.) შპს „ყ. თ-ისათვის“ სოფელ დ-ის სოციალურად დაუცველი 548 მოსახლის გაზიფიცირების, რაც მოიცავდა პროექტირების და გამანაწილებელ ქსელზე შეჭრა-მონტაჟს, საფასურის – 98 640 ლარის უსაფუძვლოდ დაკისრებაში მდგომარეობს.

დებიტორული დავალიანების ნაწილში, გასაჩივრებული განწყვეტილების უსწორობებთან მიმართებით კასატორი აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ მართებულად მიიჩნია დებიტორული დავალიანებად მყიდველის მიერ მიწოდებული ბუნებრივი გაზის გადაუხდელი საფასური, თუმცა არასწორად განსაზღვრა მისი ოდენობა, რაც ამ ნაწილში, გასაჩივრებული განწყვეტილების იურიდიულ დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს და წარმოადგენს მისი გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს.

დებიტორული დავალიანების ოდენობის სწორად განსაზღვრის მიზნით, კასატორი მიუთითებს თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, იგი გამყიდველთან არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მოითხოვდა მყიდველისათვის გადაუხდელი ბუნებრივი გაზის საფასურის (დავალიანება) – 337 784,28 ლარის გადახდის დაკისრებას, თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა – გაზის მიწოდება-მიღება კვლავ გრძელდებოდა, ხოლო დავის სასამართლოში განხილვის დროსაც მყიდველი არ იხდიდა მიწოდებული საქონლის საფასურს, რაც დავალიანებას ზრდიდა, პერიოდულად გამყიდველის/თავდაპირველი მოსარჩელის მიერ ეტაპობრივად ხდებოდა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება, ასე მაგალითად, 10.09.2012წ.-ის განცხადებით სასამართლოს მიენოდა ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ „ჩ-ის“ დავალიანება შპს „ყ. თ-ის“ მიმართ 10.09.2012წ.-ის პერიოდისათვის შეადგენდა 381 089,60 ლარს, საიდანაც ძირითადი თანხა იყო 355,014,76 ლარი და პირგასამტეხლო 26 074,84 ლარი, რაც დასტურდებოდა აბონენტის ბრუნვის ისტორიის ამონაწერით. ასევე, 12.11.2012წ.-ს სასამართლოს წარედგინა განცხადება, რომელშიც მიეთითა, რომ 01.09.2012წ.-იდან მყიდველზე დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენდა 119 658,94 ლარს, რომელიც არც თავდაპირველ და არც შემდგომში დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნაში არ შედიოდა.

ამავდროულად, 2012 წლის 18 დეკემბრის სასამართლო განწყვეტილებით შპს „ჩ-ის“ შეგებებული სარჩელის საფუძველზე, შპს „ყ. თ-ს“ დამატებით დაეკისრა პირგასამტეხლოს თანხის – 119 658,94 ლარის გადახდა. კასატორის მოსაზრებით, განწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1 და 2.1 პუნქტების ერთდროული მოქმედების შედეგად, შპს „ყ. თ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა პირგასამტეხლოს თანხით შემცირდა ორჯერ, პირველად, სასარჩელო მოთხოვნის შემცირებით და მეორედ, პირ-

გასამტეხლოს თანხის დამატებით დაკისრებით.

კასატორის მოსაზრებით, ის გარემოება, რომ 01.09.2009წ.-ის ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ – 01.01.2010წ.-დან, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ბუნებრივი გაზის ნასყიდობის შესახებ ახალი წერილობითი ფორმით არ დადებულა, არ ათავისუფლებდა მყიდველს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან. ის გარემოება, რომ მოპასუხემ თანხმობა განაცხადა სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე – ბუნებრივი გაზის მოწოდებაზე, მონიშნავს, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდა იმავე პირობებით და მაშასადამე, არსებობდა პირგასამტეხლოზე შეთანხმებაც.

კასატორს დაუსაბუთებლად მიაჩნია სოფელ დ-ის სოციალურად დაუცველი 548 მოსახლის გაზიფიცირების, რაც მოიცავდა პროექტირების და გამანაწილებელ ქსელზე შეჭრა-მონტაჟს, საფასურის – 98 640 ლარის დაკისრება და განმარტავს, რომ „შპს „ჩ-ს“ არ შეეძლო ამ სამუშაოების შესრულება შპს „ყ. თ-ის“ ნებართვის გარეშე და რომ ბათილია ნებართვის გარეშე დადებული გარიგება“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 აპრილის განჩინებით შპს „ყ. თ-ის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმობაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 30 იანვრის განჩინებით კი ცნობილი იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის პრეტენზია (კასაციის საფუძვლები) (ა.) დებიტორული დავალიანების ოდენობის – შპს „ჩ-ისათვის“ მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასურის არასწორად განსაზღვრაში; (ბ.) შპს „ჩ-ის“ მიერ ბუნებრივი გაზის საფასურის გადაუხდელობით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის პირგადამტეხლოს – 26 074,84 ლარის დაკისრების მატერიალურსამართლებრივი საფუძვლების არასწორად მითითებასა და (გ.) შპს „ყ. თ-ისათვის“ სოფელ დ-ის სოციალურად დაუცველი 548 მოსახლის გაზიფიცირების, რაც მოიცავდა პროექტირების და გამანაწილებელ ქსელზე შეჭრა-მონტაჟს, საფასურ-

რის – 98 640 ლარის უსაფუძვლოდ დაკისრებაში მდგომარეობს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს განსახილველი დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

2009 წლის 1 სექტემბერს ერთი მხრივ, შპს „ყ. თ-ს“, როგორც „გამყიდველს“ და მეორე მხრივ, შპს „ჩ-ს“, როგორც „მყიდველს“ შორის გაფორმდა ბუნებრივი გაზის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, გამყიდველმა იკისრა ვალდებულება მიენოდებინა მყიდველისათვის ბუნებრივი გაზი, ხოლო მყიდველს უნდა გადაეხადა მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასური.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 1 იანვრამდე. ხელშეკრულ მხარეთა მიერ განსაზღვრა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესაძლებლობაც.

ამ ხელშეკრულებითვე განისაზღვრა ბუნებრივი გაზის ტარიფები, ანგარიშსწორების წესები და პირობები, სახელდობრ, ხელშეკრული მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველი ვალდებული იყო გამყიდველის მიერ წარდგენილი ანგარიშ-განცხადების (ინვოისის) საფუძველზე, სრულად ჩაერიცხა გამყიდველის საბანკო ანგარიშზე მისაწოდებელი გაზის ღირებულება ყოველი მომდევნო საანგარიშო თვის დაწყებამდე სამი სამუშაო დღით ადრე. საანგარიშო თვე, ამავე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტების შესაბამისად, შემდეგი მნიშვნელობით გამოიყენებოდა: კალენდარული პერიოდი ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მომდევნო თვის პირველ რიცხვამდე, შემდგომ თვეებში საანგარიშო თვედ ჩაითვლებოდა კალენდარული თვე თვის პირველი რიცხვიდან საანგარიშო თვის მომდევნო თვის პირველ რიცხვამდე.

ხელშეკრულების მე-9 მუხლით განისაზღვრა სანქციები, სახელდობრ 9.1 პუნქტის მიხედვით მყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, გამყიდველი უფლებამოსილი იყო დაერიცხა მყიდველისათვის პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული დავალიანების 0.07%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულების 9.3. პუნქტის შესაბამისად კი, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში, პირველად დაიფარებოდა პირგასამტეხლო, ხოლო შემდგომ – ძირითადი თანხა.

უდავო გარემოებაა, რომ ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდგომ მხარეთა შორის ფაქტობრივად გაგრძელდა ბუნებრივი გაზის მიწოდება-მიღება და ამდენად, ვალდებულებით-

სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ორივე მხარეს აკისრებდა განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც მყიდველს წარმოუშობდა მიღებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის ვალდებულებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ვინაიდან კასატორს ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდია, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

კასატორის პირველი პრეტენზია შპს „ჩ-ისათვის“ მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასურის არასწორად განსაზღვრაში მდგომარეობს. კასატორი აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ მართებულად მიიჩნია დებიტორულ დავალიანებად მყიდველისათვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის გადაუხდელი საფასური, თუმცა არასწორად განსაზღვრა მისი ოდენობა, რაც ამ ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიულ დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს და წარმოადგენს მისი გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს.

დებიტორული დავალიანების ოდენობის სწორად განსაზღვრის მიზნით, კასატორი მიუთითებს თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, იგი გამყიდველთან არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მოითხოვდა და მყიდველისათვის გადაუხდელი ბუნებრივი გაზის საფასურის (დავალიანება) – 337,784.28 ლარის გადახდის დაკისრებას, თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა – გაზის მიწოდება-მიღება კვლავ გრძელდებოდა, ხოლო დავის სასამართლოში განხილვის დროსაც მყიდველი არ იხდიდა მიწოდებული საქონლის საფასურს, რაც დავალიანებას ზრდიდა, პერიოდულად გამყიდველის/თავდაპირველი მოსარჩელის მიერ ეტაპობრივად ხდებოდა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება, ასე მაგალითად, 10.09.2012წ.-ის განცხადებით სასამართლოს მიენოდა ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ „ჩ-ის“ დავალიანება შპს „ე. თ-ის“ მიმართ 10.09.2012წ.-ის პერიოდისათვის შეადგენდა 381,089.60 ლარს, საიდანაც ძირითადი თანხა იყო 355,014.76 ლარი და პირგასამტეხლო – 26,074.84 ლარი, რაც დასტურდებოდა აბონენტის ბრუნვის ისტორიის ამონაწერით. აგრეთვე, 12.11.2012წ.-ს სასამართლოს წარედგინა განცხადება, რომელშიც მიეთითა,

რომ 01.09.2012წ.-იდან მყიდველზე დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენდა 119,658,94 ლარს, რომელიც არც თავდაპირველ და არც შემდგომში, დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნაში არ შედიოდა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის დასაბუთება დებიტორული დავალიანების გაანგარიშების ნაწილში ურთიერთგამომრიცხავია, სახელდობრ, ერთ შემთხვევაში, კასატორის პოზიცია იმ გარემოებას ემყარება, რომ 10.09.2012წ.-ის განცხადებით „ჩ-ის“ დავალიანება შპს „ყ. თ-ის“ მიმართ 10.09.2012წ.-ის პერიოდისათვის განისაზღვრა 381,089.60 ლარით, საიდანაც ძირითადი თანხა იყო 355,014.76 ლარი და პირგასამტეხლო 26,074.84 ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში, კასატორი აღნიშნავს, რომ 12.11.2012წ.-ს წარდგენილ განცხადებაში 01.09.2012წ.-იდან მყიდველზე დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრა 119,658.94 ლარით, რომელიც არც თავდაპირველ და არც დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნაში არ შედიოდა.

კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული ძირითადი დავალიანების ანგარიშში დაკისრებული თანხა – 235,355.24 ლარი, მოიცავდა მიწოდებული საქონლის გადაუხდელი ღირებულებს – 355,014.76 ლარისა და ნასყიდობის საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – 119,658.94 ლარის სხვაობას და ამდენად, იგი ვერანაირად ვერ წარმოგვიდგებოდა, როგორც მთლიანი სასარჩელო მოთხოვნა. კასატორის ამგვარი განმარტება, საკასაციო პალატის მოსაზრებით, შეუსაბამოა საქმის მასალებში წარმოდგენილ მოსარჩელის/გამყიდველის ახსნა-განმარტებებთან და წერილობით დოკუმენტებთან, სახელდობრ, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.11.2012წ.-ის ნოემბრის სხდომის აუდიო ჩანაწერზე, რომლითაც დადასტურებულია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ შპს „ჩ-ის“ ძირითადი დავალიანება შპს „ყ. თ-ის“ მიმართ ბუნებრივი გაზის მიწოდების დღიდან – 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (წერილობით გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში) შეადგენდა 96 611.58 ლარს, ხოლო 2010 წლის 01 იანვრიდან – 2012 წლის 25 სექტემბრამდე (სახელშეკრულებო ურთიერთობის კონკლუდენტურად გაგრძელებულ პერიოდში, სასარჩელო მოთხოვნის ბოლო დაზუსტებამდე) მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასური (ძირითადი დავალიანება) შეადგენდა 138,744 ლარს. მთლიანობაში, ძირითადი

დავალიანების ოდენობა განისაზღვრებოდა 235,355.58 ლარით (96 611,58+138744) (19.11.2012წ.-ის სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი).

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გამყიდველმა/თავდაპირველმა მოსარჩელემ 19.11.2012წ.-ის მოსამზადებელ სხდომაზე წარადგინა კორექტირებული მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, მყიდველს 31.12.2009წ.-მდე ერიცხებოდა 96,611.58 ლარი, ხოლო 2010წ.-ის იანვრიდან 25.09.2012წ.-ის სექტემბრამდე – 138,744.00 ლარი, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენდა 235,355.58 ლარს, მყიდველმა/მოპასუხემ ამ ნაწილში, სარჩელი ცნო. აღნიშნული კი, მართებულად დაედო საფუძვლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილითა (დისპოზიციურობის პრინციპი) და 208-ე მუხლის მე-3 ნაწილით (მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა) გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით, ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებას და შპს „ჩ-ისათვის“ შპს „ყ. თ-ის“ სასარგებლოდ 235,355.24 ლარის გადახდის დაკისრებას.

ამ მოცემულობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა, რამაც საბოლოოდ განაპირობა შპს „ჩ-ისათვის“ მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასურის არასწორად განსაზღვრა, სახეზე არ არის. ხოლო კასატორის მოთხოვნა მყიდველისათვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის დავალიანების – 355,014.76 ლარის დაკისრების შესახებ, უსაფუძვლოა, ასევე, იმ თვალსაზრისითაც, რომ მოთხოვნის ამ მოცულობით ტრანზფორმაცია პრაქტიკულად განხორციელდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ეტაპზე, რაც საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით დაუშვებელია (სსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწ.) და ამდენად, აპელანტის/თავდაპირველი მოსარჩელის ამ მოთხოვნას მართებულად ეთქვა უარი სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილებით ყოველგვარი მატერიალური საფუძვლების კვლევის გარეშე.

კასატორის შემდგომი პრეტენზია შპს „ჩ-ის“ მიერ ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს – 26,074.84 ლარის დაკისრების მართლზომიერებაში მდგომარეობს.

კასატორის მოსაზრებით, მართალია 01.09.2009წ.-ის ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ – 01.01.2010წ.-დან, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ბუნებრივი გაზის ნაყიდობის შესახებ ახალი წერილობითი ფორმით

არ დადებულა, თუმცა ეს არ ათავისუფლებდა მყიდველს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან. ის გარემოება, რომ მოპასუხემ თანხმობა განაცხადა სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე – ბუნებრივი გაზის მონოდებაზე, მონშობს, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდა იმავე პირობებით და მასასადამე, არსებობდა პირგასამტეხლოზე შეთანხმებაც.

დადგენილია, რომ 01.09.2009წ.-ის ხელშეკრულების 9.1 პუნქტის მიხედვით მყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, გამყიდველი უფლებამოსილი იყო დაერიცხა მყიდველისათვის პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული დავალიანების 0.07%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

უდავო გარემოებაა, რომ ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდგომ მხარეთა შორის ფაქტობრივად გაგრძელდა ბუნებრივი გაზის მინოდება-მიღება და ამდენად, სახეზე იყო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც მყიდველს წარმოუშობდა მიღებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის ვალდებულებას.

დადგენილია, რომ შპს „ჩ-ს“ პირგასამტეხლო ეკისრება არა 01.09.2009წ.-ის ხელშეკრულების პირობების (დადგენილ ვადაში ნასყიდობის საფასურის გადახდა) დარღვევისათვის, არამედ ამ ხელშეკრულების მოქმედების ამონურვის შემდგომ, მხარეთა შორის ფაქტობრივად გაგრძელებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დარღვეული ვალდებულებისათვის. ამ ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის პრეტენზია შპს „ჩ-ს“-ისათვის“ 2012 წლის 25 მაისიდან 26,074.00 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, დაუსაბუთებელი იყო, რაც გამორიცხავდა მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ წინაპირობებს შემდეგი გარემოებების გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გარიგება, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენს ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენას მისი ნამდვილობისათვის მოითხოვს კანონით დადგენილი ფორმის დაცვას (სკ-ის 68-ე მუხ.). სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებით განსაზღვრული ეს წესი საერთოა, როგორც ვალდებულებითი ისე, სახელშეკრულებო სამართლისათვის. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობის მომწერიგებელი სპეციალური ნორმაც პირგასამტეხლოზე, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებაზე, შეთანხმების ნამ-

დვილობისათვის წერილობითი ფორმის დაცვას ითვალისწინებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის უფლება, მხოლოდ ამ სავალდებულო ფორმის დაცულობის პირობებშია მართლზომიერი და დასაშვები (სკ-ის 417-418-ე მუხ.).

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ბუნებრივი გაზის ნასყიდობიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ურთიერთობა ფაქტობრივად გაგრძელდა 2010 წლის 1 იანვრიდან, ვინაიდან ურთიერთობის მარეგულირებელი სემეკის 09.07.2009წ.-ის №12 დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი, რაიმე სავალდებულო ფორმას, ბუნებრივი გაზის ნასყიდობიდან გამომდინარე არ ითვალისწინებდა, რასაც ვერ ვიტყვივით, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად პირგასამტეხლოს გათვალისწინებაზე. ეს უკანასკნელი განეკუთვნება რა ფორმასავალდებულო გარიგებას, მისი ნამდვილობა ყოველთვის არაა დამოკიდებული ძირითადი ხელშეკრულების ნამდვილობაზე (ფორმის თვალსაზრისით). შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევა ვერ წარმოუშობდა გამყიდველს პირგასამტეხლოს დაკისრების უფლებას, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით მასზე შეთანხმების არარსებობის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის პრეტენზია ამ ნაწილშიც, დაუსაბუთებელია.

კასატორის კიდევ ერთი პრეტენზია შპს „ყ. თ-ისათვის“ სოფელ დ-ის სოციალურად დაუცველი 548 მოსახლის გაზიფიცირების, რაც მოიცავდა პროექტირების და გამანაწილებელ ქსელზე შეჭრა-მონტაჟს, საფასურის – 98 640 ლარის უსაფუძვლოდ დაკისრებაში მდგომარეობს.

კასაციის ამ საფუძვლის (კასაციის მიზეზი) შემონმების კანონიერებისათვის, პირველ რიგში, ყურადღებაა გასამახვილებელი მოცემულ საქმეზე დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად, 2011 წლის 3 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიასა და შპს „ყ. თ-ს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შპს „ყ. თ-მა“ იკისრა, ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში ბუნებრივი გაზის მიწოდების გარეშე დარჩენილი მოსახლეობის გაზიფიცირების და მათთვის საჭიროების შემთხვევაში, გაზგამანაწილებელი ქსელის მონტაჟისათვის აუცილებელი სამუშაოების შესრულების ვალდებულება.

ხელშეკრულების 2.4.1 პუნქტის თანახმად, შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 8 850 000 ლარი (ხელ-

შეკრულების 2.3.1 პუნქტის მიხედვით, „კერძო დასახლებაში ერთი საცხოვრებელი სახლის, მათ შორის, ე.წ. „იტალიურ ეზოში“ ერთი საცხოვრებელი ბინის გაზიფიცირების სამუშაოების ერთეულის ღირებულება შეადგენს 600 ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით“, ხოლო 2.3.2. პუნქტის შესაბამისად, „კორპუსის ტიპის საცხოვრებელ სახლებში ერთი საცხოვრებელი ბინის გაზიფიცირების სამუშაოების ღირებულება შეადგენს 495 ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით“).

ამავე ხელშეკრულების 2.4.2 და 7.1 პუნქტების თანახმად, ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ შპს „ჩ-ის“ (შეგებებული სარჩელის ავტორი) მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა პროექტების ნაწილი, რომლითაც დგინდება, რომ მ. ტ-ის, დ. რ-ის და ბ. ქ-ის საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციის პროექტები მომზადებულია შპს „ჩ-ის“ საპროექტო განყოფილების მიერ. უდავო გარემოებაა, რომ განხორციელდა სოფელ დ-ში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გაზიფიცირება. საქმეში ასევე წარმოდგენილია მშენებლობით დამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების აქტები, რომლებიც ხელმოწერილით დადასტურებულია, როგორც შპს „ჩ-ის“, ისე – შპს „ყ. თ-ის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

ამდენად, ამ პირობებში, როდესაც დადგენილია სოფელ დ-ში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გაზიფიცირების შესახებ გარემოება, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ამ მოსახლეობის გაზიფიცირების მიზნით, ზემო დასახლებული საპროექტო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები განხორციელა არა – შპს „ჩ-მ“, არამედ – სხვა განაწილების ლიცენზიატმა, ეკისრებოდა კასატორს (მოპასუხე მხარეს შეგებებული სარჩელით), რომელმაც სადავო გარემოების დადასტურება სათანადო მტკიცებულების წარდგენით ვერ უზრუნველყო, მხოლოდ მისი ახსნა-განმარტება კი, რომელსაც შპს „ჩ-ი“ (შეგებებული სარჩელით მოსარჩელე) არ დაეთანხმა, სადავო გარემოების დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად მიჩნეული ვერ იქნებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილ იქნა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შპს „ჩ-მ“ განახორციელა სოფელ დ-ში მცხოვრები 548 სოციალურად დაუცველი მოსახლის გაზი-

ფიცირება, რომელიც მოიცავდა პროექტირებასა და შეჭრა-მონტაჟის სამუშაოებს.

რაც შეეხება ხელშეკრულების ფასს, სააპელაციო სასამართლო მოცემულ საქმეზე დაადგინა, რომ ერთ სულ მოსახლეზე პროექტირების ღირებულება 80 ლარი, შპს „ყ. თ-ის“ მიერ არ იყო შედავებული, ამიტომაც საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას ამ ნაწილში იმსჯელოს ფასის ოდენობაზე და დადგენილად მიიჩნევს, რომ გაზგამანაწილებელი ქსელის მონტაჟისათვის საჭირო პროექტების ღირებულება შეადგენს 43840 (548ხ80) ლარს.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ შპს „ყ. თ-სა“ და შპს „ჩ-ს“ შორის არსებობდა ზეპირი ფორმით დადებული ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს „ჩ-ი“ (მენარდე) ვალდებული იყო ქალაქ თბილისის მოსახლეობის გაზიფიკაციის პროგრამის ფარგლებში განეხორციელებინა სოფელ დ-ის მოსახლეობის გაზიფიცირების მიზნით, შეჭრა-მონტაჟი და პროექტირება.

კასატორი მიუთითებს, რომ „შპს „ჩ-ს“ არ შეეძლო ამ სამუშაოების შესრულება შპს „ყ. თ-ის“ ნებართვის გარეშე და რომ ბათილია ნებართვის გარეშე დადებული გარიგება“.

კასატორის მითითებულ არგუმენტს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ უცილოდ ბათილ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი კარგავს შეცილების უფლებას. როგორც მოცემულ საქმეზე დადგენილი შპს „ყ. თ-ის“ უფლებამოსილმა თანამშრომლებმა ჩაიბარეს შპს „ჩ-ის“ მიერ შესრულებული სამუშაოები. სანინალმდევოს მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად ეკისრებოდა შპს „ყ. თ-ს“, რომელმაც ვერ შეძლო სანინალმდევოს დამტკიცება.

რაც შეეხება შეჭრა-მონტაჟის ღირებულებას, იგი განსაზღვრულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ-ის) 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მიხედვით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები საკუთარი უფლებების მნიშვნელოვან ნაწილის რეალიზებას ახდენენ, როგორც მომხმარებლები. ამიტომ მომხმარებელთა უფლებების დაცვა სამართლის განსაკუთრებული რეგულირების სფეროს მიეკუთვნება. ენერგოკომპანიებსა და მათ აბონენტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები

სამომხმარებლო ურთიერთობების ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს და იმ მასობრივ გარიგებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც ეკონომიკური უთანაბრობის საფუძველზეა დამყარებული. ბაზარზე ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიანტების დომინირებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კანონმდებელი ადგენს ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების წესს, რომელიც მოცემულია სემეკ-ის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით (შეჭრა-მონტაჟის სამუშაოების შესრულების პერიოდისათვის მოქმედი რედაქციით) დამტკიცებული „ბუნებრივი აირის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-19 მუხლის 17-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, კერძოდ, გამანაწილებელ ქსელზე საყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის, ასევე არსებულ გამანაწილებელ ქსელზე ერთდროულად ორი მომხმარებლის მიერთების (შეჭრის) შემთხვევაში, შეჭრა-მონტაჟის საფასურს სამუშაოს შესრულების პერიოდის გათვალისწინებით, მომარაგების დაწყებაზე განაცხადის შეტანიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 100 ლარს, 15 დღის ვადაში – 70 ლარს, ხოლო 30 დღის ვადაში – 40 ლარს.

საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ 2012 წლის 17 თებერვალს შპს „ყ. თ-ის“ მიერ ელექტრონული ფოსტის მემბერობით შეთავაზებულ პირობებზე შპს „ჩ-ს“ კანონით დადგენილი წესით თანხმობა არ განუცხადებია, მით უფრო, რომ როგორც საქმეში წარმოდგენილი მშენებლობით დამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების აქტებით ირკვევა, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის, კერძოდ, სოფელ დ-ის მოსახლეობისათვის, გაზიფიცირების მიზნით განხორციელებული შეჭრა-მონტაჟის სამუშაოები უმეტესწილად დასრულებულ იქნა ჯერ კიდევ, 2011 წლის ნოემბრის თვეში. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ჩ-ს“ მიერ შესრულებული სამუშაოების მიმართ უნდა გავრცელდეს შეჭრა-მონტაჟის სამუშაოების შესრულების მომენტისათვის არსებული სემეკ-ის დადგენილებით განსაზღვრული ზემოაღნიშნული ფასები, თუმცა, განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად იმის მტკიცების ტვირთი, რომ 548-ვე სოციალურად დაუცველი ოჯახის ქსელზე მიერთება მოხდა განცხადების შეტანიდან 3 დღის ანუ, დაჩქარებულ ვადაში, ეკისრებოდა შპს „ჩ-ს“, რომლის დადასტურება მან ვერ შეძლო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია ნაწილობრივ დასაბუთე-

ბული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში, დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ არასწორი შეფასება მისცა საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის გამოც იურიდიულად ნაწილობრივ დაუსაბუთებელია გადანყვეტილება შპს „ე. თ-ისათვის“ შპს „ჩ-ის“ სასარგებლოდ გაზგამანაწილებელ ქსელზე შეჭრა-მონტაჟის სამუშაოების ღირებულების ერთ სულ მოსახლეზე 100 ლარის, ჯამში – 54800 ლარის (548x100) ოდენობით ანაზღაურების დაკისრების შესახებ (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადანყვეტილება მოცემულ საქმეზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, შპს „ყ. თ-ს“ შპს „ჩ-ნი ს“ სასარგებლოდ გაზგამანაწილებელ ქსელზე შეჭრა-მონტაჟის სამუშაოების ღირებულების ერთ სულ მოსახლეზე 100 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს სამი მომხმარებლისათვის (3x100), ხოლო 545 მომხმარებლისათვის კი (545x40), ჯამში- 22,100 ლარის ოდენობით.

საბოლოოდ, შპს „ყ. თ-ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და შპს „ყ. თ-ს“ შპს „ჩ-ის“ სასარგებლოდ, გაზგამანაწილებელი ქსელის მონტაჟისათვის საჭირო პროექტებისა და გაზგამანაწილებელ ქსელზე შეჭრა-მონტაჟის სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების მიზნით, უნდა დაეკისროს 65 940 ლარი (43840 + 22100).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავ ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, შპს „ყ. თ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ. შესაბამისად, კასატორს უნდა აუნაზღაურდეს საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 1635 ლარი.

ასევე, უნდა შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი და სოფელ დ-ის მოსახლეობის გაზიფიცირების ფარგლებში პროექტირებისა და შეჭრა-მონტაჟის სამუშაოების ნაწილში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან შპს „ჩ-ს“ ნაცვლად 4826,04 ლარისა უნდა აუნაზღაურდეს 3518,04 ლარი.

საბოლოოდ, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხების ანაზღაურება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად:

„ჩ-ს“ სასარგებლოდ შპს „ყ. თ-ს“ უნდა დაეკისროს 1883,04 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ყ. თ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 მე-6 და მე-7 პუნქტების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „ყ. თ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. შპს „ჩ-ს“ დაეკისროს შპს „ყ. თ-ის“ სასარგებლოდ 235355.24 ლარის გადახდა;

5. შპს „ყ. თ-ის“ სარჩელი შპს „ჩ-ის“ მიმართ პირგასამტეხლოს სახით 26074 ლარის მოთხოვნის ნაწილში, არ დაკმაყოფილდეს;

6. შპს „ჩ-ის“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

7. შპს „ყ. თ-ს“ დაეკისროს შპს „ჩ-ის“ სასარგებლოდ 119658 ლარის გადახდა;

8. შპს „ყ. თ-ს“ შპს „ჩ-ის“ სასარგებლოდ სოფელ დ-ის მოსახლეობის გაზიფიცირების ფარგლებში, პროექტირებისა და შეჭრა-მონტაჟის სამუშაოების ანაზღაურების მიზნით დაეკისროს 65640 ლარის გადახდა;

9. დანარჩენ ნაწილში, შპს „ყ. თ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

10. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტები;

11. შპს „ყ. თ-ს“ შპს „ჩ-ის“ სასარგებლოდ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით, დაეკისროს 1883,04 ლარის გადახდა;

12. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ქირავნოვის ხელშეკრულება;
ქირავნოვის ხელშეკრულების მოშლის ვადა

ბანჩინება

№ას-738-700-2015

18 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: საიჯარო ქირის დავალიანების გადახდის და-
კისრება, ურთიერთვალდებულებათა გაქვითვა, იპოთეკის შენ-
ყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2012 წლის 18 დეკემბრის შეთანხმების საფუძველზე, რო-
მელიც დასათაურებულია როგორც „იჯარის ხელშეკრულება“,
ნ-უ გ-ძემ (შემდეგში: მოსარჩელე, გამქირავებელი, ან კასატო-
რი) სს „კ- ს-ტ ბ-ს“ (შემდეგში: მოპასუხე, დამქირავებელი, ბან-
კი ან მონინალმდეგე მხარე) სასყიდლით, თვეში 6 250 აშშ დო-
ლარად, 10 წლით სარგებლობაში გადასცა მის საკუთრებაში არ-
სებული უძრავი ქონება (არასაცხოვრებელი ფართი), მდებარე
ქ. თბილისში, შ-ის/ც-ის ქ. №2-ში, ს/კ 01.17.1-0-0-, (შემდეგში:
„იპოთეკის საგანი ან უძრავი ნივთი“) [საქართველოს სამოქა-
ლაქო კოდექსის, შემდგომში სსკ-ის, 531-ე მუხლი].

2. ხელშეკრულების 2.2. პუნქტის შესაბამისად, დამქირავე-
ბელს მიენიჭა უფლებამოსილება, ცალმხრივად მოეშალა მხა-
რეთა შორის არსებული ურთიერთობა გამქირავებლებისათვის
ორი თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების სა-
ფუძველზე.

3. 2013 წლის 15 იანვარს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის
დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება. კრედიტის მოცუ-
ლობა განისაზღვრა 149 000 აშშ დოლარით. კრედიტის სარგებე-
ლი (პროცენტი) წლიურ 15%-ს შეადგენდა და გაიცა, ექვსი თვის
ვადით [სსკ-ის 623-ე და 867-ე მუხლები].

4. საბანკო კრედიტის უზრუნველსაყოფად იპოთეკით და-
იტვირთა გამქირავებლის საკუთრებაში არსებული წინამდება-
რე განჩინების პ.1-ში აღნიშნული უძრავი ნივთი (სსკ-ის 286.1

და 289.1 მუხლები].

5. 2013 წლის 22 თებერვალს ცვლილება შევიდა 2012 წლის 18 დეკემბრის ხელშეკრულებაში და გამჭირავებლებად განისაზღვრნენ: კასატორი და ს-ო მ-ი, უძრავი ნივთის □-ის თანამესაკუთრე. ქირა ნივთის სარგებლობისათვის, თითოეული გამჭირავებლისათვის თვეში 3125 აშშ დოლარით განისაზღვრა.

6. 2013 წლის 6 ივნისს დამჭირავებელმა წერილი გაუგზავნა გამჭირავებლებს, რითაც ატყობინებდა, რომ ცალმხრივად წყვეტდა ხელშეკრულებას.

7. 2013 წლის აგვისტოში დამჭირავებელმა გაათავისუფლა ქირავნობის საგანი, რომელიც დაუბრუნდა გამჭირავებლებს. ამ პერიოდის ქირა სრულადაა გადახდილი.

8. 2013 წლის 26 ნოემბერს მოსარჩელესა (კასატორს) და ს-ო მ-ს შორის გაფორმდა შეთანხმება მოთხოვნის დათმობის შესახებ, რომლის შესაბამისადაც, ამ უკანასკნელმა კასატორს დაუთმო 2012 წლის 18 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ქირის მოთხოვნის უფლება.

9. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:

9.1. მოპასუხისათვის ხელშეკრულების დარჩენილი ვადის – 2013 წლის 7 აგვისტოდან 2022 წლის 18 დეკემბრამდე – გადაუხდელი ქირის 702 291,74 აშშ დოლარის დაკისრება. ამ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მან მიუთითა სსკ-ის 588-ე მუხლზე;

9.2. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელის ვადამოსული ფულადი ვალდებულების – 151 135,97 აშშ დოლარის – შეწყვეტა მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის გზით. ამ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მან სსკ-ის 442-ე მუხლზე მიუთითა;

9.3. ქ. თბილისში, შ-ის/ც-ის ქ. №2-ში (ს/კ 01.17.1-0-0-), მდებარე ნივთზე რეგისტრირებული იპოთეკის გაუქმება [საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქ/პუნქტი, სსკ-ის (5.1) 271-ე მუხლი].

9.4. ფაქტობრივი თვალსაზრისით სარჩელის დასაბუთება შემდეგი იყო:

9.4.1. მოსარჩელემ 2012 წლის 18 დეკემბერს მოპასუხეს 10 წლით გადასცა წინამდებარე განჩინების პ.1-ში აღნიშნული ნივთი მოპასუხეს, რომელსაც მისი სარგებლობისათვის ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 6 250 აშშ დოლარი;

9.4.2. ამის შემდეგ, 2013 წლის 15 იანვარს, მოპასუხემ მოსარჩელეს ექვსი თვით ასესხა 149 000 აშშ დოლარი, რომლითაც

გადიფარა სხვა ბანკთან არსებული საკრედიტო დავალიანება და წინა დამქირავებელთან იმავე ნივთზე დადებული იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ხარჯები, 18 000 აშშ დოლარი. იჯარის საგანზე მოპასუხის სასარგებლოდ არსებული იპოთეკა უზრუნველყოფდა კრედიტის (სესხის) დაბრუნებას.

9.4.3. მოსარჩელე იმედოვნებდა, რომ საიჯარო ურთიერთობიდან მიღებული შემოსავლებით დაფარავდა პ.9.4.2-ში აღნიშნულ კრედიტს.

9.4.4. მოპასუხემ 2013 წლის 6 ივნისის წერილით ისე შეწყვიტა ხელშეკრულება, რომ მოსარჩელისათვის არ შეუთავაზებია ახალი გადახდისუნარიანი და ამ უკანასკნელისათვის მისაღები მოიჯარე, რითაც დაარღვია კანონის ის იმპერატიული დანაწესი, რასაც ითვალისწინებს სსკ-ის 588-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს შეფასებით, მხარეთა მხარეთა შორის ურთიერთობა თავისი შინაარსით, მიუხედავად იჯარაზე მითითებისა, წარმოადგენდა ქირავნობას და, შესაბამისად, არა იჯარის (სსკ-ის 581-591 მუხლები), არამედ ქირავნობის (სსკ-ის 531-575-ე მუხლები) ნორმებით უნდა მოწესრიგებულიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხემ ხელშეკრულება ვადაზე ადრე, მართებულად მოშალა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 531-ე, 561-ე, 319-ე, 442-ე და 288-ე მუხლები.

11. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აპელაციის წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები, სახელდობრ:

12.1. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეთა შორის არა იჯარის, არამედ ქირავნობის ურთიერთობა არსებობდა და აღნიშნა შემდეგი: „...ხელშეკრულების არსი უნდა განიმარტოს არა სახელწოდების, არამედ მისი შინაარსის მიხედვით, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულების საკანონმდებლო კონსტრუქციასთან ქირავნობისაგან განსხვავებით, იჯარის ხელშეკრულება მოიჯარეს ანიჭებს დამატებით უფლებას მიიღოს ნაყოფი (შემოსავალი) ხელშეკრულებით გან-

საზღვრული ნივთიდან, ხოლო მეიჯარეს ეკისრება დამატებითი (გამქირავებლისაგან განსხვავებით) ვალდებულება, მთელი საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა. იჯარის საგანს უნდა გააჩნდეს გარკვეული სამეურნეო დანიშნულება და იმთავითვე, მხოლოდ და მხოლოდ მეურნეობის სწორად გაძღოლის შედეგად უნდა იძლეოდეს ნაყოფს...“.

12.2. სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მხარეთა შეთანხმება (იხ. ხელშეკრულების პ.2.2.) სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში იყო მიღწეული და, შესაბამისად, მოპასუხეს უფლება ჰქონდა, ორთვიანი ვადის დაცვით შეენწყვიტა ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, პალატა არ დაეთანხმა მოსარჩელის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე არაკეთილსინდისიერად მოიქცა, როდესაც პატივსადები მიზეზის გარეშე შეწყვიტა ხელშეკრულება (სსკ-ის მე-8.3 მუხლი). ამასთან დაკავშირებით, პალატამ მიუთითა შემდეგი: „...სსკ-ის 319 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი; განსახილველ შემთხვევაში კი, მხარეები შეთანხმებული იყვნენ, რომ დამქირავებელი უფლებამოსილი იყო, ცალმხრივად შეენწყვიტა ხელშეკრულება, იმ პირობით, თუ გამქირავებელს აღნიშნულის შესახებ, ორი თვით ადრე წერილობით შეატყობინებდა, რაც განახორციელა კიდევ მოპასუხემ...“.

12.3. სსკ-ის 442-ე, 286.1-ე და 288-ე მუხლებზე მითითებით, პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია წინამდებარე განჩინების 9.2. და 9.3. პუნქტებით გათვალისწინებული სასარჩელო მოთხოვნებიც.

13. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. მან მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით:

13.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის გარემოებები და მიიღო კანონის შეუსაბამო გადაწყვეტილება. მან არ იმსჯელა და არ შეაფასა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ კანონის ძალით წარმოშობილი ვალდებულების (ახალი მოიჯარის შეთავაზების) შეუსრულებლობის გამო დარჩენილი პერიოდის განმავლობაში გადასახდელი ქირის იურიდიული ბუნება, რითაც ფაქტობრივად უარი უთხრა მოსარჩელეს მარ-

თლმსაჯულების განხორციელებაზე.

13.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის რეალურად არსებობდა არა იჯარის, არამედ ქირავნობის ხელშეკრულება, რასაც შედეგად მოჰყვა სსსკ-ის 588-ე მუხლის გამოუყენებლობა და, შესაბამისად, არასწორი გადაწყვეტილების მიღება. პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას მოპასუხემ თავისი შესაგებლით გამოხატა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისადმი მისი დამოკიდებულება და მას სადავოდ არ გაუხდია ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. შესაბამისად, პროცესუალური თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ იჯარის ხელშეკრულების დადების ფაქტი უნდა მიეჩნია გარემოებად, რომელსაც მტკიცება არ სჭირდებოდა.

13.2. პალატამ ყოველგვარი შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინება არ გაეგზავნა მეორე მეიჯარეს – ს-ო მ-ს.

13.4. იჯარისა და ქირავნობის გამიჯვნისას, შემოსავლისა და ნაყოფის მიღების შესაძლებლობის გარდა (სსკ-ის 154-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები და 581-ე მუხლის პირველი ნაწილი), განმსაზღვრელია ქონებით სარგებლობის ფარგლებიც, მოცულობა და მიზანი. მოიჯარე, განსხვავებით მოქირავნისაგან, სრულად სარგებლობს გადაცემული ნივთით. ბანკი, მოცემულ შემთხვევაში, მას იყენებდა ფილიალის გასახსნელად და შემდგომში კომერციული საქმიანობისათვის. კომერციული ქირავნობა კი, „სხვა არაფერია თუ არა იჯარა“. სააპელაციო სასამართლომ არც ეს არ გაითვალისწინა და არც ის, რომ ნივთზე იჯარის უფლება, ვალდებულებითი უფლებაა, რომელიც უზრუნველყოფდა სსკ-ის 154-ე და 581-ე მუხლის მეორე ნაწილებით გაითვალისწინებული ნაყოფის მიღების შესაძლებლობას.

13.5. სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მხარეთა შეთანხმება (იხ. ხელშეკრულების პ.2.2.) სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში იყო მიღწეული და, შესაბამისად, მოპასუხეს უფლება ჰქონდა, ორთვიანი ვადის დაცვით შეენწყვიტა ხელშეკრულება, არაფრით უკავშირდება ახალი მოიჯარის შეთავაზების ვალდებულებას, რადგანაც ამ უფლების რეალიზაციის შემთხვევაშიც ბანკი ვალდებული იყო, შეეთავაზებინა მოსარჩელისათვის ახალი მოიჯარე. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ხელშეკრულების 2.2. პუნქტის ნამდვილობა, არ დაადგინა ხომ არ იკვეთებოდა წინასწარ ჩამოყალიბებული მრავალჯერადი გამო-

ყენებისათვის გამიზნული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო სტანდარტული პირობა, ანუ იქცა თუ არა იგი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად [სსკ-ის 344-ე მუხლი].

13.6. ვინაიდან მოქპასუხემ დაარღვია ახალი მოიჯარის შეთავაზების ვალდებულება, სააპელაციო სასამართლოს ზიანის სახით დარჩენილი საიჯარო ვადის განმავლობაში გადასახდელი ქირის ანაზღაურების ვალდებულება უნდა დაეკისრებინა მისთვის.

13.7. სადავო ურთიერთობის ქირავნობად დაკვალიფიცირების შემთხვევაშიც, პალატა ვალდებული იყო, ანალოგიით გამოეყენებინა სსკ-ის 555-ე მუხლი, რომელიც არსებითად იმავე შედეგებს ადგენს ახალი დამქირავებლის შეუთავაზებლობის შემთხვევაში, რასაც სსკ-ის 588.1 მუხლი. აღნიშნული ნორმები იმპერატიული ხასიათისაა და ქირა, რომელიც მოიჯარემ უნდა იხადოს ვადის ბოლომდე, განიხილება როგორც ზიანი.

13.8. სააპელაციო პალატამ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საკითხი საქმის გარემოებათა გათვალისწინებით არ გაანალიზა კეთილსინდისიერების პრინციპი. კეთილსინდისიერების პრინციპს გააჩნია შეზღუდვის ფუნქცია, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულების მხარეს ეკრძალება ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ ეს მეორე მხარისათვის ზიანის მომტანია, ხოლო, თუ ამ აკრძალვას მხარე მაინც არღვევს, მაშინ მას ეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

15. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე მხარეთა მოსაზრებების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა საკასაციო საჩივრის უსაფუძვლობის თაობაზე, კერძოდ:

16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

17. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივად ძირითადად სწორად შეაფასა (იხ.წინამდებარე განჩინების პ.11).

17.1. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებათა სამართლებრივ ბუნებასთან მიმართებით და განმარტავს, რომ, მიუხედავად მათი მსგავსებისა (მათი საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი, ორივე შემთხვევაში ნივთი მხარეს გადაეცემა სარგებლობაში, ორივე სასყიდლიანია და ა.შ), მათ შორის არსებობს განსხვავება, რაც განაპირობებს საიჯარო ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტში განსხვავებულად, სსკ-ის 581-606-ე მუხლებით მოწესრიგების აუცილებლობას.

17.2 ამ განსხვავების საილუსტრაციოდ სსკ-ის 531-ე და 581-ე მუხლების სამართლებრივი კონსტრუქციების შედარება სრულიად საკმარისია: [„ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა, დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა“], [„იჯარის ხელშეკრულებით მიიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზე და ც.იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული“]. ქირავნობის დროს კონკრეტული, ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი გადაეცემა დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო იჯარის შემთხვევაში გადაეცემა ქონება, რომელიც, არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც აერთიანებს [სსკ-ის 147-ე მუხლი], ანუ იმ მოთხოვნებსა და უფლებებს, რომლებიც მოიჯარეს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ნაყოფი (მატერიალური სარგებელი). იჯარის შემთხვევაში ნაყოფია ის შემოსავლები, რაც მეურნეობის სწორი გაძლოლის გზით მიიღება სამართლებრივი ურთიერთობის (იჯარის) საფუძველზე („იურიდიული ნაყოფი“). საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპა-

სუხეს სარგებლობაში გადაეცა კონკრეტული უძრავი ნივთი ისეთ მდგომარეობაში, რომელიც არ იძლეოდა ნაყოფის მიღების შესაძლებლობას; კერძოდ, მონინალმდეგე მხარეს, საბანკო საქმიანობის მიზნით, ნივთის გამოყენება შეეძლო მას შემდეგ, რაც ის საკუთარი სახსრებით გადააკეთებდა, გაარემონტებდა და შესაბამისი ინვენტარით აღჭურავდა ნაქირავებ საგანს (იხ. ხელშეკრულების 4.3.2 და მომდევნო პუნქტები). აქედან გამომდინარე, კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ დადებულია იჯარისა და არა ქირავნობის ხელშეკრულება, რადგანაც ბანკი ნივთს გამოიყენებდა ფილიალის გასახსნელად, რომლის შემდეგაც კომერციულ საქმიანობას განახორციელებდა, საფუძველსაა მოკლებული.

17.3. კასატორის მოსაზრებით, რადგანაც მონინალმდეგე მხარეს პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უდავია ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, პროცესუალური თვალსაზრისით იჯარის ხელშეკრულების დადების ფაქტი მიეჩინა გარემოებად, რომელსაც მტკიცება არ სჭირდებოდა. საკასაციო პალატა ამ მოსაზრებას ვერ დაეთანხმება და მის უარსაყოფად მიუთითებს შემდეგზე:

დავის სამართლებრივ შეფასებას სასამართლო დამოუკიდებლად ახდენს. ამ დროს იგი არ არის შებოჭილი მხარეთა მოსაზრებებით, შესაბამისად, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებით (სსსკ-ის მესამე და მეოთხე მუხლები). მხარეთა შორის არსებული ურთიერთობისათვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა სასამართლოს პრეროგატივაა, რადგანაც ასეთი შეფასების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მოსარჩელის მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის ან ნორმების ზუსტი განსაზღვრა და, აქედან გამომდინარე, მოთხოვნის წინაპირობების შესრულების დადგენა. ამიტომაცაა, რომ მოსარჩელე არ არის ვალდებული, მიუთითოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი და არც მოპასუხეა ვალდებული შესაგებელში, რომლითაც ის სარჩელისაგან თავს იცავს, ზუსტი სამართლებრივი შეფასებები შეიტანოს. თავის მხრივ, არც სასამართლოა ვალდებული, გადანყვეტილება დაასაბუთოს მხარეთა მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძველებით.

17.4. მოპასუხისათვის საიჯარო ურთიერთობის დამთავრებამდე დარჩენილი ქირის – 702 291,74 აშშ დოლარის – დაკისრების მოთხოვნას მოსარჩელე ამყარებს სსკ-ის 588-ე მუხლზე; ამ ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, საიჯარო ქირის გადახდა საიჯარო ურთიერთობის დამთავრებამდე,

ნორმით გათვალისწინებული ყველა წინაპირობის შესრულების (განხორციელების) შემთხვევაში, გულისხმობს საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდას და არა მთელი დარჩენილი პერიოდის ქირის ზიანის სახით ერთდროულად დაკისრებას, როგორც ამას მოსარჩელე მოითხოვს. შესაბამისად, რომც იყოს შესრულებული ამ ნორმით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი წინამძღვარი: ა) მხარეთა შორის განსაზღვრული ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულება, ბ) ხელშეკრულების ვადამდე მოშლაზე შეთანხმების არარსებობა, გ) მოიჯარის მიერ ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, დ) მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების მეიჯარისათვის მფლობელობაში დაბრუნება, ე) ამ უკანასკნელის მიერ მეიჯარისათვის თავის სანაცვლოდ ახალი, გადახდისუნარიანი და მისაღები მოიჯარის შეუთავაზებლობა, ის სამართლებრივი შედეგი, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, მაინც ვერ მიიღწევა.

17.5. სსკ-ის 588-ე მუხლის დაცვითი ფუნქცია ისაა, რომ ხელშეკრულების მოშლის შემდეგ ამ ნორმამ მეიჯარე საიჯარო შემოსავლებით უნდა უზრუნველყოს საიჯარო ქონების ახალი მოიჯარისათვის (მინიმუმ ადრინდელ მოიჯარესთან არსებული პირობებით) გადაცემამდე. მოსარჩელის პოზიციის გაზიარება ცალსახად გულისხმობდა მოიჯარისათვის ზედმეტად მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრებას, რადგანაც მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მეიჯარეს შეეძლო 2023 წლის იანვრამდე მისაღები ქირა, 702 291,74 აშშ დოლარი, ერთდროულად მიეღო და იმავდროულად, იმავე ქონების ახალი მოიჯარისათვის გადაცემით კიდევ მიეღო სარგებელი, რასაც შედეგად უდავოა მისი უსაფუძვლო გამდიდრება მოჰყვებოდა.

17.6. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდა, რადგანაც იჯარა იქნებოდა თუ ქირავნობა (ხელშეკრულების იურიდიული შინაარსის მიუხედავად), ხელშეკრულება დამქირავებელს აძლევდა უფლებას, ვადის გასვლამდე, ცალმხრივად მოეშალა იგი (იხ. ხელ-ბის 2.2. პუნქტი). სააპელაციო სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოსარჩელის შეფასება დამქირავებლის არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით და მართებულად დაასკვნა, რომ ხელშეკრულების მოშლის თაობაზე მხარეთა შეთანხმება (იხ. ხელშეკრულების პ.2.2.) სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში იყო მიღწეული და, შესაბამისად, მოპასუხეს უფლება ჰქონდა, ორთვიანი ვადის დაცვით ცალმხრივად მოეშალა ხელშეკრულება. ბუნებრივია, მოსარჩელეს, როცა ის ხელშეკ-

რულების მოშლის ამგვარ უფლებას ანიჭებდა მოპასუხეს, უნდა ჰქონოდა იმის მოლოდინი, რომ ეს უკანასკნელი ამ უფლებას გამოიყენებდა. შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ მოპასუხეს ეკრძალებოდა ხელშეკრულებაზე უარის თქმა, რადგანაც ეს მოსარჩელისათვის ზიანის მომტანი იყო, სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

17.7. პალატა ასევე ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას ხელშეკრულების 2.2. პუნქტის, როგორც სტანდარტული დებულების, არანამდვილობის შესახებ, რადგანაც, მოცემულ შემთხვევაში, არა საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც როგორც წესი, ბანკის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითვალისწინებდეს წინასწარ ჩამოყალიბებულ, მრავალჯერადად გამოყენებად დებულებებს, არამედ სახეზეა მკაცრად ინდივიდუალიზირებული, მოლაპარაკებების გზით დადგენილი ქირავნობის ხელშეკრულების დებულება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს შეთანხმების (გარიგების) დადების ზოგად პირობებს.

17.8. ასევე უსაფუძვლოა, კასაციის ის მოტივი, რომ სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ხელშეკრულების მოშლის შესახებ მეორე დამქირავებელი/ს-ო მ-ისათვის წერილობითი შეტყობინების ფაქტი. ჯერ ერთი, ეს მსჯელობა არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან, კერძოდ, დადგენილია, რომ 2013 წლის 6 ივნისს როგორც მოსარჩელეს, ისე ს-ო მ-საც წერილობით ეცნობათ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შესახებ და გამოვლენილი ცალმხრივი ნება მიიღო მოსარჩელე მხარემ, შესაბამისად, სსკ-ის 51.1 მუხლის საფუძველზე ის ნამდვილი გახდა, მეორეც, ამ საკითხის კვლევა სამართლებრივად არც იყო მნიშვნელოვანი, რადგანაც მოსარჩელე თავის მოთხოვნას სწორედ ხელშეკრულების მოშლაზე აფუძნებდა.

17.9. საკასაციო პალატა კასატორის ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე: ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შესახებ შეთანხმების არარსებობა იქნებოდა ის წინაპირობა, რომელიც დამქირავებლის მოქმედების ხელშეკრულების დარღვევად შეფასების შესაძლებლობას მისცემდა მოსარჩელეს. რადგანაც ქირავნობის ხელშეკრულება 10 წლით იყო დადებული, მოპასუხე სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არ იქნებოდა უფლებამოსილი, საპატიო მიზეზის გარეშე მოეშალა იგი (სსკ-ის 559.1-ე მუხლის შესაბამისად: ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით). შესაბამისად, სსკ-ის 531-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელეს შეეძლო

სახელმწიფო ურთიერთობის გაგრძელება და შეთანხმებული ქირის ყოველთვიური გადახდა, ან, სსკ-ის 531-ე და 394.1 მუხლის საფუძველზე, ხელმწიფოების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა. მოცემულ შემთხვევაში კი, მხარეთა შორის დადებული იყო შეთანხმება, რომელიც დამქირავებელს უპირობოდ ანიჭებდა ხელმწიფოების ცალმხრივად მოშლის უფლებას, რაც მან მართლზომიერად განახორციელა კიდევ.

18. ამრიგად, არ არსებობს მოპასუხის ვალდებულება 2023 წლის იანვრამდე მისაღები ქირა, 702 291,74 აშშ დოლარი, გადაუხადოს მოსარჩელეს. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს იმასთან დაკავშირებით, რომ არც საბანკო კრედიტის ხელმწიფოებიდან გამომდინარე მოსარჩელის ვადამოსული ფულადი ვალდებულების – 151 135,97 აშშ დოლარის- შეწყვეტაა შესაძლებელი მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის გზით, ანუ არ არის განხორციელებული სსკ-ის 442-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები და არც წინამდებარე განჩინების პ.1-ში მითითებულ ქონებაზე ბანკის სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის გაუქმების მოთხოვნას გააჩნია სამართლებრივი საფუძველი.

19. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში მითითებულ კანონის დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველები.

20. საკასაციო პალატის 2015 წლის 21 ივლისის განჩინებით კასატორს გადავადებული ჰქონდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ა.“ ქვეპუნქტის საფუძველზე მას დაეკისრება გადავადებული ბაჟის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 257-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით, 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ა.“ ქვეპუნქტით, 408-ე და 410-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ნ-უ გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 მარტის განჩინება;
3. დაეკისროს ნ-უ გ-ძეს (პ/№0-) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის, 6 000 ლარის, გადახდა; სახელმწიფო ბაჟი ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150.
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსთვის

გადანყვიტილება საქართველოს სახელით

№ას-549-521-2015

18 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუჩი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „მ.ს.ც“-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე სს „ა.ს.ჯ“-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა: 1. მოპასუხისათვის შესრულებული სამუშაოების ღირებულების – 12,126 ლარის გადახდის, 2. პირგასამტეხლოს – 14,368 ლარის გადახდისა და 3. იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 8,484 ლარის გადახდის დაკისრება.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მხარეებს შორის 01.08.2009წ.-ს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება №... სამედიცინო მომსახურების შესახებ, რომლითაც მხარეებმა იკისრეს განსაზღვრული ვალდებუ-

ლებების შესრულება. მოსარჩელემ კეთილსინდისიერად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და მომსახურებას უწევდა კონტრაქტორ კომპანიაში დაზღვეულ პირებს. კონტრაქტორი კომპანიის მხრიდან სისტემატიურად ფერხდებოდა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება და დღეის მდგომარეობით დავალიანება შეადგენს 12,126 ლარს. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო კი, მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო დავალიანების თანხის 1%-ის ოდენობით, რაც მთლიანობაში შეადგენს 14,368 ლარს. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ მხარეებს შორის გაფორმდა არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება №..., შეთანხმება №... . ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე იჯარის ქირის თანხის დავალიანება შეადგენს 8,484 ლარს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და სარჩელზე წარდგენილი შესაგებლით განმარტა, რომ მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა თანხის უპირობო ანაზღაურებას, არამედ საჭირო იყო შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, კერძოდ, შესრულებული სამუშაოს ამსახველი შესაბამისი საანგარიშგებო და სამედიცინო დოკუმენტაცია მოსარჩელეს არ წარმოუდგენია, ხოლო მოსარჩელის მიერ ცალმხრივად შედგენილი ანგარიშის ბარათი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოთხოვნის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „მ.ს.ც“-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხე შპს „ა.ს.ჯ“-ს დაეკისრა სს „მ.ს.ც“-ის სასარგებლოდ 12,126 ლარის (შესრულებული სამუშაოების ღირებულების სახით), 1,436.8 ლარის (პირგასამტეხლოს სახით), 8,484 ლარის (იჯარის ქირის სახით) გადახდა.

ამდენად, საქმის განმხილველმა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა შესრულებული სამუშაოების ღირებულებისა საიჯარო ქირის დავალიანების დაკისრების ნაწილში, ხოლო პირგასამტეხლო, როგორც შეუსაბამოდ მაღალი 10-ჯერ შეამცირა და ნაცვლად 14,368 ლარისა 1,436.8 ლარით განსაზღვრა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა შპს „ა.ს.ჯ“-ს მიერ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ა.ს.ჯ“-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სს „მ.ს.ც“-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: შპს „ა.ს.ჯ“-ს დაექისრა საიჯარო ქირის სახით, 3,276 ლარის გადახდა; შესრულებული სამუშაოსათვის 12,126 ლარის, პირგასამტეხლოს სახით 1,436.8 ლარისა და საიჯარო ქირის სახით 5,208 ლარის დაკისრების ნაწილში კი, სს „მ.ს.ც“-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2009 წლის 1 აგვისტოს შპს „ა.ს.ჯ“-ს („დამკვეთს“) და შპს „მ.ს.ც“-ს („შემსრულებელს“) უფლებამონაცვლე: სს „მ.ს.ც“) შორის დაიდო სამედიცინო მომსახურების შესახებ №... ხელშეკრულება, რომლითაც „შემსრულებელს“ უნდა გაეწია სამედიცინო მომსახურება „დამკვეთის“ დაზღვეულებისათვის, რისთვისაც „დამკვეთი“ ანაზღაურება და შესრულებულ სამუშაოს ანგარიშის წარდგენიდან არაუგვიანეს 40 საბანკო დღისა.

მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ ამ ვალდებულების დარღვევისათვის „დამკვეთი“ გადაიხდიდა პირგასამტეხლოს, და-ვალაიანების 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ხელშეკრულება მოქმედებდა 2010 წლის 1 იანვრამდე, თუმცა მისი მოქმედება ავტომატურად გრძელდებოდა ერთი წლით, თუ რომელიმე მხარე წერილობით არ დაადასტურებდა მის შეწყვეტას.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ „შემსრულებელი“, ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, „დამკვეთს“ მიაწვდიდა დეტალურ ფინანსურ ანგარიშს (კალკულაციას, ანგარიშ-ფაქტურას) და თანდართულ სამედიცინო დოკუმენტაციას (ფორმა IV-100/ა ან/და მკურნალი ექიმის ხელმოწერითა და კლინიკის ბეჭდით დამოწმებულ სამედიცინო ცნობას და სხვ.) დაზღვეულთათვის განუვლი სამედიცინო მომსახურებისა და დანახარჯების შესახებ (ანგარიშის მიწოდების ფორმა, დანართი №1-ის სახით, წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს). წინააღმდეგ შემთხვევაში, „დამკვეთი“ უფლებამოსილი იყო არ შეესრულებინა ამ წესის დარღვევით წარდგენილი მოთხოვნა და განესაზღვრა „შემსრულებლისათვის“ დამატებით 3-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად; აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ, „დამკვეთი“ უფლებამოსილი იყო უარი ეთქვა იმ მომსახურების იმ ხარჯების ანაზღაურებაზე, რომლის თაობაზე ინფორმაცია არ

იყო მონოდებული.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ „შემსრულებელი“, ზემოთ მითითებულ ვადაში და დადგენილი წესით, აწვდიდა დეტალურ ანგარიშს „დამკვეთს“, სადავო 2012-13 წლებში შესრულებული სამედიცინო მომსახურების თაობაზე. სს „მეზღაურთა სამედიცინო ცენტრი-2010“-ის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ შემსრულებელს ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს მიჰქონდა „დამკვეთთან“ დოკუმენტაცია და ხელზე უტოვებდა შესაბამის თანამშრომელს არ იქნა გაზიარებული სააპელაციო სასამართლომ ვინაიდან, როგორც მოსარჩელე განმარტავდა მხარეთა შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობიდან გამომდინარე, მიღება-ჩაბარების აქტი ან ხელწერილი არ ფორმდებოდა (იხ., სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 27 მარტის სხდომის ოქმი).

2008 წლის 29 აგვისტოს შპს „მ.ს.ც“-მა (უფლებამონაცვლე: სს „მ.ს.ც“) სადაზღვევო კომპანია „...“ (უფლებამონაცვლე: შპს „ა.ს.ჯ“) იჯარით გადასცა კუთვნილი, ქალაქ ბათუმში, ...-ის ქუჩის №30-ში მდებარე 12.5მ² არასაცხოვრებელი ფართი, საიჯარო ქირის სახით ყოველთვიურად 210 ლარის გადახდის პირობით, რომელიც 2009 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა 273 ლარამდე (იხ: იჯარის ხელშეკრულება და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 1 იანვრის შეთანხმება).

მხარეები არ დავობენ, რომ მითითებული პირობებით მოპასუხე იჯარის საგნით სარგებლობდა 2010 წლის 1 მაისამდე. ამასთან, მოიჯარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება სადავო პერიოდზე (2009 წლის 1 მაისი-2010 წლის 1 მაისი) იჯარის ქირის გადახდის დასადასტურებლად.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეაფასების მიზნით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის 2009 წლის 1 აგვისტოს დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლით გათვალისწინებულ წარდობის ხელშეკრულებას, კერძოდ, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელემ (მენარდემ) იკისრა ვალდებულება – გაენია მოპასუხის (შემკვეთის) დაზღვეულებისათვის სამედიცინო მომსახურება, რისთვისაც შემკვეთს უნდა გადაეხადა მენარდისათვის შეთანხმებული საზღაური.

ამავე კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელ-

შეკრულებათა შინაარსი; ხოლო 327-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით; არსებითად კი ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეები, 2009 წლის 1 აგვისტოს ხელშეკრულების 2.1.7 პუნქტით, შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციის (ანგარიშის) წარდგენის წესზე, კერძოდ: განსაზღვრეს, თუ რა ვადაში უნდა მომხდარიყო ამ ანგარიშის წარდგენა და რა დოკუმენტაციით უნდა ყოფილიყო დასაბუთებული ანგარიშის სისწორე. აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ შემკვეთს შეეძლო არ შეესრულებინა მენარდის მიერ ამ წესის დაუცველად წარდგენილი მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ანგარიშის წარდგენის ეს წესი იყო ხელშეკრულების არსებითი პირობა და აუცილებლად უნდა ყოფილიყო შესრულებული მენარდის მიერ.

რაც შეეხება ხარვეზის შესავსებად დამატებითი ვადის დაწესების შესახებ პირობას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამგვარი ვალდებულება შემკვეთს ეკისრებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო თვის ამოწურვიდან 5 დღის ვადაში მენარდე წარადგენდა დაუსაბუთებელ ანგარიშს; ანუ, თუ დაცული იქნებოდა წარდგენის ვადა, ოღონდ ხარვეზიანი იქნებოდა ანგარიში, დოკუმენტაციის არასაკმარისობის თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში, თუ მენარდე ანგარიშს წარადგენდა მითითებული ვადის დარღვევით, შემკვეთს შეეძლო დამატებითი ვადის დაწესების გარეშე უარი ეთქვა ანაზღაურებაზე. ამ პირობის სხვაგვარი განმარტება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის ნორმით გათვალისწინებული გარიგების გონივრულად განმარტების პრინციპიდან გამომდინარე, შეუძლებელია, რადგან ალოგიკური და აბსურდული იქნება იმ შესაძლებლობის დაშვება, რომ შემკვეთს, შეთანხმებული 5-დღიანი ვადის დარღვევით წარდგენილ ანგარიშზე, დაენესებინა კიდევ 3-დღიანი დამატებითი ვადა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, მოსარჩელემ (მენარდემ) საქალაქო სასამართლოს წარუდგინა გარკვეული დოკუმენტაცია 2012-13წწ.-ში გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ, მაგრამ, აღნიშნული დოკუმენტაცია არ ადასტურდებდა მოსარჩელის მიერ გარკვეული სამედიცინო მომსახურების განევას, რადგან

მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულების არსებითი პირობა – მოთხოვნის მოპასუხისათვის წარდგენის ვადა და წესი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან არ დასტურდებოდა მოპასუხის (მოვალის) მიერ 2009 წლის 1 აგვისტოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების ფაქტი, მოპასუხეს ვერ დაეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა, რის გამოც ამ ნაწილში, სარჩელი დაუსაბუთებელად იქნა მიჩნეული.

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის შესაბამისად დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სარგებლობდა მოსარჩელის კუთვნილი ფართით, ისე, რომ არ გადაუხდია საიჯარო ქირა 2009 წლის 1 მაისი-2010 წლის 1 მაისის პერიოდისათვის, რაც შეადგენს: 273 ლარი X 12 თვეზე = 3276 ლარს. ამდენად, ამ თანხის გადახდევინების ნაწილში სარჩელი საფუძვლიანად იქნა მიჩნეული. 5208 ლარის (8484 – 3276) დაკისრების მოთხოვნის ნაწილში კი, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია რომ მოპასუხეს არ გააჩნდა რაიმე საფუძვლით ამ თანხის გადახდის ვალდებულება, რის გამოც ამ ნაწილში, სარჩელი დაუსაბუთებელად იქნა მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-386-ე მუხლებისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნდა შეცვლილიყო ახალი გადაწყვეტილებით, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდებოდა ნაწილობრივ (საიჯარო ქირის სახით, 3276 ლარის გადახდევინების ნაწილში)

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს „მ.ს.ც“-ის მიერ გაასაჩივრდა საკასაციო წესით, კასატორმა მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განსახილველად უკან დაბრუნება.

კასატორი განმარტავს, რომ მოსარჩელე მომსახურებას უწევდა მოპასუხე კომპანიაში დაზღვეულ პირებს 2009 წლის აგვისტოს თვიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით. მხარეები განსაკუთრებულ პირობებზე შეთანხმდნენ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით (01.08.2009წ.-ს №...), სადაც განსაზღვრული იყო სამედიცინო ცენტრის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ დოკუმენტაციის გაგზავნის კონკრეტული ვადები, რომლის დარღვევისათვის მხარეებს გათვალისწინებული ჰქონდათ საურავი გადასახდელი თანხის 1%, რაც არ გაითვალისწინა სასამართლომ იმ საფუძვლით, რომ ზემოთ ხსენებული ხელშეკრულება დადებული იყო 2011 წლის 1 იანვრამდე.

კასატორის განმარტებით, 2011 წლის იანვრიდან მოსარჩელე ემსახურებოდა დაზღვეულ პირებს სპეციალური მიმართვების საფუძველზე ანუ, 2011-13წწ.-ში მომსახურების რაიმე კონკრეტული პირობები არ არსებობდა. შესაბამისად, მომსახურების თანხა გადაიხდებოდა საანგარიშო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ. ამდენად, ამ პერიოდში სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებისათვის აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენდა ე.წ. სპეციალური „სამედიცინო მიმართვები“, ასევე, ელექტრონულად გაფორმებული ანგარიშ-ფაქტურები, სადაც აისახებოდა მომსახურების საფასური.

ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი ე.წ. სპეციალური „სამედიცინო მიმართვები“ არის იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხეს გაენია სამედიცინო მომსახურება.

კასატორის მოსაზრებით გაუგებარია საქმის განმხილველი სასამართლოს მითითება იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ დასტურდება სამედიცინო მომსახურების განწევის შესახებ ფაქტობრივი გარემოება, ანაზღაურებას მაინც არ ექვემდებარება იგი, რადგან მოსარჩელემ დაარღვია 2009წ.-ის ხელშეკრულების წესი და პირობები. კასატორის მითითებით, სასამართლოს მითითება 2009წ.-ის ხელშეკრულების წესსა და პირობებზე ალოგიკურია, როდესაც საქმე შეეხება 2011-2013წწ.-ში გაწეულ მომსახურებას, ხოლო 2009წ.-ის ხელშეკრულებამ კი, იურიდიული ძალა დაკარგა 2011წ.-ის იანვრისათვის.

კასატორი აღნიშნავს, რომ საიჯარი ქირის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, საქმის განმხილველი სასამართლო იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი საიჯარო ქონებით სადავო პერიოდში სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რასაც კასატორი არ იზიარებს და მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ №... 23.04.2012წ.-ის წერილებზე, რომლითაც მოსარჩელე მოპასუხეს სთხოვს საიჯარი ქირის გადახდას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმომბრუნებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 15 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-

საჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ სს „მ.ს.ც“-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია სს „მ.ს.ც“-ის მიერ სს „ა.ს.ჯ“-ში დაზღვეული პირებისათვის 2012-13წწ.-ში განეული სამედიცინო მომსახურების საფასურის ანაზღაურების საკითხს შეეხება. საკასაციო საჩივრის მითითებული საფუძვლის კვლევისათვის პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს სამედიცინო მომსახურების ნაწილში მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს:

– დადგენილია, რომ 01.08.2009წ.-ს ერთი მხრივ შპს „ა.ს.ჯ“-ს, როგორც „დამკვეთსა“ და მეორე მხრივ, შპს „ოჯახის ექიმის სამედიცინო ცენტრს“, როგორც „ცენტრსა“ და შესაბამის მხრივ, შპს „მ.ს.ც“-ს (ამჟამად სს მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი 2010), როგორც „შემსრულებელს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება №... „სამედიცინო მომსახურების შესახებ“. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შემსრულებლის მიერ დამკვეთის სამედიცინო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში დაზღვეული პირებისათვის სამედიცინო მომსახურების განწვევა, ხოლო დამკვეთის მხრიდან მომსახურების შესაბამისი ანაზღაურება.

– ხელშეკრულებით განისაზღვრა ხელშემკვერელ მხარეთა უფლებები და მოვალეობები, მათ შორის, მხარეები შეთანხმდნენ, რომ შემსრულებელი ვალდებული იყო ანგარიშსწორება მოეხდინა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად, სახელდობრ მხარეები შეთანხმდნენ რომ დამკვეთი შემსრულებელთან ანგარიშსწორებას ახდენდა შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი დეტალური ფინანსური ანგარიშისა და თანდართული სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გადაწყვეტილების მიღებიდან 21 საბანკო დღის ვადაში, მაგრამ ანგარიშსწორების წარდგენიდან არაუგვიანეს 40 საბანკო დღისა (ხელშეკრულების 3.3. პუნქტი).

– ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2010 წლის 1 იანვარი.

– ხელშეკრულების 6.2 პუნქტით კი, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად გრძელდებოდა ერთი წლის ვადით თუ ერთ-ერთი მხარე წინარე ხელშეკრულების შეწყვეტას არ დაადასტურებდა წერილობითი სახით.

– ხელშეკრულების 3.3 პუნქტით ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეებმა გაითვალისწინეს პირგასამ-

ტეხლო, რომლის განაკვეთი განისაზღვრა დავალიანების თანხის 1%-ით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თანხის სრულ დაფარვამდე.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი რაიმე პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ შეიცავს. შესაბამისად, ამ ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კი, საკასაციო პალატას აძლევს იმ დასკვნის საფუძველს, რომ მხარეთა შორის არსებობდა წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის სამართლებრივი განმარტება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლში. ნორმის დანაწესით, წარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური, ხოლო 648-ე მუხლის მიხედვით კი, შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას.

მოსმობილ ნორმათა ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს ეკისრებოდათ ორმხრივი უფლებები და მოვალეობი, სახელდობრ, ერთი მხრივ, „შემსრულებელი“ ვალდებული იყო გაეწია შეთანხმებული სამედიცინო მომსახურება „დამკვეთისათვის“, ხოლო მეორე მხრივ, „დამკვეთი“ ვალდებული იყო აენაზღაურებინა შესრულებული სამუშაო.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველების შემომწმებისათვის უნდა დადგინდეს სწორედ 2012-136წ.-ში „შემსრულებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მართლობიერება. ამ თვალსაზრისით კი, გასათვალისწინებელია, რომ გარემოება „შემსრულებლის“ მიერ სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ „დამკვეთს“ სადავოდ არ გაუხდია. სარჩელზე წარმოდგენილ შესაგებელში „დამკვეთმა“ იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ „შემსრულებელმა“ დაარღვია 01.08.2009წ.-ს ერთი მხრივ შპს „ა.ს.ჯ“-ს, როგორც „დამკვეთსა“ და მეორე მხრივ, შპს „ოჯახის ექიმის სამედიცინო ცენტრს“, როგორც „ცენტრსა“ და მესამე მხრივ, შპს „მ.ს.ც“-ს (ამჟამად სს მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი 2010), როგორც „შემსრულებელს“

შორის გაფორმებული №... „სამედიცინო მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების წესი. ამ წესის დარღვევა კი, „დამკვეთის“ განმარტებით იმაში გამოიხატა, რომ „დამკვეთს“ დადგენილ ვადაში არ მიენოდა შესრულებული სამუშაოს ამსახველი შესაბამისი საანგარიშგებო და სამედიცინო დოკუმენტაცია, რაც გამოიწვია მისი მხრიდან სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების ვალდებულებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, სადავოა 2012-13წწ.-ში გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასურის ანაზღაურების საკითხი, ხოლო „დამკვეთი“ აპელირებს ანგარიშსწორების წესებისა და პირობების დარღვევაზე, როგორც სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების გამომრიცხველ გარემოებაზე, უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, რა სპეციალურ წესებსა და პირობებს ითვალისწინებდა „დამკვეთის“ მხრიდან შესრულებული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს რომ 01.08.2009წ.-ს მხარეებს შორის გაფორმებული №... „სამედიცინო მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2010 წლის 1 იანვარი, ხოლო ხელშეკრულების 6.2. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად გრძელდებოდა ერთი წლის ვადით. შესაბამისად, დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 01.08.2009წ.-ის №... „სამედიცინო მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულება ფაქტობრივად გაგრძელდა 2011 წლის 1 იანვარმდე, ხოლო ხელშეკრულებით დადგენილი ანგარიშსწორების სპეციალური წესი კი, რომელიც ანგარიშსწორების წინაპირობად დეტალური ფინანსური ანგარიშისა და თანდართული სამედიცინო დოკუმენტაციის დადგენილ ვადებში წარდგენის ვალდებულებას აწესებდა, მოქმედებდა მხოლოდ 2011 წლის 1 იანვარამდე.

შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების სპეციალური წესის დარღვევაზე, როგორც 2012-13წწ.-ში გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასურის ანაზღაურების ვალდებულების გამომრიცხველ გარემოებაზე „დამკვეთის“ (კასატორის მოწინააღმდეგე მხარის) მითითება არ გამოდინარეობს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებიდან.

ამ პირობებში, კი საქმე გვაქვს იმგვარ ვითარებასთან, როდესაც სადავო ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად საჭირო არ არის სპეციალური მტკიცებულების წარმოდგენა, კერძოდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატის განმარტებით, კანონის ეს მოთხოვნა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ამა თუ იმ გარემოების დასამტკიცებლად კანონით ან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მტკიცების სტანდარტი – სპეციალური მტკიცებულება. მოცემულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ ხელშეკრულ მხარეთა მიერ წინასწარ განსაზღვრული სპეციალური მტკიცებულების, როგორცაა დეტალური ფინანსური ანგარიშისა და თანდართული სამედიცინო დოკუმენტაციის დადგენილ ვადებში მიწოდება სავალდებულო აღარ იყო, რადგან, 2011 წლის იანვრიდან 01.08.2009წ.-ის №... „სამედიცინო მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულება და შესაბამისად, ანგარიშსწორების ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპეციალური წესები და პირობები აღარ მოქმედებდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, „დამკვეთს“ აწვდიდა დეტალურ ფინანსურ ანგარიშსა (კლკულაცია, ანგარიშ-ფაქტურა) და თანდართულ სამედიცინო დოკუმენტაციას (ფორმა IV-100/ა ან/და მკურნალი ექიმის ხელმოწერითა და კლინიკის ბეჭდით დამონმებული სამედიცინო ცნობა და სხვ.) დაზღვეულთათვის გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და დანახარჯების შესახებ (ანგარიშის მიწოდების ფორმა, დანართი №1-ის სახით, წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს), „დამკვეთი“ არ იყო ვალდებული აენაზღაურებინა შესრულებული სამედიცინო მომსახურება, უმართებულოა და არ გამომდინარეობს მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზიდან. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში წამოყენებულია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო პალატა განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის

მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. გარდა აღნიშნულისა, კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას, სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავდროს, აშკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სატაბილურობასა და სიმყარეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, არ დადასტურდა სადავო 2012-13წ.-ში განეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების წინაპირობად სპეციალური წესისა და პირობების დაცვის აუცილებლობა, გასაზიარებელია კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ 2012-13წ.-ში „შემსრულებელი“ ემსახურებოდა „დამკვეთ“ კომპანიაში დაზღვეულ პირებს ე.წ. სპეციალური „სამედიცინო მიმართვების“ საფუძველზე და მომსახურების რაიმე კონკრეტულ პირობებზე შეთანხმება არ არსებობდა. მომსახურების თანხა კი, უნდა გადახდილიყო საანგარიშო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ. ამ პერიოდში სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტად მართებულია მივიჩნიოთ ელექტრონულად გაფორმებული ანგარიშფაქტურები, სადაც აისახებოდა მომსახურების საფასური.

მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შემკვეთს წარმოეჭვა 2012-13წ.-ში განეული სამედიცინო მომსახურების საფასურის – 12,126 ლარის ანაზღაურების მოვალეობა სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 629-ე და 648-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, რომლითაც სს ...-ის სარჩელი შპს ...-ისათვის“ 12,126 ლარის, როგორც განუხლები სამედიცინო მომსახურების დავალიანების დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილება.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას პირგასამტეხლოს ანაზღაურების ნაწილში, აღნიშნული საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია და თვლის, რომ ამ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, როგორც მოცემული საქმის მასალებითაა დადასტურებული შემკვეთს სადავო 2012-13წწ.-ში შესრულებული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშვა მითითებულ პერიოდში რეალურად მიღებული მომსახურებიდან რაზედაც, როგორც ზემოთ აღნიშნა არ ვრცელდებოდა 01.08.2009წ.-ს მხარეებს შორის გაფორმებული №... „სამედიცინო მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულებით დადგენილი ანგარიშსწორების სპეციალური წესი. დადგენილია ისიც, რომ ხელშეკრულების ეს და სხვა დებულებები, მათ შორის, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდაზე შეთანხმება, მოქმედებდა მხოლოდ 2011 წლის 1 იანვრამდე. სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კი შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას. ის გარემოება, რომ სადავო პერიოდზე (2012-13წწ.) მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმება არ ვრცელდება, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სახეზე არ არის პირგასამტეხლოზე კანონით დადგენილი სპეციალური ფორმით შეთანხმებაც, რაც გამორიცხავს ხელშეკრულებით დადგენილი ვადის დარღვევისათვის პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებას.

კასატორის მორიგი პრეტენზია საიჯარო ქირის დავალიანების არსებობას შეეხება. ამ ნაწილში, კასაციის საფუძველები (მიზეზები) მდგომარეობს იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ

არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადავო პერიოდში მოიჯარის მიერ საიჯარო ფართის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ.

საკასაციო საჩივრის ზემოთმითითებული საფუძვლის კვლევისათვის ყურადღება უნდა მიექცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, იმის თაობაზე, რომ 29.08.2008წ.-ს შპს „მ.ს.ც“-ს (უფლებამონაცვლე: „მ.ს.ც“), როგორც „მეიჯარესა“ სადაზღვევო კომპანია „...“ (უფლებამონაცვლე: შპს „ა.ს.ჯ“-ი“), როგორც „მოიჯარეს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება №... შპს „მ.ს.ც“-ის შენობაში განთავსებული თავისუფალი არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გადაცემის თაობაზე. რომლის თანახმად მოიჯარეს სარგებლობისათვის გადაეცა ქ. ...-ის №30-ში მდებარე 12.5მ² არასაცხოვრებელი ფართი, საიჯარო ქირის სახით ყოველთვიურად 210 ლარის გადახდის პირობით, რომელიც 2009 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა 273 ლარამდე (იხ., იჯარის ხელშეკრულება და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 1 იანვრის შეთანხმება).

ხელშეკრულების 1.4 პუნქტის მიხედვით საიჯარო ფართი გადაეცემოდა მოიჯარეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში.

ხელშეკრულების 3.2 პუნქტით კი, მხარეები შეთანხმდნენ, რომ იჯარის თანხა უნდა გადახდილიყო ყოველი თვის 25 რიცხვამდე მეიჯარის ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2008 წლის 1 მაისიდან 2009 წლის 1 მაისამდე პერიოდი.

მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში იყო მხოლოდ ამ ხელშეკრულების გაფორმებისათვის დადგენილი წესის დაცვის (წერილობითი ფორმა და ხელმოწერა) შემთხვევაში (ხელშეკრულების 7.2 პუნქტი).

01.01.2009წ.-ს მხარეთა შორის გაფორმდა 29.08.2008წ.-ის №... ხელშეკრულების ვადის გაგრძელებისა და მასში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე №... შეთანხმება, რომლითაც საიჯარო ქირა 2009 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა 273 ლარამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა ერთი წლით (იხ., იჯარის ხელშეკრულება და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 1 იანვრის შეთანხმება).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი საიჯარო ქირის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შპს „ა.ს.ჯ“-ს დაეკისრა 2009 წლის 1 მაისი-2010 წლის 1

მაისის პერიოდში საიჯარო ქირის დავალიანება – 3,276 ლარი (273 ლარის ნამრავლი ერთ წელიწადზე).

მოცემულ შემთხვევაში კი, კასატორი (მოსარჩელე) პრეტენზიას აცხადებს დამატებით 5,208 ლარზე, რომელიც მისი მითითებით წარმოადგენს იჯარის საგნით სარგებლობის გადაუხდელ ქირას და საკასაციო საჩივრის ძირითად საფუძვლად აპელირებს №... 23.04.2012წ.-ის წერილებზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომელიც შეიცავს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს და ადგენს ყოველი საპროცესო სამართალურთიერთობის მონაწილე მხარის ვალდებულებას მიუთითოს და დაამტკიცოს ფაქტები სათანადო მტკიცებულებების წარდგენით.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო ფაქტობრივი გარემოება 2010 წლის 1 მაისის შემდგომ პერიოდში მოიჯარის მიერ საიჯარო საგნის სარგებლობის შესახებ დადასტურებული არ არის, ხოლო კასატორის მიერ მითითებული №... 23.04.2012წ.-ის წერილი კი, საიჯარო საგნის შემდგომი მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად, იმ პირობებში, როდესაც მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამონურული იყო და მხარეთა შეთანხმებას საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებაზე ადგილი არ ჰქონია, ვერ გამოდგება.

შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საიჯარო ქირის – 5,208 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში სწორი და დასაბუთებულია, რაც ამ ნაწილში, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ სამართლებრივი საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-

და, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

მოცემულ შემთხვევაში, სს „მ.ს.ც“-ს სარჩელისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად უნდა აუნაზღაურდეს 1050.88 ლარი (სარჩელზე 462 ლარი + საკასაციო საჩივარზე 588,88 ლარი).

შპს „ა.ს.ჯ“-ს კი, უნდა აუნაზღაურდეს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად 1733,4 ლარი.

ზემოაღნიშნული თანხების გაქვითვის შედეგად სს „მ.ს.ც“-ს უნდა დაეკისროს შპს „ა.ს.ჯ“-ის სასარგებლოდ 682.56 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „მ.ს.ც“-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. სს „მ.ს.ც“-ის სარჩელი ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს და შპს „ა.ს.ჯ“-ს დაეკისროს სს „მ.ს.ც“-ის სასარგებლოდ 12,126 ლარის გადახდა;

4. სს „მ.ს.ც“-ის სარჩელი პირგასამტეხლოსა და საიჯარო ქირის – 5,208 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

5. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება;

6. სს „მ.ს.ც“-ს უნდა დაეკისროს შპს „ა.ს.ჯ“-ის მიერ სააპელაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით 682,56 ლარი;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკუთრების მინდობის ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

ბანკინება

№ას-931-889-2013

30 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეციე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის გადახდის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასართქლო მოთხოვნა:

შპს „რ-ის მ-ს მ-ის კ-ამ“ (შემდგომში – მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს-ა მ-ოსა“ და მისი პარტნიორების: მ. ღ-ის, ე. ა-ას, ლ. ჩ-ის, გ. ე-ის, მ. ა-ისა და გ. გ-ის მიმართ (შემდგომში – მოპასუხეები) თანხის (3 841 670 აშშ დოლარის; 2 500 000 აშშ დოლარისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო 10 000 000 აშშ დოლარის) დაკისრების მოთხოვნით.

2. მოპასუხეების პოზიცია:

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული.

5.1. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ შეასრულა მისი, როგორც „მმართველის“ ვალდებულება, შპს „სამ-ოს“ აქტივების გაზრდის თაობაზე, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავდა იმას, რომ „მმართველ“ კომპანიას ჰქონდა „მესაკუთრე“ კომპანიაში ინვესტირებული 3 841 670 აშშ დოლარის უკან გამოთხოვის უფლება.

5.1.2. მმართველი კომპანიის მიერ აქტივის გაზრდის ვალდებულებაში იგულისხმებოდა მმართველი კომპანიის მიერ მესაკუთრის სასარგებლოდ ინვესტიციების მოზიდვა, გრანტების მოძიება, მესამე პირებთან გარიგებების დადების ხელშეწყობა, ფულადი ვალდებულებების გასტუმრება და ა.შ, ანუ მენარმის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერი კომერსანტის ძალისხმევით კომპანიის ჯეროვანი მართვის განხორციელება, რის შედეგადაც „კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ“ 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულების 3.2.1. პუნქტის მიხედვით, კომპანიის აქტივი 3 000 000-ით უნდა გაზრდილიყო. მხარეთა შორის სადავო არ იყო, რომ მოსარჩელემ სრულად შეასრულა ხელშეკრულების 3.2.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება 2011 წლის 15 ივლისამდე მოპასუხე საზოგადოების აქტივების 3 000 000 აშშ დოლარით გაზრდის თაობაზე. ნიშანდობლივია, რომ აქტივის გაზრდაში არ იგულისხმება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში შენატანის შეტანა, რაც აღნიშნულ სამართალურიერთობას კორპორაციული სამართლის რეგულირების რეჟიმში აქცევს და არც სესხის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, თანხის გადაცემა. აქტივის გაზრდაში იგულისხმება მატერიალური აქტივის შექმნა, მესამე პირებთან ურთიერთობაში მოთხოვნის უფლების წარმოშობა, პასივის შემცირება, დონორების, ინვესტორების მოძიება და ა.შ, ანუ ის, რაც გულისხმიერი მმართველის ვალდებულებაში შედის. „მმართველი“ კომპანიის ინტერესს „მესაკუთრე“ კ-ის აქტივის გაზრდაში წარმოადგენდა იმ მოგების 15%, რასაც „მესაკუთრე“ კომპანია აქტივის გაზრდის შედეგად მიიღებდა. მოგების 15%-ის მიღების უფლება „მმართველ“ კომპანიას განუყოფელი სამუშაოსათვის ანაზღაურების სახით ერგებოდა. ამდენად, „კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ“ 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულება მომსახურების ტიპის გრძელვადიანი ხელშეკრულება, კერძოდ, საკუთრების მინდობაა.

5.1.3. სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლის მიხედვით, პა-

ლატამ განმარტა, რომ ხელშეკრულების ტიპის დადგენასა და მის სამართლებრივ კვალიფიკაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შედეგად მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის. ამავე კოდექსის 729-ე მუხლის, 720-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პალატამ აღნიშნა, რომ 2011 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულება შპს „ს-ა მ-ოს“ ინიციატივით შეწყდა. შპს „რ-ის მ-ს მ-ის კ-ა“ შესრულებული სამუშაოს ეკვივალენტ ანაზღაურებას ან კიდევ, ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას კი არ ითხოვდა, არამედ სამართლმცოდნეობით კომპანიაში ინვესტირებული 3 841 670 აშშ დოლარის დაბრუნებას.

5.1.4. სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, მხარეები უბრუნდებიან ხელშეკრულების დადებამდე არსებულ მდგომარეობას, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტამდე განხორციელებული შესრულება და მისი შედეგები ძალაში რჩება. გრძელვადიანი ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით, სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე, მოპასუხე საზოგადოების ქმედება ხელშეკრულების შეწყვეტას წარმოადგენდა.

5.1.5. პალატამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი ფუნქცია მიღებული შესრულების უკან დაბრუნებაში გამოიხატება. უკუქცევის ვალდებულება ორივე მხარეს ეკისრება, რაც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი ორმხრივი ხელშეკრულებისათვის არის დამახასიათებელი. გრძელვადიანი ხელშეკრულება შეიძლება, მხოლოდ შეწყდეს, შესრულება კი, უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის მე-4 ნაწილი, გამონაკლისის სახით, ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობასაც უშვებს, თუ უკვე შესრულებული დაინტერესებული პირისათვის ინტერესს აღარ წარმოადგენს. გარდა ამისა, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხელშეკრულებიდან გასვლა, როგორც წესი, მხოლოდ საწყის სტადიაზეა შესაძლებელი და რამდენიმე წლის მანძილზე სხვადასხვა ფორმითა და ინტენსივობით მიღებული შესრულების ან სარგებლის უკუქცევა არაგონივრულია. სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორმხრივი ინტერესი და უკუქცევის რეალური შესაძლებლობა. განსახილველი ხელშეკრულების ტიპის გათვალისწინებით, მმართველი კომპანიის მი-

ერ განხორციელებული „მომსახურების“ უკან გატანა შეუძლებელია, რაც შეეხება ინვესტირებულ თანხას, პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულების ტიპი და მხარეთა ორმხრივი ინტერესი კიდევ რომ იძლეოდეს უკუქცევის რეალურ შესაძლებლობას, უკუქცევა ემსახურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზანს და არა მოზიდული, მოძიებული აქტივის რესტიტუციას, შესაბამისად, საქმის მასალებით უნდა დასტურდებოდეს უშუალოდ „მმართველი“ კომპანიის მიერ „მესაკუთრე“ კომპანიისათვის 3 841 670 აშშ დოლარის გადაცემა და არა მესამე პირების ხარჯზე კომპანიის აქტივის გაზრდა. ამდენად, აპელანტის მოთხოვნა 3 841 670 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული.

5.1.6. მოპასუხე სანარმოს „კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ“ 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში არ გაუსხვისებია საზოგადოების სადამფუძნებლო წილის 51% და მეტი, შესაბამისად, მოსარჩელეს არ წარმოშობია შპს „ს-ა მ-ოსაგან“ 10 000 000 აშშ დოლარის 25%-ის ანუ 2 500 000 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლება.

5.1.7. პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნა, რომ სახელშეკრულებო პირობა – საზოგადოების სადამფუძნებლო წილის 51%-ისა და მეტის გასხვისების თაობაზე სახეზე იქნებოდა, 2011 წლის 26 ნოემბრის წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება წილის გასხვისებად რომ მიჩნეულიყო, თუმცა, ამ თვალსაზრისით პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება არ წარმოადგენდა წილის ნასყიდობის ხელშეკრულებას, ვინაიდან წინარე ხელშეკრულება, თავის მხრივ, მომავალი ხელშეკრულების, მოცემულ შემთხვევაში, წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ვალდებულებას წარმოშობდა. მხარეთა შეთანხმებით, წილის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო არა უგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა („კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ“ 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2012 წლის 1 დეკემბრამდე) ან კიდევ 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან ერთი კვირის ვადაში. განსახილველ შემთხვევაში, წინარე ხელშეკრულების დადების მიზანს წარმოადგენდა ძირითადი ხელშეკრულების დადება, თუმცა, 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულებაში წილის გაუსხვისებლობის თაობაზე არსებული დათქმის გათვალისწინებით, მხარეებმა ძირითადი ხელშეკრულების დადების

ვალდებულება წინარე ხელშეკრულებით 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვას ან ვადამდე შეწყვეტას დაუკავშირეს. მხარეებმა წინარე ხელშეკრულებით ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება მაშინ დაანესეს, როდესაც აღარ იარსებებდა წილის გაუსხვისებლობის ან კიდევ სადამფუძნებლო წილის 51%-სა და მეტის გასხვისების შემთხვევაში, „მმართველი“ კომპანიისათვის 2 500 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება, რაც, სახელშეკრულებო თავისუფლებისა და ნების ავტონომიის რეჟიმში, თავისუფალი კონტრაქტის მოქმედების ფარგლებს არ სცილდებოდა და არც ხელშეკრულების დარღვევას ან ვალდებულების თავიდან აცილებას ემსახურებოდა. წინარე ხელშეკრულების დადებით არ მომხდარა სადამფუძნებლო წილის 51%-ისა და მეტის გასხვისება, შესაბამისად, „მმართველი“ კომპანიისათვის არც 2 500 000 აშშ დოლარის დაკისრების ვალდებულება წარმოშობილა.

5.1.8. პალატამ დადგენილად ცნო, რომ მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური განცხადების გავრცელებისა და მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტი არ დასტურდებოდა, შესაბამისად, არ არსებობდა მოპასუხისათვის საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნით 10 000 000 აშშ დოლარის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

5.1.9. პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, 18-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებზე და აღნიშნა, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვის საფუძველით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა აპელანტი მაშინ, როდესაც, ყველა ფრაზა, რომელსაც მოსარჩელე ცილისმწამებლურად და, შესაბამისად, საქმიანი რეპუტაციის შელახვის საფუძველად მიიჩნევდა, მიმართული იყო ფიზიკური პირის – ე. კ. ისა და არა აპელანტის მიმართ, შესაბამისად, მოსარჩელე მითითებული საფუძველებით, საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტს არ წარმოადგენს. იმ შემთხვევაშიც, თუ ე. კ. ისათვის საქმიანი რეპუტაციის შელახვა გაიგივებული იქნებოდა მის მიერ 100%-იანი წილის უფლებით დაფუძნებულ აპელანტის საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან, პალატამ მიიჩნია, რომ ე. კ. ის მისამართით გაკეთებული საჯარო განცხადებებით იმის თაობაზე, რომ თითქოს მოსარჩელე ცდილობდა ჩარეულიყო „მ-ოს“ სარედაქციო პოლიტიკაში (კონტექსტი – ზენოლა ჟურნალისტებზე), დირექციასთან შეუთანხმებლად ცდილობდა თათბირი ჩატარებინა ჟურნალისტებსა და პროდიუსერებთან, მმართველ

კომპანიას ჰქონდა დავალიანება ტელეკომპანიის რამდენიმე პარტნიორთან, კ-ი არ აძლევდა მათ ტელეკომპანიაში შესვლის უფლებას და ა.შ. მოსარჩელე კომპანიის მიმართ ცილისმწამებლური (სინამდვილესთან შეუსაბამო) ფაქტების გავრცელება არ დასტურდებოდა, მით უმეტეს, არ დასტურდებოდა მოსარჩელე კომპანიის საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტი, ანუ გარემოება იმის თაობაზე, რომ მითითებული განცხადებების შედეგად მოსარჩელე მხარე იმდენად დისკრედიტირებული იყო, რომ იგი მ-ს მ-ის კუთხით საქმიანობას ვეღარ აგრძელებდა.

5.1.10. საქმიანი რეპუტაცია, შეფასებითი კატეგორიაა, ინდივიდის შეფასების შედეგია, რომლის კრიტერიუმსაც საზოგადოებრივი მოთხოვნილებები წარმოადგენს. შეფასების პროცესში, რომელიც გონებაში ხდება, ადამიანებს საქმე აქვთ, არა საგნებთან და მოვლენებთან, არამედ ინფორმაციასთან მათ შესახებ, ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაცია პირის შესახებ უპირისპირდება ინფორმაციას საზოგადოებრივი მოთხოვნილების, საზოგადოებაში ჩამოყალიბებული აზრის შესახებ. რეპუტაცია, მოპოვებული საზოგადოებრივი შეფასება და შექმნილი საერთო აზრია ვინმეს ან რაიმის თვისებების, ღირსებათა ან ნაკლის შესახებ, რომელიც ყალიბდება ობიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. პირის საქმიანი რეპუტაცია არის საქმიანი ბრუნვის სფეროში კონკრეტული პირის საქმიანი თვისებების, უნარების შესახებ შექმნილი აზრი, ეს აზრიც საზოგადოებაში, სოციუმში ყალიბდება. სამართლისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რას ფიქრობს ადამიანი საკუთარ თავზე, როგორ აფასებს საკუთარ თავს, ვიდრე არ დადგინდება საზოგადოების შეფასებასთან თვითშეფასების შესაბამისობა. სწორედ, თანხვედრის ეს ხარისხი ექვემდებარება დაცვას, მათ შორის, სასამართლო წესით დაცვას.

5.1.11. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა ეს, პირველ ყოვლისა, მათი უფლებების დაცვაა, რათა ცნობები მათი ქცევის, საქმიანობის შესახებ, რაც გავლენას ახდენს გარშემომყოფთა მიერ მათ შეფასებაზე, სინამდვილეს შეესაბამებოდეს.

5.1.12. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით (ცვლილებამდე მოქმედი რედაქციით), პირს უფლება ჰქონდა, სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვა საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, თუ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებდა, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამებოდა. 2004 წლის 24 ივნისს დასახელებულ მუხლში შევიდა ცვლილება, რომლითაც კანონმდებელმა გაითვალისწინა მე-18 მუხლში

მითითებული უფლებების დაცვა „კანონით დადგენილი წესით“. პალატამ მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე, მე-2 მუხლზე, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლზე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლზე და განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლება, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე თავისუფალი და ღია დისკუსიების გამართვის საშუალება, იმავდროულად თავად წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საჯარო ინტერესს. ეს დებულება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, როდესაც საქმე პრესის თავისუფლებას შეეხება და ეს ბუნებრივია, ვინაიდან აზრთა თავისუფალი ურთიერთგაცვლა და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე ღია საჯარო დებატები, სწორედ, პრესისა და მასმედიის სხვა საშუალებებით ხორციელდება. პრესის თავისუფლებას მაღალი ღირებულება გააჩნია და ამიტომაც არის, რომ მისი შეზღუდვა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით „უჩვეულოდ ნონად გამართლებას მოითხოვს“. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის მიმართ მოპასუხის სახელით ცილისმწამებლური ცნობების გავრცელებას ადგილი არ ქონია.

5.1.13. სასამართლოს განმარტებით, ფაქტისა და აზრის გამიჯვნისათვის აუცილებელია გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენა. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი აწესებს მინიმალურ სტანდარტს აზრისა და ფაქტის გამიჯვნისათვის, სასამართლომ მიუთითა ამავე ნორმის მე-5 პუნქტზე, პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკასა და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე, რომელთა ანალიზითაც დაასკვნა, რომ აპელანტის მიმართ მოპასუხეების სახელით გაკეთებული კომენტარები წარმოადგენდა ფაქტების მითითებას და არა მოსაზრებას, შეფასებით მსჯელობას, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩათვალა, რომ მოპასუხე საწარმოს საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის პასუხისმგებლობა არ უნდა დაკისრებოდა, ვინაიდან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა არა ფაქტების მითითება, არამედ მცდარი ფაქტების მითითებაა, რასაც შედეგად საქმიანი რეპუტაციის შელახვა მოყვა.

5.1.14. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლზე მითითებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ცილისწამების შემადგენლობის უმთავრეს

ელემენტს წარმოადგენს სინამდვილესთან შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება. მოსარჩელეს, უპირველესად, სწორედ ის უნდა ემტკიცებინა, რომ მის შესახებ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია (ფაქტები), არსებითად მცდარია და სინამდვილეს არ შეესაბამება.

5.1.15. მიუხედავად გავრცელებული ინფორმაციის ფაქტად მიჩნევისა, პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა, ვინაიდან ამ ფაქტების მცდარობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, რომელმაც მის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების ამსახველი მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი განწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

6.1.1. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ეფუძნება ვარაუდს, მცდარ გარემოებებს, რომლებიც მხარეებს არ მიუთითებიათ. მოპასუხეს არასოდეს განუცხადებია, რომ მოსარჩელეს მოპასუხე საწარმოს აქტივები გაზრდილი აქვს არა ფულადი შენატანის, კრედიტორების გასტუმრებისა და აპარატურის შეძენის, არამედ კ-ის ეფექტური მართვის ხარჯზე. სააპელაციო პალატამ მოპასუხის ნაცვლად იტვირთა ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმის დასასაბუთებლად, რომ ხელშეკრულების შეწყვეტისას რესტიტუცია იყო შეუძლებელი. მოპასუხე საწარმომ ზოგადად დაადასტურა მოსარჩელის მიერ ტელეკომპანიაში თანხისა და ტექნიკის შეტანის ფაქტი, თუმცა იმავდროულად უარყო ვალდებულების სრულად შესრულება. ამ თვალსაზრისით მოპასუხის მტკიცება არათანმიმდევრულია. სასამართლომ მტკიცებულებების შეფასებისას, ერთი მხრივ, დაადგინა, რომ მოსარჩელეს შესრულებული ჰქონდა ვალდებულება, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარ მოსაზრებებზე დაყრდნობით გამოთქვა ვარაუდი, რომ აქტივების გაზრდა შესაძლებელი ყოფილა კომპანიის ეფექტური მართვით. ამ გარემოების მითითება შეეძლო მოპასუხესაც, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა კომპანიის მოგების დამადასტურებელ საბუღალტრო დოკუმენტებზე.

6.1.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა, რომ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას, ვალდებულების ფარგლებში განხორციელებული შესრულების უკან დაბრუნება შეთანხმებული არ ყოფილა, ასეთ შემთხვევაში, გამოდის, რომ თუ

ხელშეკრულების მხარეები ზიანის ანაზღაურებაზე არ შეთანხმდებიან, ამ მოთხოვნას ველარ დააყენებენ.

6.1.3. არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ 2011 წლის 26 ნოემბრის წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულების გაუფორმებლობის გამო, პარტნიორთა წილების 51%-ის გასხვისება არ მომხდარა. სასამართლოს მსჯელობის უსწორობას წარმოადგენს ის, რომ, ყადაღის გამო, ძირითადი ხელშეკრულება ვერ გაფორმდებოდა, ხოლო იმ კითხვას, წინარე ხელშეკრულების ნაცვლად თუ რატომ არ გაფორმდა ძირითადი ხელშეკრულება, ვერც სასამართლომ და ვერც მოპასუხემ ვერ გასცა პასუხი. თავად წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით კი, დასტურდება ის გარემოება, რომ ამით მხარეებმა მოსარჩელის წინაშე არსებული ვალდებულება აირიდეს.

6.1.4. რაც შეეხება მეორე სასარჩელო მოთხოვნას, ამ ნაწილში პალატამ მ. ლ-ის საჯარო განცხადებებით გავრცელებული ფრაზები ამოგლიჯა კონტექსტიდან და ამ გზით შეეცადა მათთვის მხოლოდ შეფასების სახე მიეცა. სადავო საკითხით დაინტერესებული საზოგადოების ნაწილი ადეკვატურად აღიქვამდა მიწოდებულ ინფორმაციას – მოსარჩელე არ ასრულებდა ვალდებულებას (რეალურად ვალდებულების შეუსრულებლობას ადგილი ჰქონდა მოპასუხის მხრიდან), ცდილობდა დაებლოკა მანუწყებლობა, ერეოდა სარედაქციო პოლიტიკაში, ჟურნალისტს არ აძლევდა ტელეკომპანიაში შესვლის უფლებას. მითითებული ფაქტები ლახავს სამენარმეო სუბიექტის საქმიან რეპუტაციას. სასამართლომ არც კი გამოიკვლია გავრცელებული ინფორმაციის რეალობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არსებობის ფაქტი, ისე მიიჩნია სადავო გამონათქვამები აზრად. საკუთარი პოზიციის დადასტურებისათვის სასამართლომ მოიშველია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების მხოლოდ ნაწილი და არა მთლიანად ეს მტკიცებულებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებდა საკუთარ მოთხოვნას.

6.1.5. კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 52-ე, 352-ე მუხლები, ასევე, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრული შეჯიბრებითობის პრინციპი. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 976-ე-993-ე მუხლები, ხოლო არასწორად გამოიყენა ამავე კოდექსის 724-ე მუხლი.

6.1.6. არასწორია ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობა, რომ მოსარჩელემ მოპასუხე საწარმოსა და სხვა კრედიტორე-

ბისათვის 3 841 670 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი ვერ დაადასტურა. ამ თვალსაზრისით სასამართლომ არასწორად შეფასა მოსარჩელის განმარტება, ასევე ის, რომ მოპასუხეები თანხის გადახდის ფაქტს არ უარყოფენ. 2011 წლის 11 ნოემბრის აქტით დასტურდება შპს „ს-ა მ-ოსათვის“ დამატებით შეთანხმებით დადგენილ ვადაში 1 138 360 აშშ დოლარის გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლით დადგენილ ფარგლებში, შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. წინამდებარე დავის საგანს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გამო მოპასუხის მიერ მიღებული შესრულების დაბრუნება, წილის ნასყიდობის შედეგად თანხის დაკისრება და საქმიანი რეპუტაციის შელახვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს. სარჩელის თანახმად, 2009 წლის 30 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს სამართავად გადაეცა შპს „ს-ა მ-ო“, შესაბამისად, მანვე განახორციელა ხელშეკრულებით ნაკისრი ინვესტირების ვალდებულება, თუმცა მოპასუხემ ვადამდე შეწყვიტა ხელშეკრულება, რაც მიღებული შესრულების დაბრუნების წინაპირობას წარმოშობს, გარდა აღნიშნულისა, საზოგადოების პარტნიორის მიერ წილის გასხვისების გამო დადგა ხელშეკრულების 5.3. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც მოსარჩელეს წარმოუშობს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის მიზნით მოპასუხე მხარემ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელა არასწორი ინფორმაცია, რის შედეგადაც შეილახა მოსარჩელე საწარმოს საქმიანი რეპუტაცია, ველარ აგრძელებს საქმიანობას იმ მიმართულებით, რა მიზნითაც შეიქმნა.

1.2. განსახილველი საკასაციო საჩივრით შპს „რ-ის მ-ს მ-ის კ-ა“ არ ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნებს სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე და წარმოადგინა პრეტენზიები გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი უსწორობის კუთხით.

1.3. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, ხოლო ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

1.4. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გამო მიღებული შესრულების დაბრუნების მოთხოვნასთან მიმართებაში სააპელაციო პალატამ დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2009 წლის 30 ნოემბერს შპს „რ-ის მ-ს მ-ის კ-სა“ და შპს „ს-ა მ-ოს“, ასევე მის დამფუძნებელ პარტნიორებს (წარმომადგენელი მ.ღ-ი) შორის გაფორმდა კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, რომლის 1.2. პუნქტის მიხედვით, მართვის უფლებით გადასაცემ კომპანიას წარმოადგენდა შპს „ს-ა მ-ო“ მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებითა და სხვა აქტივებით, მათ შორის, მოთხოვნებითა და ვალდებულებებით მესამე პირების წინაშე. ხელშეკრულების 2.2. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება მოქმედებდა 3 წლის განმავლობაში და სრულდებოდა 2012 წლის 1 დეკემბერს. ხელშეკრულების მე-3 პუნქტით შეთანხმებულია „მმართველის“ უფლება-მოვალეობათა წრე, მათ შორის, მართოს მისთვის გადაცემული კომპანია, როგორც გულისხმიერმა მფლობელმა, კეთილსინდისიერი კომერსანტის ძალისხმევით მოიძიოს ინვესტორები, დონორები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემოსავლის სხვა წყაროები (3.1.1.-3.1.2. პუნქტები); დროულად გადაიხადოს კომუნალური და სხვა გადასახადები (3.1.4 პუნქტი); შეიძინოს და დაამონტაჟოს კომპანიის ხარჯზე ყველა ის მოწყობილობა და დანადგარი, რომელიც აუცილებელია კომპანიის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად (3.1.6 პუნქტი); გაზარდოს კომპანიის აქტივები (შემოსავლები, გრანტები და ა.შ) ხელშეკრულების დადებიდან 3 თვის განმავლობაში 500 000 აშშ დოლარის ღირებულებით, ხოლო 1 წლის განმავლობაში არანაკლებ 2.5 მლნ აშშ დოლარის ღირებულებით (3.2.1. პუნქტი); საკუთა-

რი უფლებამოსილების დასამტკიცებლად წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია პირებს, რომლებთანაც კომპანიის სახელით დებს გარიგებებს (3.5.1. პუნქტი).

1.5. ხელშეკრულების ზემოთ მითითებული დებულებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ შეფასებას იმის შესახებ, რომ კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლით განსაზღვრულ საკუთრების მინდობის გარიგებას, რომლის თანახმადაც, საკუთრების მიმდობი გადასცემს ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმდობის ინტერესების შესაბამისად. საკუთრების მინდობის ხელშეკრულების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება საკუთრების მიმდობს, შესაბამისად, ქონების ნაყოფიც რჩება მას (სკ-ის 726-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები).

1.6. გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, შპს „რ-ის მ-ს მ-ის“ კ-ამ შეასრულა მისი, როგორც „მმართველის“ ვალდებულება, შპს „ს-ა მ-ოს“ აქტივების გაზრდის თაობაზე, კომპანიაში ინვესტირებულ იქნა 3 841 670 აშშ დოლარი და 2011 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულება შეწყდა შპს „ს-ა მ-ოს“ ინიციატივით.

1.7. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გამო ინვესტიციის სახით მიღებული შესრულების (3 841 670 აშშ დოლარი) დაბრუნების მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, მნიშვნელოვანია, პასუხი გაეცეს მთავარ კითხვებს: რა სახის ინვესტიცია განახორციელა მოსარჩელემ? ვის ხარჯზე განხორციელდა ინვესტიციების მოზიდვა? ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში განხორციელებული ინვესტიცია ექვემდებარება რესტიტუციას?

1.8. სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით დაადგინა, რომ აქტივის გაზრდის ვალდებულებაში (ინვესტირებაში) იგულისხმებოდა მმართველი კომპანიის მიერ მესაკუთრის სასარგებლოდ ინვესტიციების მოზიდვა, გრანტების მოძიება, მესამე პირებთან გარიგებების დადების ხელშეწყობა, ფულადი ვალდებულებების გასტუმრება და ა.შ, ანუ მენარმის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერი კომერსანტის ძალისხმევით კომპანიის ჯეროვანი მართვის განხორციელება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შეთანხმების პირობა აქტივების გაზრდაზე წარმოადგენს პროფესიული ვალდებულების ფარგლებში მინდობილი მესაკუთრის მოვალეობას, კომპანიის სწორი მენეჯმენტის განხორციელების გზით ჯეროვნად და კე-

თილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, რომელიც სამართავად გადაცემული კომპანიის სამენარმეო ბუნებიდან გამომდინარე, გარკვეული მოგების – ნაყოფის მომტანია. მინდობილი საკუთრების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაყოფი კი, საკუთრების მიმდობის და არა მინდობილი მესაკუთრის ქონებრივ სფეროს განეკუთვნება, ანუ მიღებული სარგებელი ყოველთვის რეალურ მესაკუთრეს რჩება. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ, მოცემულ შემთხვევაში, აქტივების გაზრდა მხოლოდ ეფექტური მართვის ხარჯზე არ განხორციელებულა, რადგანაც ამ კუთხით კასატორს დასაბუთებული შედეგება არ წარმოუდგენია და არც საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზი იძლევა კასატორის პოზიციის გაზიარების შესაძლებლობას. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც საქმეში წარმოდგენილი 2011 წლის 21 ნოემბრის №06/11 წერილი, სადაც მოსარჩელე მოპასუხეებს აცყობინებს აქტივების გაზრდის შესახებ, კერძოდ, წერილში საუბარია ხელშეკრულების 3.2.4. პუნქტზე და მმართველი კომპანია განმარტავს, რომ თანხის დიდი ნაწილი მოზიდული იქნება სარეკლამო კონტრაქტებით; აქტივების მოზიდვაზე (და არა მმართველის მიერ საკუთარი ფულადი სახსრებით კომპანიის დაფინანსებაზე ან ამ თანხის სესხად მიცემაზე) საუბარი 2011 წლის 18 ივნისის შეტყობინებაში, რომლითაც კასატორმა ითხოვა 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულების შესრულების გრაფიკში ცვლილებების შეტანა; მიღებული ნაყოფი ანალოგიურ კონტექსტშია მოხსენიებული საქმეში წარმოდგენილ ვალდებულების შესრულების ყველა აქტში; უდავოდ გასათვალისწინებელია კასატორის 2011 წლის 24 ნოემბრის წერილი მოპასუხის მიმართ, სადაც საუბარია „მ-ოს“ სახელით 2011 წლის 10 და 12 ნოემბერს შპს „გ. მ-სთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაზე სრული სარეკლამო დროის მიყიდვის შესახებ, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ აქტივების გაზრდა სწორი მენეჯმენტის შედეგს წარმოადგენდა, დასაბუთებულია და ემყარება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად შეფასებას. ამ დასკვნის გამაბათილებელი დამაჯერებელი მტკიცება კასატორს სასამართლოსათვის არ შემოუთავაზებია.

1.9. სამოქალაქო კოდექსის 729-ე მუხლის თანახმად, საკუთრების მინდობის მიმართ გამოიყენება დავალების ხელშეკრულების შესაბამისი წესები. ამავე კოდექსის 720-ე მუხლით რეგულირებულია დავალების/საკუთრების მინდობის ხელშეკრუ-

ლების შეწყვეტის წესი და ნორმის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის (გასვლის) თაობაზე ცალმხრივი ნების გამოვლენით მხარეებს შეუძლიათ შეუზღუდავად ისარგებლონ, რამდენადაც შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. ნორმის მომდევნო ნაწილებით კი, განსაზღვრულია შეწყვეტის უფლებით სარგებლობისას თითოეული მხარის მოვალეობები და ის, თუ რა სამართლებრივი შედეგი დგება ხელშეკრულებიდან გასვლისას. თუ ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის მიერ, მაშინ ის მოვალეა აუნაზღაუროს რწმუნებულს მინდობილი მოქმედების შესრულებისას გაწეული ყველა აუცილებელი ხარჯი, ხოლო, თუ ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო, – გადაუხადოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს კვალობაზე (სკ-ის 720.3 მუხლი). შეიძლება ითქვას, რომ კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს და ამ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის მარეგულირებელი ზოგადი მონესრიგების (352-ე მუხლი) გამოყენება, ნორმათა კონკურენციის პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელია. სასამართლოს აღნიშნული განმარტება, ბუნებრივია, არ შეიძლება გაგებულ იქნას იმგვარად, რომ საკუთრების მიმდობი, მიღებული შესრულების გათვალისწინებით, ყოველთვის უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგანაც მინდობილი მესაკუთრის მიერ გადაცემული სიკეთის დაბრუნების მიზნით, გარიგების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, უფლებადამცავ დანაწესებად უსაფუძვლო გამდიდრების, კერძოდ, შესრულების კონდიქციის მარეგულირებელი წესები გვევლინება. კანონისმიერი ვალდებულების ფარგლებში სარჩელის დაკმაყოფილებისათვის კი, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებების არსებობა: მოთხოვნის უფლების მქონე პირის მიერ სხვა პირის ქონების შეგნებულად და მიზანმიმართულად გაზრდა; ამ შესრულების განხორციელების ფაქტობრივი საფუძველი, ანუ რა ვალდებულებას მოიპოვებდა მოსარჩელე, როდესაც მიმღებს გადასცემდა ქონებას; განხორციელებული გადაცემის ფაქტობრივი საფუძვლის არარსებობა/შეწყვეტა (სკ-ის 976-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ განიმარტა, მინდობილი მართვის გზით მიღებული ნაყოფი არ წარმოადგენდა კრედიტორისათვის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემულ სიკეთეს, აქტივების მოსარჩელის კუთვნილი ფინანსებით გაზრდის ფაქტი კი, შპს „რის მ-ს მ-ის კ-ამ“ ვერ დაამტკიცა, საკასაციო საჩივარი ამ თვალ-

საზრისით შეიცავს მხოლოდ გასაჩივრებული განჩინების კრიტიკას, ხოლო ის, თუ რა მტკიცებულება არ გამოიკვლია/არასწორად შეაფასა სააპელაციო პალატამ, კასატორს არ მიუთითებია. რაც შეეხება შპს „რ-ის მ-ს მ-ის კ-ის“ პოზიციას, რომ დეტალური ანგარიშის წარდგენის შეუძლებლობა განაპირობა დოკუმენტების მოპასუხესთან ყოფნის ფაქტმა, იგი ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო სასამართლოს მხრიდან. ასეთ შემთხვევებში, საპროცესო კანონმდებლობა ადგენს მტკიცებულებათა გამოთხოვის ინსტიტუტს და 136-ე მუხლის მე-5 ნაწილი განმარტავს, რომ თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა, და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე. გარდა აღნიშნულისა, გათვალისწინებულია ასევე ამ ტიპის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებების გასაჩივრების საპროცესო შესაძლებლობაც (სსსკ-ის 377.3 და 404.2 მუხლები). ამდენად, კასატორის პრეტენზიები, თავისთავად, მოპასუხეებისათვის 3 841 670 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრებაზე უსაფუძვლოა და გაზიარებული ვერ იქნება.

1.10. საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მოთხოვნას წილის ნასყიდობიდან გამომდინარე 2 500 000 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ. როგორც აღინიშნა, მხარე ამ მოთხოვნას 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულებასა და მოპასუხე საზოგადოებაში გ.გ-ის მიერ წილის გასხვისების ფაქტზე ამყარებდა. კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების 5.3. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე: თუ მესაკუთრე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გადაწყვეტს კომპანიის გასხვისებას, მმართველს გადაეცემა კომპანიის გასხვისების შედეგად მიღებული თანხის 25%. ამასთან, გასხვისებად ითვლება საზოგადოების სადამფუძნებლო წილის 51%-ის და მეტის გასხვისება. ამავე ხელშეკრულების 5.4 პუნქტის თანახმად, მესაკუთრეს არა აქვს უფლება, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მმართველის თანხმობის გარეშე გაყიდოს კომპანია 10 000 000 დოლარზე ნაკლებ თანხად. ამ კუთხით სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ:

1.10.1. 2009 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულების მოქმედე-

ბის განმავლობაში განხორციელდა შპს „ს-ა მ-ოს“ 50%-იანი წილის გასხვისება. კერძოდ, განხორციელებული ტრანზაქციების შედეგად 25%-იანი წილის მფლობელი გახდა გ. გ-ე, ხოლო 25%-იანი წილის მფლობელი – მ. ა-ი. 2011 წლის 26 აპრილს, შპს „რ-ის მ-ს მ-ის კ-ის“ დირექტორმა გამოთქვა თანხმობა, გ. გ-ის მიერ, მის საკუთრებაში არსებული, შპს „ს-ა მ-ოს“ 50%-იანი წილის ნაწილის – 25%-ის გასხვისებაზე. 2011 წლის 28 აპრილს, გ. გ-ესა და მ. ა-ს შორის გაფორმდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე გ. გ-ემ მის საკუთრებაში არსებული 50%-იანი წილის ნაწილი – 25% მიყიდა მ. ა-ს. 2011 წლის 26 ნოემბერს, შპს „ს-ა მ-ოს“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, თანხმობა მიეცა საზოგადოების პარტნიორ გ. გ-ეს შპს „ს-ა მ-ოში“ მისი კუთვნილი 25%-იანი წილის შემდეგ პარტნიორებზე: მ. ლ-ზე, ლ. ჩ-ეზე, ე. ა-აზე და გ. ე-ეზე – გასხვისების თაობაზე. ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო არა უგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა ან შპს „რ-ის მ-ს მ-ის კ-ას“ და შპს „ს-ა მ-ოს“ შორის 2009 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით ვადაზე ადრე შეწყვეტიდან ერთი კვირის ვადაში. 2011 წლის 26 ნოემბერს, გ. გ-ეს, მ. ლ-ს, ე. ა-ას, ლ. ჩ-ესა, გ. ე-ესა და ი. კ-ეს შორის გაფორმდა საკუთრების მინდობისა (წილის მართვისა) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლის 1.1 პუნქტის მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ არა უგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა, გ. გ-ე შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, საკუთრებაში გადასცემდა მყიდველებს მის კუთვნილ შპს „ს-ა მ-ოს“ 25%-იან წილს, წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. 2.1 პუნქტის თანახმად, გ. გ-ემ ი. კ-ეს მართვის უფლებით გადასცა მისი კუთვნილი 25%-იანი წილი და ამავე ხელშეკრულების 2.7 პუნქტით საკუთრების მინდობის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადებამდე.

1.10.2. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომლის თანახმადაც, წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება არ წარმოადგენდა წილის განკარგვის თაობაზე დადებულ ნასყიდობას, არამედ წარმოშობდა ძირითადი ხელშეკრულების მომავალში დადების ვალდებულებას, შესაბამისად, 2 500 000 აშშ დოლარის ანაზღაურების პირობა არ დამდგარა.

1.10.3. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არ-

გუმენტს სასამართლოს მხრიდან მატერიალური სამართლის ნორმის – 52-ე მუხლის დარღვევის თაობაზე და განუმარტავს მხარეს, რომ ნების გამოვლენის განმარტების საჭიროება დგება მაშინ, როდესაც ხელშეკრულება შეიცავს ბუნდოვან დებულებებს და საჭიროა მოდავე მხარეთა ნამდვილი ნების დადგენა, ასეთი შემთხვევა სახეზე არ გვაქვს, რადგანაც წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით მხარეებმა სრულიად არაორაზროვნად გამოავლინეს გარიგების მიზანი და ძირითადი ხელშეკრულების დადების დროც, იგი მოსარჩელესთან უკვე გაფორმებული ხელშეკრულების ფაქტობრივ მოქმედებას (ვადის გასვლას ან ვადამდე შეწყვეტას) დაუკავშირეს, რაც თავის მხრივ არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებულ ბათილ ნებას. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების შეფასებას წინარე ხელშეკრულების თაობაზე და დამატებით განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგულირებული წინარე ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით განსხვავდება ძირითადი გარიგებისაგან. წინარე ხელშეკრულების შინაარსი, როგორც წესი, გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულების საგნიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს ძირითადი ხელშეკრულების დადების დავალდებულებას, ამასთანავე, წინარე ხელშეკრულება უნდა განსაზღვრავდეს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ბათილად ჩაითვლება. წინარე ხელშეკრულება კონტრაქტების იძულების სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს და მხარეებს წარმოუშობს მოთხოვნის უფლებას მომავალში, შეთანხმებული პირობის დადგომის შემთხვევაში, ძირითადი ხელშეკრულების დადების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადება მხარეებმა დაუკავშირეს პოზიტიური პირობის დადგომას, რაც არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნებს.

1.10.4. ამდენად, ვინაიდან კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში არ განხორციელებულა წილის ნასყიდობის უფლება, არც 2 500 000 აშშ დოლარის მოპასუხეებისათვის დაკისრების წინაპირობა დამდგარა, რაც ამ ნაწილში სარჩელის უსაფუძვლობაზე მიუთითებს.

1.11. საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორის მოთხოვნას მოპასუხის მიერ არასწორი ფაქტების შემცველი ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით გავრცელების გამო საქმიანი რეპუტაციის შელახვისა და მიყენებული ზიანის

ანაზღაურების თაობაზე. საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტის დასამტკიცებლად მოსარჩელემ მიუთითა, რომ შპს „ს-ა მოს“ ერთ-ერთი დამფუძნებლის მ. ლ-ის მიერ სხვა დამფუძნებლების სახელით კეთდებოდა მცდარი საჯარო განცხადებები: თითქოს მოსარჩელე ცდილობდა, ჩარეულიყო „მოს“ სარედაქციო პოლიტიკაში (კონტექსტი – ზენოლა ჟურნალისტებზე), დირექციასთან შეუთანხმებლად სურდა თათბირი ჩატარებინა ჟურნალისტებთან და პროდიუსერებთან, მმართველ კომპანიას ჰქონდა დავალიანება ტელეკომპანიის რამდენიმე პარტნიორთან, მოსარჩელე კომპანიის დამფუძნებელი ე. კ-ი არ აძლევდა მათ ტელეკომპანიაში შესვლის უფლებას და ა.შ. შედეგად, მოსარჩელის საქმიანი რეპუტაცია შეილახა, იგი იმდენად დისკრედიტირებულია, რომ საქმიანობას ვერ აგრძელებს მედიის მართვის კუთხით.

1.11.1. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელე, გავრცელებული განცხადებების ფარგლებში მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტს არ წარმოადგენდა, რადგანაც ყველა გამონათქვამი მიმართული იყო ფიზიკური პირის, ე. კ-ისა და არა მოსარჩელე იურიდიული პირის მიმართ, ამასთანავე, პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელე კომპანიის მიმართ ცილისმწამებლური (სინამდვილესთან შეუსაბამო) ფაქტების გავრცელება არ დასტურდებოდა, მით უმეტეს, არ დასტურდებოდა კომპანიის საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტი, ანუ გარემოება იმის თაობაზე, რომ მითითებული განცხადებების შედეგად მხარე იმდენად დისკრედიტირებული იყო, რომ იგი მედიის მართვის კუთხით საქმიანობას ვეღარ აგრძელებდა. სააპელაციო სასამართლოს ამ შეფასებებისა და დასკვნების წინააღმდეგ კასატორმა მხოლოდ ზოგადი პრეტენზია წარმოადგინა, კერძოდ, განმარტა ის, რომ პალატამ არ შეაფასა მოსარჩელის მიერ მოხმობილი გამონათქვამები და გადაწყვეტილება მხოლოდ მისთვის მისაღებ განცხადებებზე დაამყარა, გარდა აღნიშნულისა, კასატორს არ მიუთითებია კონკრეტულ მტკიცებულებაზე, რომელიც მედიასაქმიანობის განხორციელების შეუძლებლობაზე მეტყველებს, არამედ მხოლოდ სუბიექტურ მტკიცებაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ გავრცელებული განცხადებები გამოიწვევს ნებისმიერი პირის დისკრედიტაციას საზოგადოების თვალში.

1.11.2. საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას და თვლის, რომ პალატამ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილითა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფ-

ლების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებებით. გასაჩივრებული განჩინებით მოპასუხეების მიერ გავრცელებული განცხადებები პალატამ სწორად შეაფასა ფაქტის შემცველ განცხადებებად, თუმცა, ვიდრე მათი სისწორე/ნამდვილობა შემომდება, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობის ხასიათი განისაზღვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტით. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას. გამოხატვის შეზღუდვის საკითხის გადანყვეტისას წარმოიშობა კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების პრობლემა. გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა პირთა უფლებებსა და რეპუტაციას შორის ბალანსი უნდა გადაწყდეს კონკრეტული დავის თავისებურებების გათვალისწინებით, თუმცა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დასაშვები კრიტიკის ფარგლები; პრესის თავისუფლების ინსტიტუტი; საზოგადოებრივი ინტერესი და სხვა. მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელე მხარეს იურიდიული პირი წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით აღიარებულია გამოხატვის თავისუფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით დასტურდება, რომ ამ ნორმის სუბიექტად აღიარებულია არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ იურიდიული პირებიც. ევროპული სასამართლოს განმარტებით, მე-10 მუხლი ვრცელდება „ყველაზე“, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე (იხ. *Autronic AG v Switzerland*, 1990, §47). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე დავას ფიზიკურ პირებსა და იურიდიულ პირს შორის (იხ. *Steel and Morris v. the United Kingdom*) არ გაიზიარა მოდავე მხარის მტკიცება, რომ ისეთ ძლიერ მრავალეროვნულ კომპანიას, როგორიც „მა-ია“, პრინციპულად უნდა ჩამორთმეოდა დიფამაციური ბრალდებებისაგან თავდაცვის საშუალება, ანდა მოპასუხეებს არ უნდა დაკისრებოდათ გაკეთებული განცხადებების სიმართლის დამტკიცების ვალდებულება. სიმართლეა ის, რომ ძლიერი კ-ები შეგნებულად და აუცდენლად იყენებენ თავს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მათი ქმედებები ღია ყოველმხრივი კრიტიკული განხილვისათვის... დასაშვები კრიტიკის ფარგლები ასეთ კომპანიებთან მიმართებაში გაცილებით უფრო ფართოა (იხ. ჭაყედ ვ. ტჰე უნიტედ ჯინგდომ, 1994 წ.). თუმცა, ბიზნესის პრაქტიკის თაობაზე ღია დებატების საზოგადოებრივ ინტერესთან ერთად, არსებობს კომპანიების კომერცი-

ული წარმატებისა და სიცოცხლისუნარიანობის დაცვის კონკურენტული ინტერესიც, ამასთან, არა მარტო ამ კომპანიების აქციონერებისა და თანამშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ფართო ეკონომიკური სიკეთის თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სახელმწიფო სარგებლობს შეფასების თავისუფლებით შიდა კანონმდებლობის საფუძველზე საშუალებების უზრუნველყოფისას, რომელიც კომპანიას შესაძლებლობას აძლევს საკამათოდ გახადოს იმ განცხადებების სიმართლე, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს მის რეპუტაციას და შეამციროს ზიანი (იხ. markt intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany, 1989 წელი). ამდენად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია, რომ ცილისწამებასთან დაკავშირებით რეპუტაციის დაცვაზე სათანადო მხარედ შეიძლება მოგვევლინონ იურიდიული პირებიც, თუმცა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ თავისუფლება, შიდა კანონმდებლობით დაარეგულირონ სამართლის სუბიექტის რეპუტაციის დაცვის საკითხი, როდესაც სადავო ხდება ცილისწამებიდან გამომდინარე ზიანი.

1.11.3. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილიდან, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას (პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ბრალეული შელახვა), მართალია, გამომდინარეობს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა იურიდიული პირის სარჩელთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკით დადგენილია დამატებითი შეზღუდვები: იურიდიული პირის მიმართ დიფამაციური განცხადების გავრცელების საკითხის შეფასებისას უნდა გაიმიჯნოს მოდავე სუბიექტის კანონით დაცული ის არაქონებრივი უფლებები, რომელთა ხელყოფამაც შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც თვისობრივად არ უკავშირდება ადამიანს. პიროვნულ უფლებათაგან ნაწილი იურიდიულ პირს შეიძლება მხოლოდ მოდიფიცირებული ფორმით გააჩნდეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2001 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით (იხ. სუსგ №3კ/924-01) განმარტა შემდეგი: „იურიდიულ პირს არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორცაა პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი არ შეიძლება მიადგეს იუ-

რიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა, და სხვა). ამდენად, იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიულად უსაფუძვლოა“. ამდენად, უდავოა, რომ იურიდიული პირის დაცულ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს საქმიანი რეპუტაცია, რომლის შელახვის გამო, შესაძლოა, განხილულ იქნას მოპასუხის პასუხისმგებლობის საკითხი. იმისათვის, რათა გადაწყდეს საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ სარჩელის საფუძვლიანობა, პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვას: რა არის საქმიანი რეპუტაცია?

1.11.4. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ „საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელთაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაციის შელახვა, რასაც სსკ-ის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, მიმართული უნდა იყოს პირის მიერ განხორციელებული (ან განსახორციელებელი) საქმიანი ოპერაციებისათვის. ასეთი ხელყოფით პირს შეიძლება მიადგეს მატერიალური ზიანიც, ე.ი ხელიდან გაუშვას მოგება, დაეკარგოს კლიენტი და სხვა“ (იხ. სუსგ №3/კ376-01, 18 ივლისი, 2001 წელი). მითითებული განმარტების იურიდიული პირის მიმართ მოდიფიცირებისას შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვა სახეზეა მაშინ, თუ გავრცელებული ცნობები ზეგავლენას ახდენს და ეწინააღმდეგება პირის მიერ შერჩეულ საკუთარ „საბაზრო სახეს“, ანუ კომერციულ შეხედულებას, რომლის დამკვიდრებაც იურიდიულ პირს სურს საზოგადოებაში და გავრცელებული ინფორმაცია მას მესამე პირებთან საქმიან ურთიერთობებში განაცდევინებს მარცხს.

1.11.5. მოცემულ შემთხვევაში, თუკი გავიზიარებთ კასატორის მტკიცებას, მის მიმართ განზრახ არასწორი ფაქტების გავრცელების თაობაზე, მაინც არ იარსებებდა დიფამაციიდან წინარმოები სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა, რადგანაც, როგორც აღინიშნა, კასატორს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც უფლების რეალურ ხელყოფას დაადასტურებდა, ანუ დაამტკიცებდა ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ

მოსარჩელე მ-საქმიანობას ველარ ახორციელებს, რაც სწორედ გავრცელებული განცხადებების შედეგია. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კი, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. (მსგავს საკითხთან დაკავშირებით ასევე იხ: სუსგ-ებები: №ას-1052-1007-2014, 30 სექტემბერი, 2015 წელი; №ას-1084-1034-2014, 11 მაისი, 2015 წელი).

1.12. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

2. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მხარეთა შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯების განაწილების წინაპირობები, ამასთანავე, კასატორის მიერ გადახდილი ბაჟი, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „რ-ის მ-ს მ-ის კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საზიარო უფლებების გაუქმება ნატურით გაყოფისას

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-470-444-2014

26 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფით

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ს-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ლ-ას წინააღმდეგ და მოითხოვა საზიარო უფლების გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

მოსარჩელის განმარტებით, გ. ს-ისა და ი. ლ-ას საკუთრებას წარმოადგენს საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქ. ქუთაისში, ბ. კ-ის ქუჩის №...-ში. თანასაკუთრებაში მოსარჩელის წილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, განისაზღვრება შემდეგი მონაცემებით: №1 სახლის გამოყოფილი ნაწილი, საერთო ფართობი 302.60 კვ.მ, №2 შენობა – დამხმარე ნაგებობა: 24.96 კვ.მ, №3 შენობა – დამხმარე ნაგებობა: 7.40 კვ.მ. მთლიანად გ. ს-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართი განისაზღვრება 335 კვ.მ. ფართობით. მოპასუხე ი. ლ-ას ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართია 51 კვ.მ, რომელიც მოპასუხეს არ აქვს რეგისტრირებული. თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობია 563 კვ.მ და მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით მისი გაყოფა ვერ განხორციელდა, ამიტომ მოსარჩელემ მოითხოვა ი. ლ-ასთან საზიარო უფლების გაუქმება და რეალური წილის გამოყოფა, რადგან სურს ინდივიდუალურ მესაკუთრედ დარეგისტრირება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს №2/234 30.06.1993 გადაწყვეტილებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს №3/2 13.05.1993 გადაწყვეტილების საფუძველზე, გაიყო ქონება და თითოეულს შეხვდა კუთვნილი წილი. ასევე მას და მოსარჩელეს შორის არსებობს სასაზღვრო მიჯნა და მათი კუთვნილი ქონება გაყოფი-

ლია, რასაც ადასტურებს საჯარო რეესტრის ამონაწერი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ს-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით გ. ს-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ი. ლ-ასა და გ. ს-ის საკუთრებაში არსებული, ქ. ქუთაისში, კ-ის ქ. №...-ში მდებარე მიწის ნაკვეთი რეალურად გაიყო ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1993 წლის 30 ივნისის კანონიერ ძალაში შესული და აღსრულებული გადაწყვეტილებით დადგენილი სარგებლობის წესის შესაბამისად და შესაბამისი ცვლილება შევიდა საჯარო რეესტრის მონაცემებში.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. ს-ე და ი. ლ-ა ცხოვრობენ ქ. ქუთაისში, ბ. კ-ის ქუჩა №... – ში. ორივე მხარის საცხოვრებელი სახლი მდებარეობს საერთო საკუთრებაში არსებულ 563 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. ნაკვეთი ირიცხება როგორც გ. ს-ის, ისე ი. ლ-ას თანასაკუთრებად. მათ შორის მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრის მონაცემებით გაყოფილი არაა.

1993 წლიდან 2013 წლის 7 მაისამდე სახლს ჰყავდა სამი მესაკუთრე: ი. ლ-ა, ნ. ს-ე და გ. ს-ე. 2013 წლის 7 მაისს, ნ. ს-ემ გ. ს-ეს საკუთრებაში გადასცა მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი.

2013 წლის 7 მაისიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ნ. ს-ემ ჩუქების ხელშეკრულების გზით, მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი გადასცა გ. ს-ეს, საცხოვრებელ სახლს ჰყავს ორი მესაკუთრე, ხოლო 563 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ირიცხება გ. ს-ესა და ი. ლ-ას თანასაკუთრებად.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთიდან გ. ს-ის ფაქტობრივ მფლობელობაშია 358,4 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ დაუდასტურებლად მიიჩნია გ. ს-ის განმარტება იმის შესახებ,

რომ ის ფაქტობრივად ფლობს სადავო მიწის ნაკვეთის 334,96 კვ.მ. და არა 358,4 კვ.მ-ს, რადგან ექსპერტიზის დასკვნის საწინააღმდეგო მტკიცებულება, აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ს-ეს ნ. ს-ისგან ჩუქების გზით გადაეცა ამ უკანასკნელის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 258,41 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

1993 წლის 30 ივნისის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და დადგინდა საერთო ეზოს სარგებლობის წესი: ქ.ქუთაისში, კ-ის ქუჩის პირველ შესახვევის №7-ში მდებარე სახლის თანამესაკუთრეებს შორის შემდეგნაირად: სახლის 12.24 კვ.მ. ფართის მქონე ოთახის ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ გაივლის მართებული ხაზი №13 ნაკვეთის სამეზობლო ლობემდე. №23 ნაკვეთის სამეზობლო ლობიდან გადაიზომა 9.30 მ. და ამ წერტილიდან გაივლო ხაზი და გაივლო ლობე მხარეთა კუთვნილი ნაწილების დაკანონებულ და დაუკანონებელ ნაწილებს შორის.

დადგენილია, რომ 1994 წელს ქ. ქუთაისის სასამართლოს აღმასრულებელმა შეადგინა აქტი და გაყო სადავო მიწის ნაკვეთი გ. ს-ეს, ნ. ს-ესა და ი. ლ-ას შორის.

უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ 1993 წლის 30 ივნისის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც 1994 წლიდან აღსრულებულია, მხარეთა შორის დადგენილ იქნა ეზოთი სარგებლობის წესი და 1994 წლიდან მოყოლებული მხარეები ერთმანეთისაგან დაკმოუკიდებლად სარგებლობენ სადავო მიწის ნაკვეთით;

უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ 1997 წლის 25 ნოემბრისათვის, სადავო მიწის ნაკვეთი ფაქტობრივად გაყოფილი იყო 3 ნაწილად, ამათგან ერთ ნაწილს ფლობდა აპელანტი, მეორე ნაწილს აპელანტის და ნ. ს-ე, რომელმაც მისთვის გამოყოფილი ნაწილი საკუთრებაში გადასცა ჩუქების გზით აპელანტ გ. ს-ეს და მესამე ნაწილს კი, მოწინააღმდეგე მხარე ი. ლ-ა. ამასთან, ფაქტობრივად გამოყოფილ და დამოუკიდებელ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებს ჰქონდათ დამოუკიდებელი შესასვლელები, რომლითაც მხარეები დამოუკიდებლად სარგებლობდნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის უძრავი ქონებით სარგებლობის წესი 20 წლის წინ დადგინდა.

საქმეში არსებული მტკიცებულებების, უპირველესად კი, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1993 წლის 30 ივნისის გა-

დანყვეტილებით, ასევე თავად მხარეთა ახსნა-განმარტებით, პალატამ დაადგინა, რომ მხარეთა შორის 1997 წლის 25 ნოემბრამდე იყო დადგენილი მინით სარგებლობის წესი და თითოეული მხარე სრულიად დამოუკიდებლად სარგებლობდა გამოყოფილი მინის ნაკვეთით, შესაბამისად, 1513-ე მუხლის თანახმად, 1997 წლის 25 ნოემბრისათვის თითოეული მხარე ჩაითვალა იმ მინის ნაკვეთის მესაკუთრედ, რომელსაც იგი ამ დროისათვის ინდივიუალურად ფლობდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა საერთო საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის რეალურ გაყოფას უნდა დაკმაყოფილებულიყო იმგვარად, როგორც ეს დადგენილი იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1993 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით, ნ. ს-ის წილი ქონების გ. ს-ისათვის გადაცემის გათვალისწინებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ს-ემ. მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კასატორის მითითებით, სასამართლომ არასრულად გამოიკვლია და სამართლებრივად არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. არცერთმა სასამართლომ არ იმსჯელა თანასაკუთრების გაუქმებაზე სამკვიდრო მასიდან $3/6 - 3/6$ ნაწილიდან ეზოს სარგებლობის გამიჯვნაზე ცალკე შესასვლელი ჭიშკრით. არცერთმა სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება მის შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ ი. ლ-ამ წამოადგინა ყალბი დოკუმენტი – საჯარო რეესტრის ამონაწერი. კასატორის მოთხოვნას წარმოადგენს სამკვიდრო მასიდან საზიარო უფლების გაუქმება და ეზოს იდეალური წილიდან რეალურად გამოყოფა, რადგანაც ჩუქებამდე მისი გაყოფა ცალ-ცალკე შესასვლელით არ ხერხდებოდა. ასევე კასატორის მითითებით, მან შუამდგომლობა დააყენა სასამართლოში საზაფხულო ფართების დაკანონების შესახებ, რადგან უზენაესი სასამართლოს 1993 წლის 13 მაისის №3/2 გადაწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი, ხოლო ი.ლ-ას საზაფხულო ფართები ზევით მთლიანად და ქვევით ნაწილობრივ აქვს და ამით ლახავს მის უფლებებს.

კასატორის აზრით, ბაბუამისის დანაშთ ქონებას ორი მემ-

კვიდრე ჰყავდა, რაც მიიღეს კიდეც და მისი სარჩელიც სწორედ ბაბუამისის დანაშთი ქონებიდან მიღებულ სამკვიდრო მასაზე და მასზე არსებული საზიარო უფლების გაუქმებას ეხებოდა. არცერთმა სასამართლომ არ გამოიკვლია საფუძვლიანად საქმისათვის არსებითად მნიშვნელოვანი გარემოებები, მათ არ გაუმახვილებიათ ყურადღება მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე, რაზეც ამყარებდა მოთხოვნებს და გაიზიარეს ექსპერტის ურთიერთგამომრიცხავი და დაუსაბუთებელი პასუხები, რომელიც ჩატარებულია არასრულფასოვნად, რამაც არასწორი შედეგი გამოიღო. სასამართლომ მისი მოთხოვნის ინტერპრეტირებით მოთხოვნა თითქოსდა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, თუმცა ფაქტობრივად გაიმეორა 1993 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და გაყო ისე, რაც რეალურად აღსრულებულია 1994 წლიდან.

კასატორის მითითებით, მისმა დამ – ნ. ს-ემ აჩუქა ქონება, რომლიც არანაირად არ უკავშირდება ბაბუამისის დანაშთი ქონების სამკვიდრო მასას. სააპელაციო სასამართლომ კი, მისი დისგან ჩუქებით მიღებული ქონება ჩაუთვალა ბაბუამისის მხრიდან მიღებულ სამკვიდრო მასაში და ამ კუთხით გამიჯნა, თანა-საკუთრებაზე კი, არცერთს არ უმსჯელია.

გ. ს-ის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით დაუკარგა წილი სამკვიდრო მასაში და ფაქტობრივად ი. ლ-ას აჩუქა აღნიშნული წილი მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. ასევე სასამართლოს არ განუმარტავს, რა წილი ერგება მას სამკვიდრო მასიდან, როგორ ისარგებლოს მისი კუთვნილი ფართით და ასევე არ განუმარტავს, შენობის წინა მხრიდან რა მანძილზეა დაშორებული საზიარო კედლის გამყოფი წერტილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 20 თებერვლის განჩინებით გ. ს-ის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ გ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით არ დაკმაყოფილდეს სარჩელი შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად არის ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით 563 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ირიცხება გ. ს-ისა და ი. ლ-ას თანასაკუთრებად.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, გ. ს-ის საკუთრებას წარმოადგენს №1 სახლის გამოყოფილი ნაწილი, საერთო ფართობით 302.60 კვ.მ., №2 შენობა-დამხმარე ნაგებობა: 24,96 კვ.მ; №3 შენობა-დამხმარე ნაგებობა: 7,40 კვ.მ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მითითებული ფაქტები სავალდებულოა საკაცო სასამართლოსთვის.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს მოსარჩელე გ. ს-ის სასარჩელო მოთხოვნაზე, რომლის თანახმად იგი ითხოვს მოპასუხესთან თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (563 კვ.მ. მიწის ნაკვეთის) ნატურით გაყოფას მათ მფლობელობაში არსებული ფართების პროპორციულად.

სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო 1993 წლის 30 ივნისის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და საბოლოოდ, მხარეთა შორის თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გამიჯნა ზემოაღნიშნული 1993 წლის გადაწყვეტილებით დადგენილი სარგებლობის წესის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული გადაწყვეტილებით (სააპელაციო სასამართლოს დადგენილი გარემოებათა მიხედვით) განისაზღვრა მოდავე მხარეთა შორის სახლიდან (და არა მიწის ნაკვეთიდან) კუთვნილი წილის რეალურად გამოყოფა. საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, 1993 წლის 30 ივნისის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება წარმოადგენს ერთ-ერთ საფუძველს მითითებული ნაგებობების საკუთრების უფლებით რეგისტრაციისათვის, ხოლო ამავე ამონაწერის თანახმად 563 კვ.მ. მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მათ თანასაკუთრებას.

კონკრეტულ შემთხვევაში დავას იწვევს მიწის (563 კვ.მ. მიწის) ნაკვეთზე თანასაკუთრების გაუქმების საკითხი მისი ნატურით გაყოფით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის შემდეგი კითხვები:

(ა) შეიძლება თუ არა უძრავი ნივთის თანასაკუთრებით სარგებლობის ფაქტს შედეგად მოჰყვეს ამ ნივთებზე თანასაკუთრების რეჟიმის (ან მისი წილების) შეცვლა;

(ბ) შესაძლებელია თუ არა საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული 563 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნატურით გაყოფა მისი ღირებულების შემცირების გარეშე მათ მფლობელობაში არსებული ფართების პროპორციულად (სარჩელის მიხედვით).

პირველ კითხვას უნდა გაეცეს უარყოფითი პასუხი.

უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მტკიცების საგანი, ხოლო მტკიცების საგანში შეიყვანა ის ფაქტები, რომლებსაც მნიშვნელობა არა აქვთ სწორი სამართლებრივი დასკვნებისათვის. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი უნდა გაიყოს 1993 წლის 30 ივნისის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი მხარეთა შორის მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შორის თანასაკუთრებაში არსებული ქონების სამართლებრივ რეჟიმზე არ შეიძლება გავლენა მოახდინოს სარგებლობის წესმა.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ამ ურთიერთობაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი. დაუშვებელია ამ მუხლის გავრცელება ზოგადად ყველა იმ ურთიერთობაზე, რომლითაც განსაზღვრული იყო ნივთზე სარგებლობის უფლება. ამ ნორმას გააჩნია კონკრეტული მიზანი, კერძოდ „გამოასწოროს“ ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე არსებული ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებული იყო მიწის ნაკვეთებთან. უფრო ზუსტად, როდესაც საკუთრების უფლება „გახლეჩილი“ იყო ორ ნაწილად და მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ რჩებოდა სახელმწიფო, ხოლო მასზე აღმართული ნაგებობის მესაკუთრედ – კერძო პირი. ამრიგად, ამ ნორმის მიზანია, აღადგინოს სამართლებრივი წესრიგი იმ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშვნენ მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გაუქმებული ნორმატიული აქტების საფუძველზე. ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძველების შესაბამისად, სახელმწიფოსაგან მფლობელობაში მიღებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ რჩებოდა სახელმწიფო, ხოლო ამ მიწის ნაკვეთზე აღმართული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოქალაქე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში

არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლები მდებარეობს, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ამ პირთა საკუთრებად მიიჩნევა და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმის მიზანია, აღადგინოს სამართლებრივი წესრიგი იმ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშვნენ მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გაუქმებული ნორმატიული აქტების საფუძველზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძველების შესაბამისად, სახელმწიფოსაგან მფლობელობაში მიღებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე რჩებოდა სახელმწიფო, ხოლო ამ მიწის ნაკვეთზე აღმართული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოქალაქე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. შესაბამისად, ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართულია შენობა-ნაგებობა, არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამიტომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი უთითებს ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. „კანონიერ სარგებლობაში“, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის კანონით დადგენილი წესით გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, შესაბამისად, კანონის სანაალმდეგოდ ... მოპოვებული სარგებლობა არ წარმოადგენს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის წინაპირობას. ამდენად, როგორც უკვე აღინიშნა, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება, რომლითაც ხდებოდა ამ მიწის ნაკვეთებზე ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, გირავნობის ხელშეკრულებების დადება, ბათილი იყო“ (იხ. სუს გადაწყვეტილება №ას-439-415-2013, 30.10.2013 წ.).

მითითებული ნორმა არ ვრცელდება განსახილველ ურთიერთობაზე. მით უმეტეს გასათვალისწინებელია, რომ სადავო მიწის ნაკვეთი არა სარგებლობაში, არამედ მხარეთა თანასაკუთრებაშია, ხოლო, როგორც უკვე აღინიშნა, ამ თანასაკუთრებით

სარგებლობის წესი არ ცვლის საკუთრების რეჟიმს ამ ნივთზე.

აქედან გამომდინარე, პირველ კითხვასთან დაკავშირებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თანასაკუთრებით სარგებლობის ფაქტს არ მოჰყვება შედეგად ამ თანასაკუთრების (ან მისი წილების) შეცვლა.

განსახილველი დავის სწორად გადასაწყვეტად პასუხი უნდა გაეცეს მეორე კითხვას, კერძოდ, შესაძლებელია თუ არა საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული 563 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნატურით გაყოფა მისი ღირებულების შემცირების გარეშე მათ მფლობელობაში არსებული ფართების პროპორციულად.

მითითებულ კითხვასაც უნდა გაეცეს უარყოფითი პასუხი.

კასატორის (მოსარჩელის) მიზანია, სადავო მიწის ნაკვეთის გაყოფა მხარეთა მფლობელობაში არსებული ფართების პროპორციულად, რაც ეწინააღმდეგება საზირო უფლებათა ინსტიტუტით განსაზღვრული წესებს.

როგორც უკვე აღინიშნა, სადავო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მხარეთა თანასაკუთრებას. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ არ არის დადგენილი, თუ ვის რა წილი (რეალური) ეკუთვნის სადავო მიწის თანასაკუთრებიდან (საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლის თანახმად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მონილეს ეკუთვნის თანაბარი წილი.

ამდენად, სარჩელში მითითებული და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას (სადავო მიწის გაყოფა მათ მიერ დაკავებული ფართების პროპორციულად), რაც მისი დაკმაყოფილებისთვის უარის თქმის საფუძველია.

კონკრეტული სადავო სიტუაციის გათვალისწინებით, საზიარო უფლების გაუქმებისას მნიშვნელობა ენიჭება არა მხარეთა მფლობელობაში არსებული ფართების პროპორციულად გაყოფის წესს, არამედ – მოდავე მხარეთა შორის საჯარო რეესტრში არსებულ თანასაკუთრების წილობრივ მდგომარეობას. სწორედ საჯარო რეესტრში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის წილებზე რეგისტრაციის არარსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ორივე მხარეს გააჩნია თანაბარი უფლებები სადავო მიწის ნაკვეთზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაყოფის მექანიზმი ვერ შეეხება იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც მდებარეობს უშუალოდ მხარეთა ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების

ქვეშ, არამედ, შესაძლებელია გავრცელებულიყო განაშენიანებისაგან თავისუფალ მიწის ნაკვეთზე, რადგან ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართულია შენობა-ნაგებობა, ვერ იქნება განკარგვის ცალკე ობიექტი.

ზემოაღნიშული განმარტებების გათვალისწინებით, საქმეში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა სადავო ფართის გაყოფის წესი. უფრო მეტიც, საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, სადავო მიწის ნაკვეთის საზიარო უფლების გაუქმება შეუძლებელია.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (იხ. სუს განჩინება №ას-667-634-2013, 24.07.2014წ.) საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის მიხედვით „საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. განსახილველი ნორმა მიუთითებს ორ აუცილებელ ფაქტორზე, რომლის არსებობა იწვევს ამ ნორმით გათვალისწინებულ იურიდიულ შედეგს. საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: 1) საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2) მისი დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგი მივიღოთ. განსახილველ დავასთან მიმართებით, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც გაყოფამდე ასრულებდა, ე.ი არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრისათვის (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №ას-332-309-2010 28.10.2010 წ., განჩინება №ას-67-65-2014, 31.07. 2014 წ)“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნის ნაწილში არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუ-

ნების საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ს-ის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, შესაბამისად საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია აღნიშნულ საკითზე თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება – გ. ს-ის სარჩელი ი. ლ-ას მიმართ უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების ნატურით გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, გ. ს-ე, როგორც ინვალიდობის მქონე პირი, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. გ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. გ. ს-ე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსაფუძვლო გამდიდრება – ვითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლაზე

გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელთმსახურების სამსახურის მიერ

№ას-528-501-2015

4 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუერი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

II. სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები

1. ლ. ლ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ს-ის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე მიღებული 16,131 აშშ დოლარის დაბრუნების შესახებ.

2. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მოსარჩელე ლ. ლ-ი არის მოპასუხე ლ. ს-ის ყოფილი სიძის – მ. პ-ის ბებია. 2012 წლის 9 დეკემბრის ხელწერილის თანახმად, ლ. ს-მა ლ. ლ-ისაგან მიიღო 25,615 აშშ დოლარი, რის საფუძველად მოპასუხემ მიუთითა, რომ აღნიშნული თანხა სხვადასხვა დროს გადასცა მ. პ-ს. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მ. პ-ს ლ. ს-ის მიმართ რაიმე შეუსრულებელი ვალდებულება არ გააჩნდა. შესაბამისად, სადავო თანხა მოსარჩელისაგან მიიღო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

3. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მ. პ-ი და მოპასუხის შვილი – ნ. ს-ი იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. 2012 წლის აგვისტოს დასაწყისში მეუღლეები ფაქტობრივად დაშორდნენ ერთმანეთს, რის შემდეგაც მოპასუხემ წარუდგინა ლ. ლ-ის ქალიშვილი მ. გ-სა და სიძეს – გ. პ-ს პრეტენზია თანხის გადახდასთან დაკავშირებით. ლ. ს-მა სადავო თანხა მიიღო თავისი შვილის ნაცვლად, რისი უფლებაც არ გააჩნდა. მოპასუხემ წარუდგინა სია, რომლის შესაბამისად მ. პ-ის ვალი შეადგენდა 25,615 აშშ დოლარს.

მოცემულ სიაში მოპასუხე მიუთითებდა, რომ 2012 წლის მარტისა და ივლისის თვეში მ. პ-მა ნ. ს-ს ბანკომატიდან მოჰპარა 4,000 აშშ დოლარი, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. აღნიშ-

ნული პერიოდისათვის მეულეები ერთად ცხოვრობდნენ და ქონება გაყოფილი არ ჰქონდათ, მეტიც, ისინი, როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, ერთმანეთის ქონების თანამესაკუთრები იყვნენ. მ. პ-ისათვის ცნობილი იყო ცოლის ბარათის კოდი. ლ. ს-ის მიერ წარმოდგენილი საბანკო ამონაწერი ადასტურებს, რომ ანაბარ „მ-ზე“ თანხა შეჰქონდა ორივე მეულეს. ანაბარი შეივსო საცხოვრებელი ბინის იპოთეკით დატვირთვის შემდგომ დარჩენილი თანხიდან, ამდენად, შეტანილი თანხა წარმოადგენდა ოჯახის საკუთრებას და მისი გახარჯვაც შეთანხმებით მოხდა. ნ. ს-მა მხოლოდ სარჩელის აღძვრის შემდეგ მიმართა სს „საქართველოს ბ-“ იმ მოტივით, რომ არ ეთანხმებოდა განხორციელებულ საბანკო ოპერაციას და თითქოს მან იმ მომენტში აღმოაჩინა მის ბარათზე არსებული თანხის დანაკლისი, რაც არასწორია, ვინაიდან ეს ოპერაციები ერთი წლით ადრე განხორციელდა, ხოლო თანხის ყოველი განაღდებისას ბანკი შეტყობინებას უგზავნიდა კლიენტს. ამავდროულად, ნ. ს-ი სარგებლობდა ბარათით და შეიტყობდა რა ოდენობის თანხა ჰქონდა ანგარიშზე. 2012 წლის 15 ოქტომბერს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ნ. ს-მა მიმართა თ-ის ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას, თუმცა საქმე არ აღიძრა დანაშაულის არ არსებობის გამო.

4. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე სიაში მიუთითებდა, რომ მან გადაიხადა 3760 აშშ დოლარი მ. პ-ის ავტომანქანისათვის, კერძოდ, 2 300 აშშ დოლარი – თავიდან, ხოლო 660 და 800 აშშ დოლარი – შემდგომ, ასევე, 800 ლარი ავტომანქანის დაზიანების გამო, რაც არასწორია. მ.პ-მა ავტომანქანა „მ. პ.“ შეიძინა ავტო სესხით, იმ დროისათვის იგი მუშაობდა საქართველოს პარლამენტში და ჰქონდა შემოსავალი ხელფასის სახით, რისი გათვალისწინებითაც დაუმტკიცდა სესხი. მანქანის ღირებულება შეადგენდა 5 560 აშშ დოლარს. თანამონაწილეობის მიზნით, მ. პ-მა შპს „ს. ა-ს“ გადაუხადა 1 500 აშშ დოლარი, შემდეგ საკუთარი ხელფასიდან იხდიდა სესხს, ხოლო 2010 წლის ბოლოს მან ავტომანქანა საერთოდ გაყიდა და მთლიანად დაფარა ვალი, საიდანაც ნ. ს-მა გადაუხადა მხოლოდ 230 აშშ დოლარი. შესაბამისად, მის ყოფილ სიმამრს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია ავტომანქანის შეძენაში.

5. მოსარჩელე არ დაეთანხმა მოპასუხის სიაში არსებულ მიუთითებას, რომ 2500 აშშ დოლარი იხესხა ლ. ლ-ის მეორე შვილიშვილმა – ბ. პ-მა, რადგან აღნიშნული სიცრუეა.

6. მხარემ უარყო ლ. ს-ის მითითება მ. პ-ის მიერ ნ. ს-ის კუთვნილი „ლეპტოპის“ მოპარვის ფაქტი. ფაქტობრივად, სადავო

ნივთი გატყდა. ამასთან, გამორიცხულია, 2008 წელს შექმნილი „ლეპტოპის“ ფასი 2012 წლისათვის 2000 აშშ დოლარი ყოფილიყო. ასევე გაურკვეველია, რომელი წლის და რა ფირმის „ლეპტოპი“ იყო, რომ სავარაუდო ღირებულება მაინც დადგინდეს.

7. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ არასწორად მოითხოვა მეუღლეების ქორწილის ხარჯების დაბრუნების სახით 15 000 ლარის გადახდა. როგორც რესტორან „ს-ს“ დირექტორმა განმარტა, ასეთი ღირებულების საქორწილო სუფრის შეკვეთა მას არ მიუღია. შეკვეთის მინიმალური ფასი მერყეობდა 7 000 ლარამდე. 2009 წლის აპრილში რესტორანს შემოსავალი 2 600 ლარამდე თუ ჰქონდა. ამდენად, ლ. ს-მა მიიღო ზედმეტი თანხა. გარდა ამისა, მოპასუხემ თავიდანვე განაცხადა, რომ ქორწილის ხარჯებს თავად გადაიხდიდა, ხოლო მეორე მხარეს ხარჯის ნახევარი შეძლებისდაგვარად უნდა დაებრუნება. მოგვიანებით კი, ამ თანხის დაბრუნებაზეც უარი განაცხადა და მოსარჩელეს სთხოვა, მეუღლეებს დახმარებოდა, რაც მოსარჩელემ შეასრულა.

8. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ლ. ს-მა უკანონოდ გადაახდევინა მას მ. პ-ის მიერ ნ. ს-ისათვის გადაყრილი ტანსაცმლის ღირებულება – 2,120 ლარი. ლ. ს-მა პროკურატურისთვის მიწერილ წერილში აღნიშნა, რომ სიძემ მის შვილს გადაუყარა 1,630 ლარის ღირებულების ტანსაცმელი, რაც მოსარჩელის მიერ გადახდილზე 490 ლარით მეტია. ფაქტობრივად, გადაყრილ იქნა რამდენიმე ნივთი, რისი ღირებულება 100 ლარიც კი არ იქნებოდა.

9. მხარემ მიიჩნია, რომ უსაფუძვლო იყო მოპასუხის მოთხოვნა სამაჯურის დაბრუნების შესახებაც, რადგან ეს იყო საქორწინო საჩუქარი, რომელიც, როგორც გაირკვა, ცოლ-ქმარმა შეთანხმებით გაყიდა და ფული ერთობლივად დახარჯა. მოპასუხემ კი, მოსარჩელეს მისი ათმაგი ღირებულება გადაახდევინა იმ მოტივით, რომ 2009 წლის შემდეგ ოქროს ფასი გაიზარდა.

III. მოპასუხის პოზიცია

10. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მ. პ-ის ვალები, ვინაიდან მის ოჯახზე ეკონომიკური ზრუნვის ვალდებულება სწორედ მოსარჩელეს ჰქონდა ალებული. აღნიშნული დასტურდება იმითაც, რომ მან შვილიშვილს აჩუქა ბინა.

11. მოპასუხემ უარყო მოსარჩელის მითითება, რომ თანხის გადახდისას ლ. ს-მა შეცდომაში შეიყვანა ლ. ლ-ი. სინამდვილეში სადავო თანხის გადახდას წინ უძღოდა მხარეთა შორის რამდენიმეთვიანი მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდა მო-

სარჩელის ნდობით აღჭურვილი ადვოკატი – ი. გ-ი.

IV. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მი- თითება

12. თ-ის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ლ-ის
სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გააასაჩივრა სა-
აპელაციო წესით.

V. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

13. თ-ის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განჩინებით ლ. ლ-ის სააპე-
ლაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გა-
დაწყვეტილება დარჩა უცვლ.დ შემდეგ გარემოებათა გამო:

VI. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველები

14. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ
ლ. ლ-ის შვილიშვილი – მ. პ-ი და მოპასუხე ლ. ს-ის შვილი – ნ. ს-
ი იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, ხოლო 2012
წლის აგვისტოდან მეუღლეები, მათ შორის არსებული უთან-
ხმოების გამო, ფაქტობრივად დაშორდნენ ერთმანეთს და ერთ
ოჯახად აღარ ცხოვრობენ.

15. ლ. ლ-მა დაადასტურა, რომ 2009 წლის 26 აპრილს მცხე-
თაში, რესტორან „ს-ში“ გადახდილი მ. პ-ისა და ნ. ს-ის ქორწი-
ლის ხარჯის ნახევარი მას უნდა გადაეხადა, შესაბამისად, პირ-
ველი ინსტანციის სასამართლოში მხარემ სარჩელის მოთხოვ-
ნაც შეამცირა 5 500 ლარით.

16. მოსარჩელემ და მოწმის სახით დაკითხულმა მ. პ-მა დაა-
დასტურეს, რომ ლ. ს-მა გაიღო 6,000 აშშ დოლარი (10,000 ლა-
რი) მ. პ-ისთვის დაკისრებული ჯარიმის ნაწილის გადასახდე-
ლად. ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელს სასჯელად დანიშნული
ჰქონდა ჯარიმა – 20,000 ლარი, დასტურდებოდა ახალციხის რა-
იონული სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის განაჩენით.

17. 2012 წლის 4 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე ქ.
თ-ში, ყ.-ს ქ. №12-ში მდებარე მშენებარე №33 ბინა ლ. გ-მა აჩუ-
ქა მ. პ-სა და ნ. ს-ს, რომლებმაც, როგორც თანამსესხებლებმა,
2012 წლის 26 ივლისს შპს მისო „რ. ე.-იდან“ 5,000 აშშ დოლარის
ოდენობით აღებული სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთეს
იპოთეკით.

18. 2012 წლის 21 ნოემბერს ჩუქების ხელშეკრულების სა-
ფუძველზე ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ბინის თანამესა-
კუთრედ, მ. პ-ის ნაცვლად, აღირიცხა მოსარჩელე ლ. ლ-ი ნ. ს-
თან ერთად, ხოლო 2012 წლის 10 დეკემბერს უძრავი ნივთი გა-

იყიდა.

19. საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ლ. ს-მა ლ. ლ-ისაგან მიიღო 25,615 აშშ დოლარი, რომელიც მისი შვილის – ნ. ს-ის ყოფილ მეუღლე მ. პ-ს წაღებული ჰქონდა სხვადასხვა დროს. მითითებული ხელწერილი შედგენილია ლ. ს-ის მიერ, აღნიშნული ასევე დადასტურებულია მოსარჩელის მიერაც. მოსარჩელემ ასევე დაადასტურა, რომ მოპასუხემ ხელწერილი მისი მოთხოვნით შეადგინა. მხარეებმა ასევე დაადასტურეს, რომ ხელწერილის თარიღად 2012 წლის 9 დეკემბრის ნაცვლად, მითითებული უნდა ყოფილიყო 2012 წლის 10 დეკემბერი. ხელწერილში მითითებული თანხიდან – 25,615 აშშ დოლარიდან მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია მოპასუხისათვის 9,484 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება, საიდანაც 6,000 აშშ დოლარი (10,000 ლარი) მ. პ-ის ჯარიმის თანხის ნაწილი იყო, ხოლო 3,484 აშშ დოლარი (5,500 ლარი) ქორწილის თანხის ნახევარი.

20. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმის შესახებ, რომ როგორც უშუალოდ მოდავე მხარეები, ასევე, ყოფილი მეუღლეები – ნ. ს-ი და მ. პ-ი ერთმანეთთან ცუდ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. მათი დაშორების შემდეგ ლ. ლ-მა მოითხოვა ნაჩუქარი ბინის იმ წილის დაბრუნება, რომელიც თავის დროზე ნ. ს-თან ერთად მ. პ-ს აჩუქა. ასევე, დადგენილია, რომ ამ ქმედების საპასუხოდ ლ. ს-მა ლ. ლ-ს წაუყენა საპირისპირო მოთხოვნა, რაც გულისხმობდა მისთვის ქორწილის ხარჯების ნახევრისა და მ. პ-ის ჯარიმის გადასახდელად გაღებული თანხის ნაწილის დაბრუნებას. გარდა აღნიშნულისა, ლ. ს-მა ასევე მოითხოვა, მ.ისა და ნ.ს ავტომანქანის შეძენის, შემდგომში მის შესაკეთებლად განეული ხარჯის, ასევე, მ. პ-ის მიერ ნ. ს-ის კუთვნილი განადგურებული ტანსაცმლისა და სხვა დაზიანებული ნივთების ღირებულება. კონკრეტულად ლ. ს-ი ითხოვდა შემდეგ თანხებს „ქორწილი – 7,500 ლარი, ციხე – 10,000 ლარი, ტანსაცმელი – 2,120 ლარი, პროფილაქტიკის – 800 ლარი, მანქანის – 5,570 აშშ დოლარი, სამაჯური – 33 გრამი (ღირებულება)“. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ მოთხოვნას აცნობდნენ მოსარჩელე ლ. ლ-ს, რადგან ეს თანხა სწორედ მას უნდა გადაეხადა. სასამართლომ მითითებული გარემოებები დადგენილად მიიჩნია მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, კერძოდ, მ. პ-ის მშობლების, ასევე, მოწმე ი. გ-ის ჩვენების საფუძველზე დადგინდა, რომ მეუღლეთა დაშორების შემდგომ ისინი ხვდებოდნენ ლ. ს-ს, რომელიც ანგარიშობ-

და ზემოაღნიშნული თანხების ოდენობას და მოითხოვდა მის დაბრუნებას.

21. სააპელაციო პალატის მითითებით, მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ გარემოება იმის შესახებ, რომ 2010 წლის 10 დეკემბერს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება ქ-თ-ში, ჟ.-ს ქ. №12-ში მდებარე №33 ბინაზე, რომელიც ლ. გ-მა 2012 წლის 4 ივლისს აჩუქა მ. პ-სა და ნ. ს-ს, ხოლო მოგვიანებით, 2012 წლის 21 ნოემბერს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, მ. პ-ის ნაცვლად, ბინის თანამესაკუთრედ აღირიცხა ლ. ლ-ი ნ. ს-თან ერთად. მხარეთა მითითებით, ამავე დღეს ლ. ს-მა მიიღო 25,615 აშშ დოლარი, მის მიერ შედგენილი გაანგარიშების (სიის) მიხედვით. მითითებული სიის დედანი აქვს მოსარჩელეს.

22. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ. გ-ის ხელწერით შედგენილ პირველ სიასა და ლ. ს-ის მიერ შედგენილ მეორე სიას შორის არის სხვაობა, კერძოდ, მეორე სიაში დამატებულია 4,000 აშშ დოლარი მინანერით – მოპარული, 2,500 აშშ დოლარი – ვალი, 2,000 აშშ დოლარი – „ლეპტოპი“ (მოსარჩელემ განმარტა, რომ 4,000 აშშ დოლარი არის მ. პ-ის მიერ ნ. ს-ის ნებართვის გარეშე გახარჯული (ბანკომატიდან გამოტანილი, თუ სახლიდან აღებული) თანხა, 2 500 აშშ დოლარი არის მ. პ-ის ძმის – ბ. პ-ისათვის ნ. ს-ის მიერ მიცემული სესხი, რაც მას, თავის მხრივ, მისცა ლ. ს-მა. 2000 აშშ დოლარი არის ნ. ს-ის კუთვნილი ლეპტოპის ღირებულება, რომელიც თავდაპირველად, ხოლო შემდგომ გაყიდა მ. პ-მა). სიებს შორის სხვაობას წარმოადგენს ამავე სიებში მითითებული ნივთების ღირებულება: პირველ სიაში ავტომანქანაზე დახარჯულ თანხად მითითებულია 5,570 აშშ დოლარი, მეორეში – 3,760 აშშ დოლარი. პირველი სიისაგან განსხვავებით, მეორე სიაში მითითებულია ოქროს სამაჯურის ღირებულება – 1,716 ლარი, რომელიც, მოპასუხის განმარტებით, მან ათხოვა ქორწილში მ. პ-ს.

23. სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ ერთი პირის გამდიდრება მოხდეს მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული იყოს იურიდიულ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობს, ან შემდგომში იშლება. ამასთან, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია მხოლოდ ობიექტური შედეგი – ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნა (დაზოგვა) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზ-

რდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

24. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, შესრულების უკუმოთხოვნის საფუძვლიანობის შემონგებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემსრულებლისა და მიმღების სამართლებრივ ურთიერთმიმართებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ამდენად, შეფასება იმისა, შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას, თუ შესრულება მომდინარეობს ზნეობრივი მოვალეობიდან, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უფლება-მოვალეობრივი კავშირი არსებობს შემსრულებელსა და მიმღებს შორის, რა სუბიექტური დამოკიდებულება ჰქონდა შემსრულებელსა და მიმღებს შესრულების მიმართ. აღნიშნული მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მჭიდრო ნათესაური ურთიერთკავშირების დროს, ასევე მაშინ, როდესაც არსებობს გარკვეული კანონისმიერი ვალდებულებები.

სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, რომც არსებობდეს უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევა, ბათილი გარიგების თუ ნებისმიერი საფუძვლით ვალდებულების არარსებობა, უკან დაბრუნების მოთხოვნა დაზარალებულს ვითომ კრედიტორისაგან (მიმღები-შემძენი) არ შეუძლია, თუკი მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა.

სამოქალაქო სამართალურთიერთობა ეფუძნება სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნებს, შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. უფლების კეთილსინდისიერად განხორციელება თავის თავში მოიცავს სამართალსუბიექტის მიერ ნების გამოვლენისას წინდახედულობის ელემენტარული სტანდარტის გათვალისწინებას, რათა მის მიერ წინდაუხედავად გამოვლენილი ნებით დაუშვებლად არ იქნეს ხელყოფილი სხვათა უფლებები.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეებს (ლ. ს-ს და ლ. ლ-ს) შორის დავა გამოწვეული იყო მ. პ-ისა და ნ. ს-ის თანაცხოვრების პერიოდში წარმოშობილი სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საკითხებიდან გამომდინარე, ვინაიდან მ. პ-ი არის მოსარჩელის შვილიშვილი, ხოლო ნ. ს-ი

მოპასუხის შვილი. ასევე დადგენილია, რომ მ. პ-ისა და ნ. ს-ის ერთ ოჯახად ცხოვრების პერიოდში ფინანსურად მათ ლ. ლ-ი (მ. პ-ის ბებია) და ლ. ს-ი (ნ. ს-ის მამა) ეხმარებოდნენ.

25. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია გარემოება იმის შესახებ, რომ სადავო თანხა გადაცემულ იქნა იმ ფინანსური ურთიერთმოთხოვნების ფარგლებში, რომელსაც უყენებდნენ ერთმანეთს მხარეები. კერძოდ, დადგენილია, რომ ყოფილ მეუღლეებს (მ. პ-ს და ნ. ს-ს) მოსარჩელე ლ. ლ-მა საჩუქრად გადასცა საცხოვრებელი ბინა, თუმცა მათი დაშორების შემდეგ მოსარჩელემ ბინა გაასხვისა, რაც თავისთავად ნ. ს-ისაგან შესაბამის თანხმობას საჭიროებდა. ეს ფაქტი გახდა ლ. ს-ის მხრიდან გარკვეული ფინანსური პრეტენზიების წაყენების საფუძველი, რამაც გამოიწვია მხარეთა და მათი ოჯახის წევრთა ისედაც დაძაბული ურთიერთობის მეტად გამწვავება. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ორივე მხარის სურვილს წარმოადგენდა მათ შორის არსებული ზემოაღნიშნული ფინანსური ურთიერთმოთხოვნების საბოლოოდ გადაწყვეტა და ურთიერთობის დასრულება.

26. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ლ-ს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოებები – მოპასუხის მიერ განეული ფინანსური ხარჯები, ის კონკრეტული პრეტენზიები, რომელსაც საპირისპირო მოთხოვნის სახით უყენებდა ლ. ს-ი, როგორც მისი ყოფილი რძლის მამა, მოპასუხეს უქმნიდა ვარაუდის საფუძველს, სწორედ ხელწერილში მითითებული თანხის – 25,615 აშშ დოლარის გადაცემაზე ლ. ლ-ის სურვილის არსებობის შესახებ, რაც თავისთავად გამორიცხავს მისი უკან დაბრუნების შესაძლებლობას.

27. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტმა ვერ უზრუნველყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების საპირისპიროდ შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა. ის დასაბუთება კი, რაც აპელანტმა სასამართლოს შეთავაზა, არ იძლეოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს.

VII. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძველები

28. სააპელაციო სასამართლოს განჩინება ლ. ლ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

29. კასატორმა ძირითად განჩინებასთან ერთად სადავოდ გახადა სააპელაციო სასამართლოს განჩინებები, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობა საქმეზე აუდიტის დასკვნის დართვის თაობაზე.

მხარემ აღნიშნა, რომ აუდიტის დასკვნის საქმეზე დართვის შესახებ მოთხოვნით მიმართა ჯერ კიდევ საქალაქო სასამართლოს, თუმცა უშედეგოდ. სასამართლომ მოსამზადებელ სხდომაზე უარი უთხრა ლ. ლ-ს შუამდგომლობის წერილობითი ტექსტის მიღებაზე და მიუთითა, რომ მხარემ ვერ დაასაბუთა, რა მიზნით სჭირდებოდა ამ მტკიცებულების წარდგენა. საქალაქო სასამართლოს აღნიშნული უარი ლ. ლ-მა ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად გაასაჩივრა სააპელაციო წესით და ამავდროულად კვლავ მოითხოვა აუდიტის დასკვნის დართვა. სააპელაციო სასამართლომ მხარეს განუმარტა, რომ შემდეგ ეტაპზე მიუბრუნდებოდა მოცემული საკითხის განხილვას, მაგრამ აღნიშნულზე აღარ უმსჯელია.

30. კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილება დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ მხარეებს ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, თუმცა გაურკვეველია, აღნიშნულ ფაქტს რატომ მიანიჭა სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა და რა თვალსაზრისით შეიძლებოდა მითითებულ გარემოებას გავლენა მოეხდინა საქმის გადაწყვეტაზე.

31. კასატორის მითითებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ ლ. ლ-მა სადავო თანხა გადაიხადა მხარეებს შორის გამწვავებული ურთიერთობის დასრულების მიზნით, რადგან ასეთი განზრახვა არც ლ. ლ-ის განმარტებიდან და არც მისი სარჩელიდან არ გამომდინარეობდა.

32. კასატორმა მიუთითა, რომ გადაწყვეტილებით დადგენილი სადავო თუ უდავო ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ შეფასებით მსჯელობას. ფაქტობრივი გარემოებები წარმოდგენილია არა ობიექტური რეალობის, არამედ შესაძლო ვარიანტის სახით, რაც მეტყველებს, რომ სააპელაციო სასამართლოს შინაგანი რწმენით განხორციელდა არა მარტო მტკიცებულებების შეფასება, არამედ მათი შინაარსის განსაზღვრაც.

33. მხარემ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ თანხის ოდენობას საქმის კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია, ასევე, მითითებას, რომ, რადგან ლ. ლ-ი არ ითხოვდა ქორწილის ხარჯების ნაწილისა და მ. პ-ისათვის დაკისრებული ჯარიმის ნაწილის დაბრუნებას, მისი მოთხოვნა სხვა ნაწილშიც უსაფუძვლოა. მართალია, ლ. ს-მა გა-

დაიხადა ზემოაღნიშნული თანხები, მაგრამ ეს არ ადასტურებს, რომ მან სხვა სადავო თანხებიც გაიღო.

34. კასატორის განმარტებით, არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ გამოუკვლევია ლ. ს-ის მიერ ლ.ლ-ისათვის წარდგენილ სიაში ასახული გარემოებანი და გაურკვეველია, რა დადგინა სასამართლომ – სადავო თანხები ლ.ს-მა გადაიხადა, მაგრამ აღარ ექვემდებარებოდა დაბრუნებას, თუ არ გადაუხდია, მაგრამ ამას საქმისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ლ. ლ-მა თანხა მოპასუხეს უკვე გადასცა. ამდენად, არანაირი მნიშვნელობა არ მიენიჭა, ობიექტურად არსებობდა თუ არა ვალდებულება მის გადახდამდე. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია ეს საკითხი, თუმცა შედეგები გადანაცვლებებში არ აუსახავს.

35. მხარის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე არ გაზიარა მონში ი. გ-ის განმარტებები იმასთან დაკავშირებით, რომ ლ. ს-მა მხოლოდ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დღეს – 2010 წლის 10 დეკემბერს მოითხოვა ლ. ლ-ისაგან 25,615 აშშ დოლარის გადახდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა თავდაპირველად შეთანხმებულ თანხას. მონშის ჩვენებიდან ირკვეოდა, რომ ლ. ლ-ი იძულებული გახდა, გადაეხადა სადავო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნ. ს-ი უარს განაცხადებდა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე. ამგვარი უნდობლობის გასამართლებლად სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ი. გ-ი და ლ. ლ-ის შვილი – მ. გ-ი არიან ერთი მამის შვილები, თუმცა აღნიშნულმა გარემოებამ ხელი არ შეუშალა სასამართლოს, რომ გაეზიარებინა ი. გ-ის ჩვენებები ლ. ლ-ის წინააღმდეგ ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორცაა ლ. ლ-ის მხრიდან ვალდებულების შესრულების მზადყოფნა. აღსანიშნავია, რომ ი. გ-ი კასატორთან პირადად ნათესაურ კავშირში არ იმყოფებოდა და იგი მონვეულ იქნა ლ. ს-ის მიერ, წარმოადგენდა მოპასუხის მონშეს, რაც სასამართლოს არ შეუფასებია. ამასთან, მოპასუხე დაეთანხმა ი.გ-ის განმარტებებს.

36. კასატორის განმარტებით, მხარეები შეთანხმდნენ გაცილებით მცირე თანხაზე, ვიდრე 25,615 აშშ დოლარია, რაც დასტურდება სხვა მონშეების ჩვენებითაც. მაგალითად, მ. გ-მა დაადასტურა, რომ თავდაპირველად მხარეები შეთანხმდნენ 15,000 აშშ დოლარის გადახდაზე, თუმცა სასამართლოს საერთო არ უმსჯელია მონშის ჩვენებებთან დაკავშირებით მხარის პრეტენზიაზე.

37. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო შე-

მოიფარგლა ზოგადი შეფასებით, რომ არსებობდა ფინანსური ანგარიშგების საფუძველი, თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე არ უმსჯელია.

38. მხარემ განმარტა, რომ ნ. ს-ისა და მ. პ-ის ქორწინების შეწყვეტის შემდეგ მან მოთხოვა ნაჩუქარი ბინის დაბრუნება. მ. პ-მა მას უკან გადაუფორმა ნაჩუქარი ბინის S ნაწილი, ხოლო ნ. ს-ის მამამ – ლ. ს-მა მოსარჩელეს განუცხადა, რომ ბინის სანაცვლოდ მას უკან უნდა დაებრუნებინა ქორწინლის სუფრისა და ჯარიმის თანხა.

39. ლ. ლ-ი არასდროს შეთანხმებია მოპასუხეს წინასწარ თანხის გადახდაზე, თუმცა მაინც დასთანხმდა მოპასუხის მიერ რეალურად გადახდილი თანხის დაბრუნებას.

ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას ლ. ს-მა ისარგებლა მოსარჩელის გამოუვალი მდგომარეობით, განიზრახა უფრო მეტი თანხის გამოძალვა მისგან და განუცხადა მოსარჩელეს, რომ ამ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ნ. ს-ი ნასყიდობის ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერდა. შექმნილ ვითარებაში კასატორი იძულებული გახდა ყოველგვარი შემონების გარეშე გადაეხადა 25,615 აშშ დოლარი. გარდა ამისა, აღნიშნული ბინა იპოთეკით იყო დატვირთული მეუღლეების სესხის გამო, რის გადახდასაც ლ. ლ-ი ვეღარ უზრუნველყოფდა და არსებობდა ბინის დაკარგვის საშიშროება. შესაბამისად, კასატორმა სადავო თანხა გადასცა მონინალმდეგე მხარეს, ჩამოართვა ხელწერილი და იმედოვნებდა, რომ მოგვიანებით, გაარკვევდა ყველაფერს.

40. სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა ლ. ს-ის მიერ შედგენილი სია, სადაც მოპასუხე მიუთითებდა, რომ მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში მ. პ-მა ნ. ს-ს ბანკომატიდან მოჰპარა 4,000 აშშ დოლარი, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

კასატორის მითითებით, ნ. ს-მა მხოლოდ სარჩელის აღძვრის შემდეგ მიმართა სს „ს. ბ-ს“ იმ მოტივით, რომ არ ეთანხმებოდა განხორციელებულ საბანკო ოპერაციას და თითქოს მან იმ მომენტში აღმოაჩინა მის ბარათზე არსებული თანხის დანაკლისი, რაც არასწორია. სარჩელის აღძვრის მომენტისათვის აღნიშნული თანხა ლ. ს-ს უკვე მიღებული ჰქონდა. ლ. ს-ის მიერ წარმოდგენილი საბანკო ამონაწერი ადასტურებს, რომ ანაბარ „მ-ზე“ თანხა შეჰქონდა ორივე მეუღლეს. ანაბარი შეივსო ლ. ლ-ის ნაჩუქარი ბინის იპოთეკით დატვირთვის შედეგად მიღებული თანხით. საქმეში არსებული 2012 წლის 26 ივნისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით მ. პ-მა და ნ. ს-მა, როგორც თანამსეს-

ხებლებმა „რ. ე.-ისაგან“ ისესხეს 5,000 აშშ დოლარი და იპოთეკით დატვირთეს ქ.თ-ში, ნ. ჟ-ს №12-ში მდებარე №33 ბინა. იმავე დღეს – 26 ივნისს ნ. ს-ის ანაბარ „მ-ზე“ შეტანილ იქნა 2,800 აშშ დოლარი. მოწმედ დაკითხულმა მ. პ-მა დაადასტურა, რომ ეს სწორედ იპოთეკის თანხიდან – 5,000 აშშ დოლარიდან დარჩენილი თანხა იყო, ხოლო დანარჩენი თანხა გაიხარჯა ნ. ს-ის დასასვენებლად გამგზავრებაზე. ამასთან, მეუღლეების მიერ აღებული სესხი მოგვიანებით ლ. ლ-ის მიერ დაიფარა.

41. კასატორის განმარტებით, მოპასუხე სიაში მითითებულა, რომ მან გადაიხადა 3,760 აშშ დოლარი მ. პ-ის ავტომანქანისათვის, კერძოდ, 2,300 აშშ დოლარი – თავიდან, ხოლო 660 და 800 აშშ დოლარი – შემდგომ, ასევე, 800 ლარი ავტომანქანის დაზიანების გამო, რაც არასწორია. მ. პ-მა ავტომანქანა „მ. პ.“ შეიძინა ავტო სესხით, იმ დროისათვის იგი მუშაობდა საქართველოს პარლამენტში და ჰქონდა შემოსავალი ხელფასის სახით, რისი გათვალისწინებითაც დაუმტკიცდა სესხი. სალაროს შემოსავლის ქვითრებით დასტურდება, რომ ანგარიშსწორება ანარმოვა მ. პ-მა. სასაქონლო ზედნადების შესაბამისად, ავტომანქანის ღირებულება შეადგენდა 5,300 აშშ დოლარს. სს „თ. ბ-ა“ და, მეორე მხრივ, მ. პ-სა და ნ. ს-ს 2010 წლის 4 თებერვალს გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების შესაბამისად, გაცემული კრედიტის მოცულობა შეადგენდა 3,180 აშშ დოლარს. აღნიშნულ თანხისათვის ავტომანქანის ღირებულების გამოკლების შემთხვევაში პირველი შენატანი იქნებოდა 2,120 აშშ დოლარი. ამდენად, 3,760 აშშ დოლარს ლ.ს-ი ვერ გადაიხდიდა ამ ავტომანქანის ღირებულებისათვის. პირადი საბანკო ანგარიშიდან ამონაწერის შესაბამისად, მ. პ-ი თავად იხდიდა სესხს 2010 წლის მარტიდან 10 დეკემბრამდე. 10 დეკემბრის სესხი დაიფარა ავტომანქანის გასხვისებით და საბანკო ანგარიშზე შეტანილ იქნა 3,046 აშშ დოლარი.

კასატორი არ დაეთანხმა მოპასუხის სიაში არსებულ მითითებას, რომ 2,500 აშშ დოლარი ისესხა ლ. ლ-ის მეორე შვილიშვილმა – ბ. პ-მა. ასეც რომ არ ყოფილიყო, კასატორმა მიიჩნია, რომ ბ. პ-ი სრულწლოვანი იყო და ლ. ს-ს ნასესხები თანხა უნდა მოეთხოვა მისთვის და არა ლ. ლ-ისათვის.

42. მხარემ უარყო ლ. ს-ის მითითება მ. პ-ის მიერ ნ. ს-ის კუთვნილი „ლეპტოპის“ მოპარვის ფაქტზე. ფაქტობრივად, სადავო ნივთი გატყდა. ამასთან, გამორიცხულია, 2008 წელს შექმნილი „ლეპტოპის“ ფასი 2012 წლისათვის 2000 აშშ დოლარი ყოფილიყო. ასევე გაურკვეველია, რომელი წლის და რა ფირმის „ლეპტოპი“ იყო, რომ სავარაუდო ღირებულება მაინც დადგინდეს.

მხარემ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ დაურთო საქმეს აუდიტის დასკვნა იმის შესახებ, რომ „ლეკტოპის“ ღირებულებაა არა 2,000 აშშ დოლარი, არამედ 2012 წლისათვის – 400 ლარი.

43. კასატორის მითითებით, ლ.ს-ის სიაში აღნიშნულია 7,500 ლარი, როგორც ქორწილი ხარჯი. საქმეში წარმოდგენილია რესტორან „ს-ს“ მიერ გაცემული ცნობა, რომ საქორწინო სუფრა მხოლოდ 11,000 ლარი დაჯდა. შესაბამისად, ლ.ს-მა კვლავაც მოითხოვა უფრო მეტი, ვიდრე დახარჯა. მანვე უკანონოდ გადაახდევინა კასატორს მ.პ-ის მიერ ნ.ს-ისათვის გადაყრილი ტანსაცმლის ღირებულება – 2,120 ლარი. ლ.ს-მა პროკურატურისთვის მიწერილ წერილში აღნიშნა, რომ სიძემ მის შვილს გადაუყარა 1,630 ლარის ღირებულების ტანსაცმელი, რაც მოსარჩელის მიერ გადახდილზე 490 ლარით მეტია.

მხარემ მიიჩნია, რომ უსაფუძვლო იყო მოპასუხის მოთხოვნა სამაჯურის დაბრუნების შესახებაც, რადგან ეს იყო საქორწინო საჩუქარი, რომელიც, როგორც გაირკვა, ცოლ-ქმარმა შეთანხმებით გაყიდა და ფული ერთობლივად დახარჯა. მოპასუხემ კი, მოსარჩელეს მისი ათმაგი ღირებულება გადაახდევინა.

44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 მაისის განჩინებით ლ.ს-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 15 ივლისს საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

VIII. საკასაციო პალატის დასკვნები

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

45. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოა ლ.ს-ისათვის 16,131 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების არსებობა. კასატორის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებაზე დამყარებული, რომ 09.12.2012წ.-ს ლ.ს-ის მიერ ლ.ს-ისათვის გადახდილი 25,615 აშშ დოლარიდან 16,131 აშშ დოლარი გადახდილია სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

46. საკასაციო საჩივრის საფუძვლების (კასაციის მიზეზე-

ბის) საფუძვლიანობის კვლევისათვის, უნდა შემოწმდეს ლ. ს-ისათვის 16,131 აშშ დოლარის გადახდის მიზნობრიობა (დანიშნულება) და თანხის გადახდის შესახებ ლ. ლ-ის ვალდებულების არსებობა.

47. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს მოცემულ საქმეზე თ-ის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

– ლ. ლ-ის შვილიშვილი – მ. პ-ი და მოპასუხე ლ. ს-ის შვილი – ნ. ს-ი იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, ხოლო 2012წ.-ის აგვისტოდან მეუღლეები, მათ შორის არსებული უთანხმოების გამო, ფაქტობრივად დაშორდნენ ერთმანეთს და ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობენ.

– ლ. ლ-ს სადავოდ არ გაუხდია, რომ 26.04.2009წ.-ს მცხეთა-ში, რესტორან „ს-ში“ გადახდილი მ. პ-ისა და ნ. ს-ის ქორწილის ხარჯის ნახევარი მას უნდა გადაეხადა. ამ მოტივით, მოსარჩელემ მოთხოვნა შეამცირა 5,500 ლარით.

– მოსარჩელემ და მოწმის სახით დაკითხულმა მ. პ-მა დაადასტურეს, რომ ლ. ს-მა გაიღო 6,000 აშშ დოლარი (10,000 ლარი) მ. პ-ისთვის დაკისრებული ჯარიმის ნაწილის გადასახდელად. ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელს სასჯელად დანიშნული ჰქონდა ჯარიმა – 20,000 ლარი, დასტურდებოდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 29.02.2012წ.-ის განაჩენით.

– 04.07.2012წ.-ის ხელშეკრულების საფუძველზე ქ. თ-ში, ყ.ს ქ. №12-ში მდებარე მშენებარე №33 ბინა ლ. გ-მა აჩუქა მ. პ-სა და ნ. ს-ს, რომლებმაც, როგორც თანამსესხებლებმა, 26.07.2012წ.-ს შპს მისო „რ. ე.-იდან“ 5,000 აშშ დოლარის ოდენობით აღებული სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთეს იპოთეკით.

21.11.2012წ.-ის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ბინის თანამესაკუთრედ, მ. პ-ის ნაცვლად, აღირიცხა მოსარჩელე ლ. ლ-ი ნ. ს-თან ერთად, ხოლო 10.12.2012წ.-ს უძრავი ნივთი გაიყიდა.

48. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი რაიმე პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ შეიცავს. შესაბამისად, ამ ნაწილში, გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

49. გამომდინარე იქიდან, რომ კასატორი (მოსარჩელე) სადავოდ ხდის თანხის გადახდის ვალდებულების არსებობას, სა-

კასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ხელწერილზე, რომელიც საფუძვლად დაედო სადავო თანხის გადახდას, მხოლოდ, აღნიშნულის შემდეგ საკასაციო პალატა სამართლებრივად შეაფასებს მხარეთა შორის რეალურად არსებულ ურთიერთობას და გამოიტანს დასკვნას თანხის გადახდის ვალდებულების არსებობის ან არარსებობის თაობაზე.

50. საქმეში წარმოდგენილი ლ. ს-ის მიერ 09.12.2012წ.-ს შედგენილი ხელწერილის შინაარსით დადგენილია, რომ ლ. ს-მა ლ. ს-ისაგან მიიღო 25,615 აშშ დოლარი, რომელიც მისი შვილის – ნ. ს-ის ყოფილ მეუღლე მ. პ-ს წაღებული ჰქონდა სხვადასხვა დროს. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეებმა დაადასტურეს, რომ ხელწერილის თარიღად ნაცვლად 09.12.2012წ.-სა მითითებული უნდა იყოს 10.12.2012წ..

ხელწერილში მითითებული და ლ. ს-ისათვის გადაცემული 25,615 აშშ დოლარიდან სადავოა მხოლოდ 16,131 აშშ დოლარი. მოპასუხის მიერ შედგენილი გაანგარიშების (სია) მიხედვით მითითებულ თანხაში შედის: ნ. ს-ის პირადი ანგარიშიდან ბანკო-მატის მეშვეობით მ. პ-ის მიერ გამოტანილი – 4,000 აშშ დოლარი; მ-ისა და ნ-ს ავტომანქანის შეძენის ხარჯი – 3,760 აშშ დოლარი და შემდგომში, მის შესაკეთებლად განეული ხარჯი – 800 ლარი; ქორწილის ხარჯი – 7,500 აშშ დოლარი; მ. პ-ის ძმის – ბ. პ-ის ვალი – 2,500 აშშ დოლარი; ლეპტოპის ღირებულება – 2,000 ლარი; ოქროს სამაჯურის ღირებულება 1,716 ლარი და მ. პ-ის მიერ ნ. ს-ის კუთვნილი განადგურებული ტანსაცმლისა და სხვა დაზიანებული ნივთების ღირებულება – 2,120 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ მოთხოვნას აცნობდნენ მოსარჩელე ლ. ს-ს, რადგან ეს თანხა სწორედ მას უნდა გადაეხადა. სასამართლომ მითითებული გარემოებები დადგენილად მიიჩნია მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, კერძოდ, მ. პ-ის მშობლების, ასევე, მოწმე ი. გ-ის ჩვენების საფუძველზე დადგინდა, რომ მეუღლეთა დაშორების შემდგომ ისინი ხვდებოდნენ ლ. ს-ს, რომელიც ანგარიშობდა ზემოაღნიშნული თანხების ოდენობას და მოითხოვდა მის დაბრუნებას.

ამასთან, დადგენილია, რომ მ. გ-ის ხელწერით შედგენილ პირველ სიასა და ლ. ს-ის მიერ შედგენილ მეორე სიას შორის არსებობდა სხვაობა, კერძოდ, მეორე სიაში დამატებული იყო 4,000 აშშ დოლარი მინანერით – „მოპარული“, 2,500 აშშ დოლარი – „ვალი“, 2,000 აშშ დოლარი – „ლეპტოპი“. მოსარჩელის განმარტებით, 4,000 აშშ დოლარი წარმოადგენდა მ. პ-ის მიერ ნ. ს-ის ნებართვის გარეშე გახარჯულ (ბანკომატიდან გამოტანილი, თუ

სახლიდან აღებული) თანხას, 2,500 აშშ დოლარი კი, – მ. პ-ის ძმის – ბ. პ-ისათვის ნ. ს-ის მიერ მიცემულ სესხს, რომელიც ნ. ს-ს თავის მხრივ, მისცა ლ. ს-მა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მეორე სიაში დამატებული 4,000 აშშ დოლარის მინანქრით – „მოპარული“ და 2,500 აშშ დოლარის – მინანქრით „ვალი“, ჯამში, 6,500 აშშ დოლარის დაბრუნების ნაწილში, წამოყენებულია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

50. პირველ რიგში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი სამოქალაქო ბრუნვის ობიექტებად მიიჩნევს არამხოლოდ ნივთებს, არამედ არამატერიალურ ობიექტებსაც – უფლებებსა და მოთხოვნებს. ეს ორივე სახის ობიექტი ერთიანდება ზოგად ცნებაში – „ქონება“.

თავის მხრივ, უფლებებისა და მოთხოვნების საფუძველს წარმოადგენს ვალდებულება. ვალდებულება ეს არის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც ერთიერთობის ერთ-ერთ მონაწილეს უფლება აქვს, მოსთხოვოს ურთიერთობის მეორე მონაწილეს ვალდებულების საგნის შესრულება: ქონების გადაცემა, რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება. ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში აქტიურ მხარეს, ე.ი. მხარეს, როდელსაც აქვს მოთხოვნის უფლება, ეწოდება კრედიტორი, ხოლო პასიურ მხარეს, რომელსაც ეკისრება ვალდებულების შესრულება – მოვალე. კრედიტორის მოთხოვნას ყოველთვის შეესაბამება მოვალის შესრულების ვალდებულება და ამდენად, კრედიტორის მოთხოვნის უფლება რელატიურია.

ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე კრედიტორს მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ მოვალის მიმართ. რადგანაც ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნის უფლება წარმოადგენს ქონებრივ უფლებას, შესაბამისად, მისი გადაცემა (გასხვისება) თავისუფლად შეიძლება. ეს გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმიდან: „მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება)“. 199-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, „მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა)“.

მოხმობილი ნორმებით დადგენილია მოთხოვნის დათმობს თავისუფლების ზოგადი პრინციპი. ყოველი მოთხოვნა, როგორც წესი, ექვემდებარება სხვა პირისათვის გადაცემას, ამასთან, მოვალის თანხმობის გარეშე. თუმცა ზემოაღნიშნული მუხლები შეიცავს ამ პრინციპის შემზღუდველ შემდეგ პირობებს: 1. კანონით აკრძალული მოთხოვნის დათმობა; 2. მოთხოვნის დათმობის შეუძლებლობა, როდესაც მოთხოვნა არ ექვემდებარება დაგირავებას; 3. მოთხოვნის დათმობის დაუშვებლობა, როდესაც იგი ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს; 4. კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმება მოთხოვნის დათმობის გამორიცხვის შესახებ.

მოთხოვნის გადაცემის შემთხვევაში, ადგილი აქვს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში აქტიური მხარის – კრედიტორის შეცვლას. კრედიტორის შეცვლა კი, ყოველთვის გარკვეული სამართლებრივი საკითხების წარმოშობასთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ამ უკანასკნელს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა აკავშირებს მოვალესთან. მისი გასვლა ვალდებულებით – სამართლებრივ ურთიერთობიდან იწვევს მის მიმართ ვალდებულების შეწყვეტას. სწორედ ამიტომ სამოქალაქო სამართლის მიერ შემუშავებულ იქნა ცალკე ინსტიტუტი – მოთხოვნის დათმობა იგივე, „ცესია“. სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის მიხედვით ეს არის თავდაპირველ და ახალ კრედიტორებს შორის დადებული გარიგება, რომლითაც თავდაპირველი კრედიტორი მოვალის მიმართ თავის მოთხოვნას გადასცემს (უთმობს) ახალ კრედიტორს. თავდაპირველ კრედიტორს „ცედენტი“ ეწოდება, ხოლო ახალ კრედიტორს – „ცესიონერი“.

51. დავის გადაწყვეტის საკვანძო საკითხს სწორედ კრედიტორის მდგომარეობის სხვა პირზე გადაცემის, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, „ცედენტსა“ და „ცესიონერს“ შორის შეთანხმების არსებობა-არარსებობის კვლევა წარმოადგენს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ იმ ვალდებულებების სია, რომელზედაც თავის მოთხოვნას ამყარებდა ლ. ს-ი სხვა ჩამონათვალთან ერთად შეიცავდა მითითებას „მოპარულ“ 4000 აშშ დოლარზე, რასაც მხარე იმით ხსნიდა, რომ ნ. ს-ს გახსნილი ჰქონდა საკრედიტო დაწესებულებაში ანაბარი სახელწოდებით „მ-ი“, რომელზედაც არსებულ თანხას ნ. ს-ის ნების საწინააღმდეგოდ დაეუფლა მისი მეუღლე – მ. პ-ი. ეს უკანასკნელი ფლობდა ინფორმაციას ბარათის კოდის შესახებ და მითითებული ანგარიშიდან ბანკომატის მეშვეობით გამოიტანა 4,000 აშშ დოლარი.

მოგვიანებით, ნ. ს-მა მიმართა სს „ს.ბ-ს“ იმ მოტივით, რომ არ ეთანხმებოდა განხორციელებულ საბანკო ოპერაციას.

დადგენილია, ისიც, რომ ნ. ს-მა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 15.10.2012წ.-ს მიმართა თ-ის ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას, თუმცა საქმე არ აღიძრა დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო.

ლ. ს-ისათვის სადავო თანხის, მათ შორის, ნ. ს-ის საანბრე ანგარიშიდან მ. პ-ის მიერ გამოტანილი 4,000 აშშ დოლარის, გადახდის ვალდებულებაზე პასუხისმგებელ პირად ლ. ს-მა მიიჩნია მოსარჩელე ლ. ლ-ი, რომელსაც, როგორც მოპასუხე აპელირებდა, აღებული ჰქონდა ოჯახზე ეკონომიკური ზრუნვის ვალდებულება. აღნიშნული კი, მოპასუხის მოსაზრებით, წარმოშობდა ლ. ლ-ის, როგორც მესამე პირის მხრიდან ვალდებულების შესრულების საფუძველს.

მოპასუხის ზემოთმითითებულ პოზიციას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და საფუძვლად ვერ დაუდებს ამ ნაწილში (4000 აშშ დოლარის ანაზღაურება), ლ. ლ-ის ვალდებულების არსებობას.

52. უპირატესად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ როგორც ზემოთ აღნიშნა, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს იმგვარ ვითარებასთან, როდესაც საკრედიტო დანესებულებაში გახსნილი ანაბრის, სახელწოდებით „მ-ი“, მფლობელია ნ. ს-ი. იმ გარემოებაზე აპელირება, რომ ანაბრის მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ მ. პ-ი დაეუფლა ანაბარზე განთავსებულ თანხას, მოთხოვნის უფლებას, ბუნებრივია, წარმოუშობს ნ. ს-ს.

მოთხოვნის დათმობა კი, ორმხრივი, განკარგვითი გარიგებაა – ხელშეკრულებაა, ამიტომ საკმარისი არ არის მარტო ცესიონერის მხრიდან მოთხოვნის დათმობის თაობაზე ნების გამოვლენა, არამედ აუცილებელია გარიგების მეორე მხარის მიერ მისი მიღება (აქცეპტი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს რაიმე სპეციალურ ფორმას მოთხოვნის დათმობის გარიგებისათვის. სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე მხარეებს, ზოგადი წესით, თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ მოთხოვნის დათმობის ფორმა. ამ დროს მოქმედებს გარიგების ფორმის შესახებ ზოგადი ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 69-ე-71-ე მუხლები) და ამდენად, მოთხოვნის დათმობა შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით (მათ შორის, სანოტარო წესით), ისე ზეპირად, მხარეთა უბრალო ზეპირი ნების გამოვლინებით, თუმცა განსახილველი საქმის მასალებით დადასტურებული არ არის და არც მოპასუხეს მიუთითებია იმ გარემო-

ებაზე, რომ ნ. ს-სა და ლ. ს-ს შორის არსებობდა ნების გამოვლენა მოთხოვნის დათმობის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლი) და თავდაპირველი მოთხოვნის მფლობელის ადგილი 4000 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში დაიკავა ლ. ს-მა.

ის გარემოება, რომ თითქოსდა ანაზრიდან გამოტანილი 4000 აშშ დოლარის გადახდა ლ. ს-ს, როგორც ოჯახის მზრუნველობაზე პასუხისმგებელ პირს, მოსთხოვა არა მოთხოვნის უფლების მქონე პირმა – ნ. ს-მა, არამედ ლ. ს-მა, რომელიც არაუფლებამოსილ პირად უნდა იქნეს მიჩნეული. ამას კი, მივყავართ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე იმგვარ შედეგებამდე, რომ ლ. ს-ის მიმართ შესრულება განახორციელა ვალდებულების არსებობის გარეშე.

53. ასევე, საფუძვლიანია საკასაციო საჩივრის პრეტენზია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება „ვალის“ – 2,500 აშშ დოლარის, როგორც ვალდებულების გარეშე გადაცემულის უკან დაბრუნებას. მხარეთა განმარტებისა და საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, აღნიშნული თანხა არის ნ. ს-ის მიერ მ. პ-ის ძმისათვის – ბ. პ-ისათვის სესხად მიცემული თანხა. სხვა საკითხია რამდენად დასტურდება ნ. ს-სა და ბ. პ-ს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობა, აღნიშნული არ არის განსახილველი დავის საგანი. თუმცა კი, საკითხი იმის შესახებ იყო თუ არა ვალდებული ლ. ს-ის მიერ ბ. პ-ის ნაცვლად შესრულებინა ვალდებულება ნ. ს-ისა თუ, მისი მამის – ლ. ს-ის მიმართ, წარმოადგენს ამ ნაწილში, მოცემული დავის გადაწყვეტის საკვანძო საკითხს.

ზოგადად, ქართული სამართალი იცნობს სინგულარულ სამართალმემკვიდრეობას (ე.ი. მემკვიდრეობას ცალკეულ ვალდებულებებში ცოცხალ პირთა შორის გარიგების საფუძველზე) არა მარტო მოთხოვნებისა და უფლებების, არამედ ვალების მიმართაც. ახალმა მოვალემ შეიძლება დაიკავოს ძველი მოვალის ადგილი ამ უკანასკნელის ვალის კისრებით, სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსი ადგენს პრივატულ ვალის გადაკისრებას (die privative Schuldbernahme). პრივატული ვალის გადაკისრების შედეგად ახალი მოვალე იკავებს ძველი მოვალის ადგილს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში.

იმისდა მიხედვით, თუ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის რომელი მხარის მიერ იდება ვალის გადაკისრების ხელშეკრულება, განასხვავებენ:

1. ვალის გადაკისრების ხელშეკრულებას კრედიტორსა და ახალ მოვალეს შორის (სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის პირველი ნაწილი) და
2. ვალის გადაკისრების ხელშეკრულებას

ძველ და ახალ მოვალეებს შორის (სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლი).

თუ პრივატული ვალის გადაკისრების ხელშეკრულება იდება ძველ და ახალ მოვალეებს შორის, ასეთი გარიგების სამართლებრივი ძალა მერყევ მდგომარეობაშია, ვინაიდან დამოკიდებულია კრედიტორის თანხმობაზე (სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლი). კრედიტორის თანხმობა შეიძლება განხორციელდეს როგორც წინასწარ ისე, შემდგომში (მოწონება). ამასთან მისი განცხადება ნებისმიერი ფორმით შესაძლებელია როგორც ძველი ისე, ახალი მოვალისათვის (სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილი). კრედიტორის თანხმობა შეიძლება განხორციელდეს როგორც წინასწარ ისე, შემდგომში (მოწონება). ამასთან, მისი განცხადება ნებისმიერი ფორმით შესაძლებელია როგორც ძველი, ისე ახალი მოვალისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადასტურებული არ არის, რომ ლ. ლ-სა და ნ. ს-ს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის საფუძველზე ბ. პ-ის ვალი იკისრა ლ. ლ-მა და ამგვარად, ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში დაიკავა თავდაპირველი მოვალის ადგილი, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გვემსჯელა ამ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივ შედეგებზე ლ. ლ-ის მიმართ.

არც ის გარემოებაა დადასტურებული, რომ შეთანხმება არსებობდა უშუალოდ ბ. პ-სა და ლ. ლ-ს შორის (სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლი), რაც კრედიტორის თანხმობის ან შემდგომში მოწონების პირობებში, წარმოშობდა ლ. ლ-ის ვალდებულებას სესხის დაბრუნების შესახებ.

ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ „ვალის“ – 2500 აშშ დოლარის გადახდის ნაწილშიც ლ. ლ-მა ლ. ს-ის მიმართ შესრულება განახორციელა ვალდებულების არსებობის გარეშე.

54. ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში (4000 აშშ დოლარი-სა და 2500 აშშ დოლარის გადახდა), სახეზეა ფულადი ვალდებულების შესრულება ვალდებულების არსებობის გარეშე. აღნიშნული კი, სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად წარმოშობს უკან მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნესების მიხედვით.

ამ მიმართებით, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლითაც დადგენილია ქცევის იმგვარი წესი, რომლის თანახმად,

პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში (კონდიქციური ვალდებულება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას თუ, რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლობიერებას, თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. ასევე, აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ლ. ლ-მა ლ. ს-ის მიმართ შესაბამისი ვალდებულების არსებობის გარეშე, განახორციელა ერთ შემთხვევაში, 4,000 აშშ დოლარის (ნ. ს-ის საანაბრე ანგარიშიდან გამოტანილი თანხა) და მეორე შემთხვევაში, 2500 აშშ დოლარის (ბ. პ-ის სასესხო ვალდებულება) ნაწილში, შესრულება, რის შედეგადაც ლ. ს-ის ქონება 6500 აშშ დოლარით გაიზარდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩ-

ნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილი იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემსრულებელი ახორციელებს ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება 6500 აშშ დოლარის დაბრუნებაზე უარის თქმის ნაწილში (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მითითებულ ნაწილში გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

55. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

56. ვინაიდან, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ლ. ლ-მა ლ. ს-ს შესაბამისი ვალდებულების არსებობის გარეშე, გადაუხადა 6500 აშშ დოლარი, რითაც გამდიდრდა მისი მიმღები, აღნიშნული თანხა ექვემდებარება უკან დაბრუნებას უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

შესაბამისად, თ-ის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განჩინება უნდა გაუქმდეს და ლ. ლ-ის სარჩელი ლ. ს-ისათვის 6500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების ნაწილში, უნდა დაკმაყოფილდეს.

57. ხოლო რაც შეეხება კასატორის (მოსარჩელე) მოთხოვნას დარჩენილი თანხის დაბრუნების შესახებ, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მხარეთა შორის სადავოა ქორნილის ხარჯების გარკვეული ნაწილი, ავტომანქანის ღირებულებისა და შემდგომში, მის შესაკეთებლად გაწეული ხარჯის, განადგურებული ტანსაცმლისა და დაზიანებული ნივთების, აგრეთვე, ოქროს სამაჯურის ღირებულების სახით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. მითითებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით გადახდილი თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებულ კასატორის პრეტენზიას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების ფარგლებში იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ქორნილის ხარჯების გარკვეული ნაწილის, ავტომანქანის ღირებულებისა და შემდგომში, მის შესაკეთებლად გაწეული ხარჯის, ოქროს სამაჯურისა და სხვა. ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება ლ. ლ-ს არ ეკისრებოდა მოსარჩელის მხარეზეა, რომელიც მოსარჩელემ სარწმუნოდ ვერ დაადასტურა. დადგენილია ისიც, რომ სადავო თანხა გადაცემულ იქნა იმ ფინანსური ურთიერთმოთხოვნების ფარგლებში, რომელსაც უყენებდნენ ერთმანეთს მხარეები. კერძოდ, დადგენილია, რომ ყოფილ მეუღლეებს (მ. პ-ს და ნ. ს-ს) მოსარჩელე ლ. ლ-მა საჩუქრად გადასცა საცხოვრებელი ბინა, თუმცა მათი დაშორების შემდეგ მოსარჩელემ ბინა გაასხვისა, რაც თავისთავად ნ. ს-ისაგან შესაბამის თანხმობას საჭიროებდა. ეს ფაქტი გახდა ლ. ს-ის მხრიდან გარკვეული ფინანსური პრეტენზიების წაყენების საფუძველი, რამაც გამოიწვია მხარეთა და მათი ოჯახის წევრთა ისედაც დაძაბული ურთიერთობის მეტად გამწვავება. შესაბამისად, ორივე მხარის სურვილს წარმოადგენდა მათ შორის არსებული ზემოაღნიშნული ფინანსური ურთიერთმოთხოვნების საბოლოოდ გადაწყვეტა და ურთიერთობის დასრულება. შესაბამისად, ლ. ლ-ის მიერ გარკვეული თანხის გადახდა განხორციელდა მისივე სუბიექტური ნების საფუძველზე, რომლის გადახდის სამართლებრივ საფუძველს ამყარებს და ამავდროულად, მისი უკან დაბრუნების ვალდებულებას გამოორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი. ამ მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით, პირს, რომელმაც სხვას

ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ბ. ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ: ა. შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს, ან ბ. გავიდა ხანდაზმულობის ვადა, ან გ. მიმღებს შექმლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ მუხლის პირველი ნაწილის პირობები, ანდა დ. მოთხოვნა დაბრუნების თაობაზე ბათილი სავალო ხელშეკრულების შესრულებისას ეწინააღმდეგება ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში, ლ. ს-ისათვის ქორწილის ხარჯების გარკვეული ნაწილის, ავტომანქანის ღირებულებისა და შემდგომში, მის შესაკეთებლად განეული ხარჯის, ოქროს სამაჯურისა და სხვა დაზიანებული ნივთების ღირებულების სახით გადაცემული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებს. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს წარმოადგენს შემსრულებლის ზნეობრივ მოვალეობასთან და მიმღების სუბიექტურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული კანონის მითითებული დანაწესის ანალიზი. აღნიშნული მსჯელობის ნათელყოფის მიზნებისათვის საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ თავისთავად „ზნეობრივი მოვალეობა“ შეიძლება სცილდებოდეს კანონით დადგენილი მოვალეობის ფარგლებს. გარდა მითითებული ვალდებულებების სუბიექტური შეფასებისა, არსებობენ ისეთი ობიექტური ფაქტორებიც, როგორცაა ოჯახის ფინანსური შესაძლებლობა და მატერიალური მხარდაჭერა. შესაბამისად, ოჯახის წევრთა მეტად დაძაბული და გამწვავებული ურთიერთობის საბოლოოდ გადაწყვეტისა და ურთიერთობის დასრულების გამო, იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მ. პ-ისა და ნ. ს-ის ქორწილის, საჩუქრისა და თანაცხოვრების პერიოდში არსებული დაძაბულობის შედეგად დამდგარი მატერიალური დანაკლისის სახით გადაეცა ლ. ს-ს, პრაქტიკულად წარმოადგენდა შემსრულებლის ზნეობრივ ვალდებულებას, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამორიცხავს უკუმოთხოვ-

ნის შესაძლებლობას.

შესრულების უკუმოთხოვნის საფუძვლიანობის შემონახვისას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემსრულებლისა და მიმღების სამართლებრივ ურთიერთმიმართებასაც. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ამდენად, შეფასება იმისა, შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას, თუ შესრულება მომდინარეობს ზნეობრივი მოვალეობიდან, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უფლება-მოვალეობრივი კავშირი არსებობს შემსრულებელსა და მიმღებს შორის, რა სუბიექტური დამოკიდებულება ჰქონდა შემსრულებელსა და მიმღებს უშუალოდ შესრულების მიმართ. აღნიშნული გამიჯვნადია განსაკუთრებით მჭიდრო ნათესაური და მეგობრული ურთიერთკავშირების დროს. თუ შემსრულებელი შესრულების დროს მოქმედებდა ზნეობრივ საწყისებზე დაყრდნობით იმთავითვე გამოირიცხება მისი უკან დაბრუნების შესაძლებლობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიმღებს ამგვარი შესრულების მიმართ ობიექტური პრეტენზია უჩნდება, ასე ვთქვათ, ერთი პირის მიერ მეორისათვის შესრულების განხორციელების დროს იგულისხმება, რომ არსებობს ვალდებულება და შესრულება განხორციელდა ვალდებულების ადეკვატურად. ის გარემოება, რომ შესრულება, ვალდებულების გარეშე განხორციელდა, უნდა ადასტუროს მიმღებმა, თუმცა იმგვარი შესრულება, რომელიც, საოჯახო ურთიერთობის ფარგლებში, მორალურად გამართლებული და ზნეობრივია, წარმოშობს „ვალდებულების არსებობის პრეზუმფციას“.

58. სამართალწარმოებაში „პრეზუმფციების“ არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება უნდა დაამტკიცოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება, პირიქით, უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების განაწილების საფუძველს. მოსარჩელე

ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში. შესაბამისად, საოჯახო ურთიერთობის ფარგლებში, მორალურად გამართლებული და ზნეობრივად შთაგონებული შესრულების პირობებში, ვალდებულების არარსებობის მტკიცების ტვირთი შემსრულებელს ეკისრება. აღნიშნული სამართლებრივი წესრიგი ასახულია სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში, სადაც მითითებულია, რომ უკან დაბრუნების მოთხოვნა გამოიციხულია, თუ მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა.

განსახილველ შემთხვევაში, მიმღები ვარაუდობდა, რომ შემსრულებელს სურდა მისი განხორციელება, შესაბამისად, შესრულება უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. განსხვავებული სამართლებრივი შედეგი მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, სახელდობრ, მან უნდა ადასტუროს, რომ თანხის გადაცემა არ მომხდარა იმ ფინანსური ურთიერთმოთხოვნების ფარგლებში, რომელსაც უყენებდნენ ერთმანეთს მხარეები, აგრეთვე, რომ თანხის გადაცემა მის ზნეობრივ მოვალეობაში არ შედიოდა, ოჯახებს შორის დაძაბული ურთიერთობის საბოლოოდ დასრულებას არ ისახავდა მიზნად. ამგვარი მტკიცება კი, მოსარჩელეს არ განუხორციელებია.

59. აქვე აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობა ეფუძნება სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნებს. ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს.

თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში, კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობას, ერთგულებასა და სხვ.

კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშ-

ვენელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს.

კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული ისე, სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტიცაა. ეს პრინციპი საშუალებას გვაძლევს ნებისმიერი ურთიერთობა სამართლებრივი თვალსაზრისით შევაფასოთ. მოცემულ შემთხვევაში, ლ. ლ-ს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ იმ ფინანსური ურთიერთმოთხოვნების ფარგლებში, რომელსაც უყენებდნენ ერთმანეთს ოჯახის წევრები, ლ. ს-ის მიმართ განხორციელებული შესრულება აღქმული იქნებოდა მისი მხრიდან ზნეობრივი მოვალეობის შესრულებად. შესაბამისად, მიმღების მხრიდან მიღებულ შესრულებაზე განხორციელებოდა სრული ბატონობა, დაუფლება, რაც თავის თავში, მოიაზრებს აღნიშნული ფინანსური საშუალებების განკარგვას. ამდენად, თუ შემსრულებელს სურდა განხორციელებული შესრულებიდან თავის სასარგებლოდ რაიმეს დაზოგვა, აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გამოეველინა ნება, შეექმნა სამართლებრივი გარანტია და ა.შ. სხვა შემთხვევაში, ზნეობრივი მოვალეობის შესაბამისი შესრულების უკუმოთხოვნით იგი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს როგორც თავად ლ. ს-ს, ასევე მისი ოჯახის დანარჩენ წევრებს. ასეთ პირობებში, კი თუნდაც, სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, სარჩელის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება, ეწინააღმდეგება კანონის დანაწესს, ზნეობრივი შესრულების უკან დაბრუნების დაუშვებლობასთან კავშირში.

60. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

61. ვინაიდან, ლ. ლ-ი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო

ბაჟის გადახდისაგან სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამიტომ სახელმწიფო ბაჟის თანხა სარჩელის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად უნდა დაეკისროს მოპასუხე ლ. ს-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რომლის ოდენობა სამივე ინსტანციის სასამართლოში შეადგენს 464.57 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ლ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თ-ის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განჩინება;
3. ლ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ლ. ს-ს (პ/ნ: ..) დაეკისროს ლ. ლ-ის (პ/ნ: ..) სასარგებლოდ 6500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება;
5. ლ. ს-ს დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 464.57 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით. თანხა ჩარიცხულ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ.თ-ი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი 300 773 150;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიეპელი

ხელშეკრულების ფორმა	3
ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები	15
ვალდებულების შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ; პირგასამტეხლო	29
ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი	51
შეთანხმება პროცენტის გადახდის შესახებ თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას	58
ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის	67
ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება; პირგასამტეხლო	80
ქირავნობის ხელშეკრულება; ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა	101
ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსთვის	112
საკუთრების მინდობის ხელშეკრულების შეწყვეტის წესი	128
საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას	150
უსაფუძვლო გამდიდრება – ვითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები	161

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 2982103
www.supremecourt.ge